

კვირის პალიტრა



№ 47 (508) ◆ 22 - 28 ნოემბერი, 2004 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.




გილოსავთ!

23 ნოემბერი — გიორგიის ბრწყინვალე დღესასწაული

სიკვდილით დასჯის წინა დამეს თავად უფალმა შეუმკო თავი გვირგვინით — ნუ გეშინნ, მალე მიხილავ და მიღებ შენთვის განკუთვნილ ადგილს ზეცაში... **ღვ.გვ.4**

თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი ქართველთათვის სამართლიანობის, სიკეთისა და მგერთა ძღვევის სიმბოლოა.

უინაგან საქმეთა საინისტროს განსაკუთრებულ საქმეთა გამომკიეველი ალასაკაძე



„ვიცი, ვინც გაატაცებინა ლევან კალაძე...“

იმასაც მივხვდი, რომ გაა ბარამიძესთანაც „მამუშავებდნენ“ **ღვ.გვ.6,24**

...ისიც ვიცი, როგორ მოაწყვეს ტერაქტი იმელთან შეგარდაბის წინააღმდეგ. ვიცი, ვინ და რატომ მოკლა თბილისის პროკურორი მიშა ქურდაძე, მაგრამ საქმის განსნა არ აძლევდა ხელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას.

...ტრანსფერებს ხელმძღვანელობდა კრიმინალური სამყაროსათვის ცნობილი პირი... ამ დროს კი ვიცი „დინამოდან“ მილანში გაიყვანა კახი კალაძე. ის თანხა, რომელიც მილანმა კალაძეში გადაიხადა, სამად უნდა გაყოფილიყო...

თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა მივმართო უშუალოდ საქართველოს პრეზიდენტს: „ბატონო მიხეილ, თუ გსურთ, რომ საქართველომ მოიშოროს ის სირცხვილი, რასაც ლევან კალაძის გატაცების გავსხნული საქმე ჰქვია, ნება დამრთეთ, გამომიება მივიყვანო ბოლომდე. პირობას გაძლევთ ამ საქმეს აუცილებლად გავხსნი რაღდენიმე თვეში.“

„თუ „ვინმე რამის“ გამკეთებელია, ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე წელს ეცეობა ხოლმე“

სანამ ქვეყანაში საზოგადოებრივი აქტივობა იარსებებს, ხელისუფლებაში მავნე ზრახვების სურვილი მუდამ ნაკლები იქნება. მეტ-ნაკლებად პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტორიც, რომ ხალხში კანონის შიში გაჩნდა, თუმცა უარყოფითი მხარე ამ პოზიტივსაც აქვს — კანონის შიშმა ქრონიკული სახე არ უნდა მიიღოს და მისი სახელით ადამიანები არ უნდა იჩაგრებოდნენ... **ღვ.გვ.3**



„თუ ვინმე იცავის „ქაუთი“ მივიგანა ფულიო, გოლიუს მოვიხდი“



ქაქულაშვილი ინგოპოი **ღვ.გვ.7,8**


„საქართველოს ეკლესიის ერთიანობა არის სახელმწიფოს განუყოფელი აგრებუტი“

...მინტერესებს, როგორ უნდა ჩაერიოს უშიშროება უნივერსიტეტის რექტორის არჩევაში?
...სრული აბსურდია იმის მტკიცება, რომ ჩვენინებს არ ვიჭერთ.

„გიჭებო, არს ეკვლარი, არს ხოხხალი, ანათ ხელუი არ ჩაეგდოთ“




„გუთხარი, შენ ხომ სახელმწიფო მინისტრი ხარ, გვიადის სიკვდილში ბრალს ვდებთ და გვიჩივლე თუ მართალი ხარ-მეთქი.“ **ღვ.გვ.6,24**



თაბის გაბრქელება

„შარხან ამ დროს გახილავით ეპისი იველი კომონა“ **ღვ.გვ.11**

ხელისუფლება თადარივს იჭერს, მას საკუთარი თავის იმედი არ აქვს და სანამ პარლამენტში უმრავლესობა ჰყავს, ცდილობს, მეტი მოასწროს. ისინი ნახევარფაბრიკატებს უშვებენ. მათი როგორც საკანონმდებლო, ისე საკადრო პროდუქტი, ნახევარფაბრიკატია. **დავით ბერძენი შვილი**



ზარეგი არ ჩეკდენ, ზარეგი გალოგდენ

ზუსტად 9 წლის წინ, 1995 წლის გიორგობა დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა სასოებით აკურთხა წმინდა ტაძრის აღმშენებლობის ადგილი... **ღვ.გვ.12**

„ამ შევიქლია ავაგო გევი და პეკე ზღვაუი გავუჰვა“

სიხარული უნდა მოიპოვო, ის კი არა, უნდა მოიპარო კიდეც — ვერავინ გეტყვის, რას ჰქვია სიხარულის მოპარვა. ეს ნიჭი თვითონ უნდა აღმოაჩინო შენ თავში. პარტნიორობის გემო დაიკარგა როგორც ცხოვრებაში, ასევე თეატრში. **ღვ.გვ.18 მურმან ჯინორია**

„გალე რომის გვირგვის გაკონტროლება შეუქლებოთ“?

რაზე ისაუბრეს რიჩარდ მაილსმა და გიორგი გოლაბრელიძემ?

ქაქულაშვილი აზრით: დღეს ყველაფერი დამაფიქრებლად ემთხვევა ერთმანეთს — ამერიკაში ბუში ინარჩუნებს პრეზიდენტობას და სწრაფადვე, ხელახლა ისმება საქართველოს საკითხი. ამერიკის ელჩი ნარკოტრანზიტით ინტერესდება. რუსეთი მსგავს განცხადებებს აკეთებს და აფხაზეთში პრეზიდენტობის საკუთარ კანდიდატს, ფაქტობრივად, ბელის ანაბარა ტოვებს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ უმოკლეს პერიოდში სერიოზული ცვლილებება მოსალოდნელი... შეიძლება წარმოუდგენლად მოგეჩვენოთ, მაგრამ თავის დროზე აფხაზეთისა თუ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობებს მსოფლიოს ნარკოდილერებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს(!). **ღვ.გვ.5,13**

„ისათი სიძლეა გაემოგვივილა, პიერ ჩიუპარი გაოგნდა...“

ეროსიმ დაიწყო „დამნაშავის“ ძებნა და მომადგა მე...

გოგი ცაბაძეს სულ ავიწყდებოდა ჩემი გვარი. სულ მეკითხებოდა ხოლმე — რა გვარი ხარ შენ, კაშხალი? **ღვ.გვ.20**
თბილისელებს მინდა ვუთხრა, რომ მე ცოცხალი ვარ... სულ სამი დღით ჩამოვედი და გამაღობთ, რომ გამიხსენეთ.



ნეინდა გიორგის გადლი გვფარავდას!

საქართველოს ხელისუფლების კვირავი

საქართველო გიორგობის დღესასწაულს ამ წელს განსაკუთრებულად შებენიანად...

სამების მთავარ ტაძარს 23 ნოემბერს, ტაძრის საზეიმოდ გახსნის დღეს აკურთხებენ...

ვის უნდა ვუთხროთ

23 ნოემბერს საქართველოში არა მარტო რელიგიურ დღესასწაულს, არამედ „ვარდების რევოლუციის“...

23 ნოემბერს ქვეყნის პრეზიდენტი და „ვარდების რევოლუციის“ მთავარი შემოქმედი...

უკანა პლანის რეკონსტრუქცია

საფრანგეთის ელჩი საქართველოში ფილიპ რეფორი აცხადებს, რომ „ვარდების რევოლუციით“...

რეფორის შეფასებით, საქართველოში 2003 წლის ნოემბრის „ვარდების რევოლუციას“...

საფრანგეთსა და გერმანიასთან ინდივიდუალური მოქმედების პროგრამის რეალიზაციის...

კვამთაძე საბაგო აწივს

ამერიკის შერეული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში...

მთავრობის განცხადებით, აშშ საქართველოს საბაგო დეპარტამენტს დიდი ხანია ეხმარება...

საბაგო დეპარტამენტში პროგრამების დასაფინანსებლად, წელს დაგეგმილი 1,7 მილიონი...

აშშ-ის დაფინანსებით საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე, „ნითელ ხიდზე“, საბაგო-

კასოროვან სპა პარილი

სანამ ვლადიკავკაზში ქართულ-რუსულ-ოსური შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი...

სროლის შედეგად სხეულის მიმდე დაზიანება მიიღო ცხინვალში დისლოცირებული შერეული...

საქართველოს პარლამენტის მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის...

საქართველოს პარლამენტის მიერ „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის...

დასავლეთის ქალაქი

საქართველოს პრეზიდენტის 9 სექტემბრის ბრძანებულებით თანახმად, ერთი საათით...

საქართველოს პრეზიდენტის 9 სექტემბრის ბრძანებულებით თანახმად, ერთი საათით...

საქართველოს პრეზიდენტის 9 სექტემბრის ბრძანებულებით თანახმად, ერთი საათით...

ქვილიან-ქვირაგე

გერმანიის შს ფედერალურმა სამინისტრომ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის...

კავსაზნი უაქმი

გურჯაანში ამაზრუნენ დანაშაული ჩაიდინა 29 წლის ვლადიმერ მანგოშვილი — მან დანით...

უინანსო ანიტიპროპაგანდა

ე. წ. „უინანსო ანიტიპროპაგანდა“ დაკავშირებით საქართველოს მთავრობასა და პარლამენტს...

როგორც პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე მთავრობის საპარლამენტო...

„სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებზე, რომლებიც ამა თუ იმ უწყებებს...

მისი თქმით, ამისგან შეგებია აგრეთვე რევიზორებს. „ჩვენ მივიღეთ პოლიტიკური...

ავტორი ნათქვამი

საზღვრის რაიონის სოფელ ჩორჩანასთან ახლოს ჯერჯერობით დაუდგენელმა შეიარაღებულმა...

თავდასაცმა თავის პარტიაში

რუსები გალიზიანებს ვერ ფარავენ ქართული მხარის საფუძვლიანი განცხადებების გამო...

კარგად ვარაუდობ

20 ნოემბერს ფოთში რკინიგზის დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა ვაგონ-ცისტერნებიდან...

ილავი ჟიღოვანი

აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში კვლავაც უკიდურესი დაძაბულობაა. სანამ...

დასავლეთის ქალაქი

რადიოსადგური „ნო მოსკვი“ ნიუ-იორკის სამოქალაქო თავისუფლებათა ფონდზე...

სასამართლომ ჯარისკაცისთვის თავშესაფრის მიცემა იმ მოტივით გადაწყვიტა, რომ „სამხედრო...

ვის იზავის „ვიპროკიას“?

23 ნოემბერს გაირკვევა ორი ვიქტორის შორის რომელს ექნება „ვიპროკიას“ ტქმის უფლება...

უკრაინა ორი ვიქტორიდან უფრო ძლიერსა და მისაღებზე აკეთებდა არჩევანს. რუსეთის ფაკორიტე...

მკითხველის პრემია * მკითხველის პრემია
ეს თქვენს გახვითა და რაღაც ახლა, „კვირის პალიტიკის“ უწინადადებლად თქვენ ასიქვით...

ინა ნობის მკითხველის პრემია
1. ვაგა გაგაშვილი — „ტრაგედია იმ ნუთიდან დაიწყო“ — 88 ხმა
2. ნოდარ მოშტაშვილი — „დავით IV — ქართველთა აღმაშენებელი“ — 38

„ვარდების რევოლუციის“ წლისთავთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ფართო პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღა — სახლებში დარიგებულ გაზეთებს და პლაკატებს სატელევიზიო სარეკლამო რგოლები მოჰაგო, რომლებიც გვაუწყებენ, რომ ქართველი ხალხი მზად არის ახალი სახელმწიფოებრიობის მშენებლობისათვის. რასაკვირველია, იდეოლოგიაც და პროპაგანდაც სახელმწიფო შენებისთვის უაღრესად საჭირო გახლავთ, მით უმეტეს, როდესაც რადიკალური რეფორმების ჩატარება გაქვს გადამწყვეტილი — რეფორმა კი, მოგეხსენებათ, იმის რეფორმაა, რომ მისი კმაყოფილი ყველა ვერ იქნება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში სახელმწიფო დანესტრუქტურებიდან უამრავი ჩინოვიტი თუ რიგითი მოხელე გაათავისუფლეს. გათავისუფლების ლოკაცა სრულებით გასაგები და მისაღებია — 20-ლარიან ხელფასზე ჭკუათმყოფელ ადამიანს გული არ უნდა დასწყდეს. თუმცა, ისიც გასაგები უნდა იყოს, რომ წლების მანძილზე ბევრი ჩვენი თანამოქალაქე ოჯახს არაღელვალური შემოსავლით არჩნდა. ერთი წლის წინ ასეთი ცხოვრების სტილზე ხელისუფლებამ უარი თქვა. ამიტომაც ნორმალური სახელმწიფოებრიობის მშენებლობისთვის მართლაც ბევრი რამ უნდა მოციმინოთ. თუმცა, როდესაც ხელისუფალი ხარ და ხალხს მოუწოდებ, ნათელი მომავლისთვის გაიჭიროვს, შენ თვითონ მიწიშუშ, საშუალო ოჯახის პირობებში უნდა ცხოვრობდე. მხოლოდ განცხადებები და კვარტალში ერთხელ ტროლიკბუსით ან მეტროთი მგზავრობა საზოგადოებას ამაში ვერ დაარწმუნებს, რადგან აჭარის დიქტატორისთვის ჩამორთმეული ფეშენებელი ტრანსპორტი თვალში გაცილებით უფრო ხშირად გვხვდება... რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ კიდევ ერთი საინტერესო ტენდენცია გამოჩნდა — „კმარელები“ და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებმაც მიტინგებისა და დემონსტრაციების აგორებაში ლომის წილი შეიტანეს, დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით აშკარა უკმაყოფილებას გამოთქამენ — იმედია, ხელისუფლება მათთან საერთო ენას გამოიხატავს და პროტესტის უფრო აქტიური ფორმის პოვნა განმეორებით აღარ გახდება საჭირო. თუმცა კარგიც უნდა ითქვას და ისიც ფაქტია, რომ რევოლუციამ საქართველოს სიკეთეც მოუტანა — ეს უმთავრესად, ხალხში გაჩენილი უკეთესი და სამართლიანი ცხოვრების იმედია, რომლის სიმკრევეც ისევ და ისევ ხელისუფლებამ და მოკიდებული. რევოლუციის წლისთავთან დაკავშირებულმა საზეიმო განწყობამ ერთგვარად დაარდოდა და მიწაშია საეკლესიო დაბრისპირების თემა. თუმცა, როგორც ჩანს, მასში დაინტერესებული ძალებიც არიან ჩართულნი და საქმე მხოლოდ განცხადებებით არ დასრულდება — პრეზიდენტის მონოლოდის მიუხედავად. სამწუხაროდ, ავითრებში მხოლოდ სასულიერო პირები არ მონაწილეობენ და თუ ასე გაგრძელდა, შედეგი მართლაც კატასტროფული შეიძლება მივიღოთ.

დაბარჩენი საქართველოსგან განსხვავებით, არჩევნების შემდეგ მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა აფხაზეთში. როგორც დე ფაქტო აფხაზეთის ერთგული ხაზინის ხელმძღვანელობამ განაცხადა, უახლოეს მომავალში ბანკებიდან ანაბრების გაცემას შეწყვეტენ, რადგან პანიკაში ჩაყარდნის მოსახლეობას თანხები მასობრივად გააქვს. როგორც ჩანს, რუსეთი აფხაზეთში არჩევნებში პოზიციების დათმობას იოლად არ შეეგუება და აფხაზეთის მოსახლეობას თავისი არჩევნის გაცემაზე კიდევ ერთხელ მოუწვევს — ოღონდ გაცილებით უფრო დიდი და მნიშვნელოვანი არჩევანისა, ვიდრე ერთი გოჯი მიწის პრეზიდენტობა შეიძლება იყოს. პატარა ტბაში დახრჩობას ოკეანეში დახრჩობა გვირჩევიათ, ამბობდნენ აფხაზები ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის გარკვეულ ეტაპზე. მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ, რომ მოსკოვი მათ უბრალოდ, თბილისის წინააღმდეგ იყენებდა და როდესაც საქმე მართლაც „დახრჩობაზე“ მიდგა, აფხაზეთი არცთუ მიმდობნი და გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ „უფროსი ძმის“ მიმართ.

მიმედ, მაგრამ მაინც დაიძაბა დემოკრატიზაციის საზღვარი. ცხინვალის მიდამოებში ჯერ კიდევ ისვრიან და ქართველი ჯარისკაცების სიკოცხლაც კვლავ საფრთხეშია... კვირის მნიშვნელოვან მოვლენებზე, რევოლუციის შედეგებსა და მომავლის პერსპექტივებზე აშკარად პოლიტიკოლოგ რამაზ საყვარელიძის ვესაუბრებით:

— რევოლუციის მონაბოვარი საზოგადოებაში არცთუ ერთმნიშვნელოვნად ფასდება და ეს ბუნებრივად არის — შედეგობები ახალ ხელისუფლებასაც აქვს დასაბუთებული. თუმცა აქ, ალბათ შეფარდებას აქვს მნიშვნელობა — ერთი წლის მოღვაწეობის შედეგებიდან რომელი გადარჩება, პოლიტიკა თუ ნეგოტიაცია...

— ხშირად ამბობენ, რომ ერთი წელი რამდენ რეალური შედეგის მისაღწევად ძალიან მცირე დროა. არადა, ახალი ხელისუფლება, როგორც წესი, პირველივე წელს აღწევს ხოლმე ყველაზე მნიშვნელოვან ნარმატივებს. მთავარი ამ შემთხვევაში კარგად დანერგება, რაც მოგეხსენებათ, კარგად დამთავრების საინდივიდუალური გახლავთ. ასე რომ, თუ „ვინმე რამის“ გამოკეთებდა, ნებისმიერ შემთხვევაში, პირველივე წელს ეტყობა ხოლმე. ასე იყო შეგარდნაძის მმართველობის პერიოდშიც — მისი მთავარი მიღწევის, სტაბილიზაციის ელემენტები უკვე მმართველობის პირველივე წელს გამოჩნდა, ასევე იყო გასაბჭოების დროს — ეროვნულთა პათოსი და აღტიყნება სწორედ პირველივე წელს გამოჩნდა. შეიძლება

ითქვას, რომ ასევე სააკაშვილის დროსაც — პირველივე წელს უმნიშვნელოვანეს მოვლენად მიმჩნია აჭარის გათავისუფლება აბაშიძის კლანისგან. შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად, ქვეყანაშიც თანდათან იცვლება კლანური მმართველობა და კორუფციული მენტალიტეტიც. თუმცა სხვა საკითხია, თუ რითი შეიცვლება იგი. მედი-აში უკვე გაჩნდა შემოფთება იმასთან დაკავშირებით, რომ ამა თუ იმ სფეროში ერთ კლანს შეიძლება მეორე ჩაენაცვლოს. თუმცა გადაჭრით დღეს რამის მტკიცება შეუძლებელია. ერთი რამ ცხადია, რომ საზოგადოება ამას აღარ დაუმჯობესებს, იმედნად აქტიურია იგი. ეს აქტიურობა

კორუფციის არასათანადო დაფასებით არის გამოწვეული?

— ჯერჯერობით, ასე გადაჭრით ვერ ვიტყვი, რომ არასამთავრობო სექტორი ახალ ხელისუფლებამ გულაცრუებულია. თუმცა პროტესტის ნიშნები მართლაც გამოჩნდა. ეს მოსალოდნელიც იყო — იქიდან გამომდინარე, რომ რევოლუციის შედეგებზე „საავტორო უფლებების“ მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ეს ძალები ფლობენ (ხელისუფლებამ მოსულ პოლიტიკოსებთან ერთად). ბუნებრივია, ისინი გაცილებით უფრო მომთხოვნი სწორედ მათ მიმართ იქნებიან — ის, რაზეც შეიძლება შევარდ-

რუსეთთან ამგვარი დაბრისპირება საქართველოს გამოსარჩლების მოტივით? — ბუნებრივია, არავის. აღსანიშნავია მეორე გარემოება — გასულ კვირას ტელევიზიით ძალიან ხშირად ტრიალებდა სარეკლამო-პროპაგანდისტული რგოლი, სადაც ქართული არმიის ძლევამოსილების დამადასტურებელი კადრები იყო ნაჩვენები. შემდეგ ჩნდებოდა წარწერა, რომ ქართული არმია ძლიერდება, ამას კი მოსდევს წარწერა, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აუცილებლად აღდგება. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ხელისუფლება ტერიტორიული ერთიანობის აღდგენისთვის აქცენტს შეიარაღებულ ძალებზე აკეთებს? ჩემი აზრით, ნიშნავს. თუ ეს ყველაფერი მხოლოდ იმისთვის კეთდება, რომ აფხაზი და ოსი სეპარატისტები შეშინდნენ, მაშინ საქმეს არასერიოზულად ვუდგებოთ, რადგან კოკოითმა გულითაც რომ მოინდომოს დანარჩენ საქართველოსთან შერიგება, ამას რუსეთის შიშით არათუ ვერ გააკეთებს, ვერც კი გაიფიქრებს. აფხაზეთთანაც ანალოგიურად არის საქმე, არათუ შერიგება — ბალაფში დღედაღამ საქართველოს გინებაშია, მაგრამ მისი პრეზიდენტობა კრემლის სურვილს არ ემთხვევა და სოხუმში უკვე საქვედანიშნულების ჯარები შეიყვანეს...

— გავრცელებული ინფორმაციით, აფხაზეთში იმდენად დაიძაბა ვითარება, რომ მოსალეობა კვების პროდუქტებს იმარაგებს (ვინც რუსეთში გადუგუნავს ვერ ახერხებს). საქმე იქამდეც მივიდა, რომ აფხაზეთში საზონამ ფულის გაცემა შეწყვიტა, რადგან ანგარიშებიდან ფულს მასობრივად ხსნიან... ასეთ ვითარებაში დანარჩენი საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკა თუ „უპოლიტიკა“ რამდენად მისაღებია?

— ვფიქრობ, ამ შემთხვევაში ახალი ხელისუფლება სრულიად გონივრულ პოლიტიკას ატარებს. აფხაზეთში დაბრისპირებაში თბილისის არავითარ შემთხვევაში რომელიმე მხარედ არ უნდა დაფიქსირდეს, არ უნდა დაფიქსირდეს არც მომრიგებელ მხარედ — თუმცა ძალიან საეჭვოა, ასეთი რამ თავად აფხაზეთში მოისურვონ. რუსულ სააგენტოო მანქანას არ უნდა მიეცეს საშუალება, რომ საქართველოს ხელისუფლება ან ქართველი პოლიტიკოსები რომელიმე დაბრისპირებულ მხარესთან გაიყვანოს. დღევანდელი სიტუაცია საქართველოსთვის ძალიან მომგებიანია, რადგან ის რეალობას ასახავს. ყველა კარგად ხედავს, როგორ ცდილობს კრემლი აფხაზეთს თავისი სურვილი მოახვიოს თავს და არჩევანის გაცემაში „დედხაროს“.

— უკანასკნელ პერიოდში საეკლესიო თემა ძალიან აქტიურად გახდა. რეფორმისტობა უკეთესი და არასამთავრობო სექტორი საპატრიარქოს საკმაოდ მძიმე ბრალდებას უყენებენ. მეორე მხრივ, საზოგადოებაში გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ დასავლეთსა თუ ამერიკას საქართველოში ძლიერი და ერთიანი ეკლესიის არსებობა არ აწყობს. რამდენად რეალურია ეს ვერსია?

— ძალიან გამიჭირდება იმის თქმა, რომ ვინმე საქართველოში ამგვარ რამეს გეგმავდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორობა რელიგიის საკითხში არანაირ ვალდებულებას არ გულისხმობს და ოფიციალურად, ეს ნებისმიერ შემთხვევაში საქართველოს გადასაწყვეტია. მართალია, ზოგიერთ პუბლიცისტს თავის სტატიებში მართლმადიდებლობაზე გარკვეული მოსაზრებები ჰქონდა მოყვანილი, მაგრამ ის მხოლოდ ამერიკის ერთ-ერთი მოქალაქეა და ეს სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას სულაც არ ნიშნავს. სხვა საკითხია, რამდენად არის ჩარეული ამ საკითხში ამერიკის მეორე მილიონერი „მოქალაქე“, რომელმაც „ვარდების რევოლუციაში“ დიდი როლი ითამაშა. ასეა თუ ისე, საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია ბევრად უფრო მძლავრ საზოგადოებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამა თუ იმ მხარის უდანაშაულობა ან დანაშაული ვამტკიცო. შესაძლებელია, ეკლესიაში მართლაც ჰქონდეს კორუფციის ფაქტები ადგილი, მაგრამ მე რეალობაზე ვსაუბრობ — გარედან, არასამთავრობო სექტორის ჩარევით და „კმარას“ ძახილით ეკლესიას ვერაფერს დაუშვებენ, საკუთარ თავსა და საზოგადოებრივ განწყობას კი შესაძლოა ძალიანაც ავნონ. პრობლემები, რომელთა შესახებაც დღეს სხვა-ბაასი მიდის, ეკლესიამ თავის თავში, თავისი თუნდა გადახარშის და მოავაროს. მათი მოგვარება გარედან, ქიურგიული და რევოლუციური ჩარევით ვერაზიარად ვერ მოხერხდება. შეუძლებელია, საზოგადოებრივი მსჯელობისა და გაკიცხვის საგანი გახდეს ის ორგანიზმი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და საქართველოს ისტორიაში გადამწყვეტი როლი შეასრულა — იმისდა მიუხედავად, თუ რა მდგომარეობაა დღეს იქ. საქართველოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხები აქვს მოსაგვარებელი, რომლებიც სწორედ ხალხისა და საზოგადოების აქტივობას მოითხოვს. ალბათ, აჯობებს, ჯერ ამას მივხედოთ, თორემ სახიფათო თამაშები არა მხოლოდ მოთამაშებს, არამედ სახელმწიფოსაც გამოუსწორებელ ზიანს მიყენებს. ვფიქრობ, ამას გული სხმობდა პრეზიდენტიც, როდესაც არასამთავრობო სექტორს და მუდღის მოუწოდა, საეკლესიო საქმეების გარჩევისგან თავი შეეკავებინათ.

დაბი გრძელიშვილი

„სახიფათო თემაზე არა მხოლოდ მოთაგაგაგს, არამედ სახელმწიფოსაც გამოუსწორებელ ზიანს მიყენებს“

„ქვეყანაში თანდათან იცვლება კლანური მმართველობა და კორუფციული მენტალიტეტი“



ხელისუფლების დამსახურებაც გახლავთ — ჩემი აზრით, სწორედ ეს ფაქტორია პირველ რიგში ყველაზე მნიშვნელოვანი და არა ის, თუ რამდენად კორუფციული ან არაკორუფციული იქნება დღევანდელი მთავრობა. სანამ ქვეყანაში საზოგადოებრივი აქტივობა იარსებებს, ხელისუფლებაში მავნე ზრახვების სურვილი მუდამ ნაკლები იქნება. მეტ-ნაკლებად პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტორიც, რომ ხალხში კანონის შიში გაჩნდა, თუმცა უარყოფითი მხარე ამ პოზიტივსაც აქვს — კანონის შიშმა ქრონიკული სახე არ უნდა მიიღოს და მისი სახელით ადამიანები არ უნდა იჩაგრებოდნენ. ერთ მაგალითს მოგიყვანთ — ჩემმა ნაცნობმა შემომჩვილა, რომ სამსახურიდან უკანონოდ

ნაძის დროს დიდი ხნური არ ავტებათ, სააკაშვილის მმართველობის დიდი ავიტაჟის თემა ხდება. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც — ნუ დაგვავიწყდება, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ძირითადად საერთაშორისო, უცხოური ფონდებიდან ფინანსდებიან. შესაბამისად, რიგ შემთხვევაში, მათ მიერ გახმანებული პრეტენზია ევროპისა თუ ამერიკის ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის პრეტენზიაც არის ხოლმე. ისიც ფაქტია, რომ დასავლეთი რევოლუციური ხელისუფლების ყოველ ნაბიჯს დიდი გულისყურით აკვირდება — მას არანაირად არ სურს, საქართველოში მორიგი, კორუფციული მთავრობა ჩამოყალიბდეს და ძველს ახალი

საქართველოში მართლმადიდებლური ეკლესია ბევრად უფრო მძლავრ საზოგადოებრივ ინსტიტუტს წარმოადგენს, ვიდრე ეს ზოგიერთებს ჰგონიათ. შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ამა თუ იმ მხარის უდანაშაულობა ან დანაშაული ვამტკიცო. შესაძლებელია, ეკლესიაში მართლაც ჰქონდეს კორუფციის ფაქტები ადგილი, მაგრამ მე რეალობაზე ვსაუბრობ — გარედან, არასამთავრობო სექტორის ჩარევით და „კმარას“ ძახილით ეკლესიას ვერაფერს დაუშვებენ, საკუთარ თავსა და საზოგადოებრივ განწყობას კი შესაძლოა ძალიანაც ავნონ.

გათავისუფლეს. როდესაც ვფიქრობ, სასამართლოსთვის მიემართა, შორს დაიჭირა, — რას ამბობ, რაიმე არ დამაბრალონ და უარეს შარს არ გადავეციდო. ჩვენი წარსული ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, მცირე დანაშაულის პოვნა მაინც, ნებისმიერ ადამიანისთვის შეიძლება. ამიტომაც კანონი ყველასთვის ერთნაირად უნდა კანონობდეს — მათ შორის იმისთვისაც, ვისაც მისი დაცვა და გატარება აქვს დაავალებული.

— ერთი შეხედვით იგი — მადანს შეუძლია თავი იმართლოს, რომ საზოგადოებას კანონის სახელით ჩადენილი უკანონოების შიში წარსულიდან გადმოაყვას...

კლანები ჩაენაცვლოს, რომლებიც მის მიერ გაღებული დახმარების უდიდეს ნაწილს მიითვისებენ და შეტყობენ... თუ გასოვთ, თვით ახალი ხელისუფლების გუნდის წევრმა, ელენე თევდორაძემ, როდესაც ბრიუსელიდან დაბრუნდა, აღნიშნა, რომ ევროპული ორგანიზაციები საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვის ხარისხზე უკმაყოფილებას და შემოფთებასაც გამოთქამდნენ. თუნდაც, მოლაშვილის შემთხვევა ავიღოთ — როდესაც ადამიანის არც დაჭერა იყო მთლად არგუმენტირებულად დასაბუთებული და არც მისი ციხეში გაჭერა — სწორედ ამის გამო, მას ვეღარც უშვებენ, რადგან თუ გამოუშვს, მაშინ საზოგადოებას ისიც უნდა აუხსნან, თუ რატომ დაიჭირეს, და არა მხოლოდ საზოგადოებას, არამედ სტრასბურ-

პოზიტივად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტორიც, რომ ხალხში კანონის შიში გაჩნდა, თუმცა უარყოფითი მხარე ამ პოზიტივსაც აქვს — კანონის შიშმა ქრონიკული სახე არ უნდა მიიღოს და მისი სახელით ადამიანები არ უნდა იჩაგრებოდნენ.

— იცით, ფსიქოლოგიაში ასეთი ელემენტარული ცნება არსებობს: თუ ვინმეს სიბნელეში ბუჩქი მგელი ჰგონია, ე. ი. მართლაც არსებობს ალბათობა იმისა, რომ ეს ბუჩქი მგელი აღმოჩნდეს. რაც არ უნდა მცირე იყოს ალბათობა იმისა, რომ შიში რეალურია, გამოდის, იგი მაინც არსებობს.

— უკანასკნელ პერიოდში არასამთავრობო სექტორი (განსაკუთრებით „კმარას“) ხშირად უკმაყოფილებას გამოთქვამს ხელისუფლების მიმართ. რამდენად სამართლიანია შეიძლება იყოს მათი პრეტენზიები — თუ ეს ყველაფერი მთავრობისაგან ამ სექტორის რევოლუ-

გის ადამიანის უფლებათა დამცველ სასამართლოსაც. თუმცა, ამ პასუხის მოფიქრება როგორც ჩანს, ხელისუფლებას მაინც მოუწევს. დასავლეთის მხრიდან უკმაყოფილება ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის გართულებამაც გამოიწვია. დღევანდელ მსოფლიოში ომის წარმოება არავის აწყობს. საქართველო კი ევროპისა და ამერიკის ინტერესების სფეროში შედის. ყველა კარგად იცის, რომ თუ ცხინვალის რეგიონში ომი დაიწყება, პრაქტიკულად, ეს არ იქნება ომი საქართველოსა და კოკოითის კრიზისულ რეაქციებს შორის. ამ ომში ფორმალურ დავაგუფებას შორის. ამ ომში ფორმალური მხარეს რუსეთის კარგად განვრთნილი სპეცრაზმები იდგება. ვის აძლევს ხელს

საქართველოში მთავრდება წელიწადი, რომლის წევრსაც წმინდა გიორგის ეკლესია არ ამკობდა, გვამცნობდა ვახუშტი ბატონიშვილი და მათი რიცხვი რომ წელიწადის დღეებს უტოლდებოდა, არც ამასი დაქვეყნება ვინმე.

დიდმოწამე, ჩვენს წარმოსახვაში თეთრ ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი, ამავდროულად ქართველთათვის სამართლიანობის, სიციხისა და მტერთა ძლევის სიმბოლოდ ქცეულა. ამის გამოძახილი იყო, უმძიმეს ბრძოლებში ქართველთა ლაშქარს მასილმუხართული მხედარი რომ მოეხდინებოდა შემწე და მუხად... თუნდაც ის რად ღირს, რომ უპირველესი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის აღწერით, დიდგორის ომში მეფის მხედრობას წმინდა გიორგი „განცხადებულად და ყოველთა სახილველად“ წინ უძღოდა. უბრალო რაინდს განსაცვიფრებელი თავგანწირვითა და ბრძოლის თინით გაუოცებია მებრძოლნი: როცა უკანდახევას აპირებდნენ, მაშინ უშიშვლებია მასილი, იმედინი შესახილით გაუმხენებია მეომარნი და ისეთი ძალა მიუცია თითოეულისთვის, ურწმუნოთან შესაბამელადაც რომ ყოფილიყო... ნუთის წინ გამარჯვების ყოინისთვის განუადგებელი მტრის ჯარისკაცები ერთმანეთის მიყოლებით ცვიოდნენ ძირს ორღესუ-

დიოკლიტიანე... მზრუნავი ბორბალი, წვერბას-რი რკინის ძელები, ხაროში ჩადგება, გასურებულ, გამოუნუნევი კირის თაზე გადმოპირქვევება, წვერნამახულ ლურსმანგაროლი რკინის გავარვარებული ჩქებების ჩაცმა და ვინ მოთვლის, რას არ კარნახობდა სიციხის პირას მისულ გამძინვარებულ დიოკლიტიანეს სულში ჩასახლებული სატანა. არა, დაბნელებული ჰქონდა გონება, თორემ იმდენი სახსნული იხილა ცხადად, იმდენი და მათ შორის მისი მუღღე ალექსანდრაც ხომ შეუდგა მაშინ დიდმოწამეს, ის კი მაინც ბორონათათვის მსხვერპლთშენიერას მოუწოდებდა მონამეს, რომელსაც სიკვდილით დასჯის წინა ღამეს თავად უფალმა შეუქო თავი გვირგვინით — ნუ გვიმინ, მალე მიხილავ და მიიღებ შენთვის განკუთვნილ ადგილს ზეცაშიო...

ბორბალზე ნამება თავადევი იხილა მრავალმა ურწმუნომ, რომელთა შორის უმრავლესნი ქრისტეს რჯულზე მოექცა, მას შემდგომ რაც ირწმუნეს უფლის ძალა. წმინდა გიორგის ბორბალზე ნამების დღე 23 (10) ნოემბერი გამოირჩეული პატივით მიიღო ქართველმა ერმა და იგი თავის უმთავრეს საღვთო დღესასწაულად აქცია...

ხალხურ ლექსებსა თუ ლეგენდებში ხომ ბადალი არა ჰყავს მძლეობაზე თეთრ გიორგის.

წმინდა გიორგის პატივი გვფარავდეს



წმინდა გიორგი ცხენზე ზის, ქვეშ უქრის ნიავქარია, მხარზედა ჰქიდავ მათრახი სამოცდასამი მხარია. ვისაც დაუქნევს, დაიწვეს — მავის დაკრული მწარია. შამაურა საყმოთა, სუ შაგროვა ყმაინა, უგულოს გული ჩაუდგა, ნელზე შაბა ხმლია.

რაც შეეხება ბორბოტი გველუმპის ძლევის სახსნულს, იგი გამოჩენილი აღმოჩნდა ქართველ ხატმწერათათვის. ჩვენს ორესტებსა თუ ხატებში მეტწილად აღბეჭდილია თუ როგორ ამარცხებს ცხენზე ამხედრებული წმინდა გიორგი კუშას...

...გრძელდებოდა წმინდა გიორგის სახსნულები. ლომისის წმინდა გიორგის ეკლესიის მუხის კარზე ფოლადი გადაუკრავთ და ოთხ მწკრივად რგოლები დაუყობლიათ. ტაძარში ქურდი რომ არ შეპარულიყო, დარაჯი ამ რგოლებს ფეხზე აყენებდა — თუ ვინმე კარის გაღებას დააპირებდა, რგოლები ხმაურით ეცემოდა ძირს და დარაჯიც უშალ ივებდა...

ერთხელ, ეკლესიის მახლობლად ჯარს შეუსვენია. კრძის მოსახარებად შუბა ვერსად უნახავთ. სარდალს ბრძანებით ლომისის ეკლესიის კარი ჩამოუხსნიათ. დანაყრებულან თუ არა ჯარისკაცი, ერთიანად დაუკრავთ თვალისინი... წმინდა გიორგის დაქოქილი შევედრა თურმე სარდალი — ოლონდ დანაშაული შეგვინდე, თვალი აგვიხილე და ტაძარს მე თავად შევებამ რკინის კარს... შეუსვენია წმინდანს ბრძანა მუდარა...

გიორგობის დღესასწაული საქართველოში იზიგიება არა მხოლოდ წმინდანის ბორბალზე ნამების (23 ნოემბერი) და მისი გარდაცვალების დღეს (6 მაისი), როცა წმინდანი მახვილით განიგმირა მას შემდგომ, რაც უფლისადმი ლოცვა განასრულა და მშვიდად მიუშვირა კისერი ჯალათს... სხვა მრავალი დღეც დაუნსებია ქართველ ხალხს წმინდა გიორგის მოსახსენებლად და ოდითგან იმართება საეკლესიო და საერო დღესასწაულები იმ ეკლესიებსა თუ სალოცავებში, რომელთაც წმინდა გიორგის სახელი ჰქვია: კახეთში — ალავერდისა და აწყურის ეკლესიები, მთიულეთში ლომისის ჯვარი, ხევსურეთში ხახმატისა და გუდანის ჯვარი, ფშაველში ლაშარის ჯვარი, გურის (ცხინვალის რაიონში), მერეთის ეკლესიები... ილორის ტაძარი აფხაზეთში და მრავალი სხვა.

...თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო მიდიოდა აფხაზეთში, ილორის ეკლესიაში გიორგობის დღესასწაულზე. ამ ტაძარშივე ინახებოდა თურმე წმინდა გიორგის ნაქონი მშვილდი და სპილენძის ბუკი. ოდესღაც თალიდან სახსნულ-მოქმედი სახსნოციც ეშვებოდა და მოდავენიც მის ქვეშ დგებოდნენ სიმათლის საპოვნელად. მაგრამ ერთხელ უფრო მორწმუნეს წმინდა გიორგის მოტყუება უცდია და მასაც ზეცად აღუწვევინა სახსნოცი.

წმინდა გიორგის მშვილდში სამჯერ გაივლიდნენ წმინდანისაგან შენენის მომლოდინენი. შესანიშნავ მრავლად მოქონდათ ტაძარში. მჭედლებს აქედინებდნენ ორპირბოლოიან ისრებს (სვეროდათ, ასეთი ისრებით გმირავდა მტერს წმინდა გიორგი). უშვილო ოჯახებს ვერცხლის პატარა აცვენთ მოქონდათ... უამრავი თაფლის საწითელი ინთებოდა წმინდა გიორგის სახელზე ჩამოსხმული...

ახლა აღარაფერ მიდის ილორში... ლამის ჩვენც დაგვაწიწიონ ილორის ეკლესია და აფხაზეთი, სადაც ეს ტაძარი დაჯანებული...


იმედს ნუ დაკარგავთ. წმინდა გიორგის მაღლი შენევა საქართველოს და მის ძირძველ მიწას — აფხაზეთსაც მალე დაეუბრუნებთ... რომ მერე ერთად ვიხილოთ წმინდა გიორგის ახალი „სასწაული“, ქართველთა, აფხაზთა და ოვსთა ერთად ყოფნა რომ ერქმევა...

ელენე საღარიბე

ნამოს ჩაქრალი პარსკლავი ისევ აკიფდა...

მზად ვიყავი, იმ დღეს მთელი ქონება გამეყიდა და ნატოს გზა ვარდებით მომეფინა...

უდროოდ ჩამქრალ ქართული კინოს ლეგენდის, ნატო ვანნაძის ვარსკვლავი რუსთაველის პროსპექტზე აკიფდა — ფილარმონიის წინ ვარსკვლავების გახსნის ტრადიციამ გაგრძელება კინოთეატრ „რუსთაველთან“ პოვა. ამიერიდან რუსთაველის პროსპექტზე მოსიარულენი მოკრძალებით აუვლიან გვერდს ვარსკვლავიან ქვის ფილას. „ნებისმიერი ახალი ფაქტით რალაც იწყება, — ამბობდა ვარსკვლავის საზეიმოდ გახსნისას ნატო ვანნაძის ვაჟიშვილი, კინორეჟისორი გიორგი შენგელაია, — ვარსკვლავის გახსნა დედაქმნის 100-წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო პროგრამის ერთგვარი დამატირი-გვიწველი აკორდი იყო. კინოკამერის მიერ ამ ვარსკვლავის გახსნა იმის მიმანიშნებელია, რომ აქ ამიერიდან ვარსკვლავთა გალერეა მოეწყობა. არ ვიცი, რა აქვს გადაწყვეტილი კინოკამერის, მაგრამ ამ ფილაქანზე მე სპარტაკ ბალაშვილს, მიხეილ ქიაურელს, მიხეილ კალატოზიშვილს და ყველა იმ ნამდვილ ვარსკვლავს ეხედავ ვინც ქართული კინო შექმნა.“



მისი შვილები. არადა თურმე ისინი აქვე, ჩვენ გვერდით დააბიჯებენ. დღემდე არც ის ვიცოდი, რომ ჩემი საყვარელი ფილმის „შერეკილების“ რეჟისორი ელდარ შენგელაია იყო. მე ის მხოლოდ „ვარდების რევოლუციის“ გმირი და დეპუტატი მეგონა. ალბათ მთლად ჩემი ბრალიც არ არის, თუ ქართულ კინოზე ბევრი რამ არ ვიცი. სამწუხაროა, ნატოს ვარსკვლავის ნაცვლად პოლიციის რეჟიმზე ვარსკვლავი რომ გახსნათ, მასზე გაცილებით მეტი მეცოდინებოდა... — ასე გამოხატა თავისი დამოკიდებულება ერთ-ერთმა ტინიჯერმა გოგონამ. ნატოს ვარსკვლავთან ლამის საუკუნეს მიღწეული მამაკაცი იდგა. ქუდი მოეხადა და კინოლენდის უმშვენიერეს პორტრეტს შეხურობდა. მასაც გავესალურე:

— გინახავთ ცოცხალი ნატო ვანნაძე?

სევდამანდგარი თვალებით შემომხედა, გამიღიმა და უფრო თავისთვის ჩაილაპარაკა, — მაშინ სხვა ქარი ქროდა რუსთაველზე. ნატო რომ ჩაივლიდა, ჩუმად ავედევნებოდი ხოლმე. მაშინ ქალებს სხვა ეში და კდემს ჰქონდათ, ყველა მამაკაცს რომ ატყვევებდა. ლამაზ ქალს რუსთაველზე ქულის მოხდითა და მოინიშნებოდა ვესალმებოდი. ერთხელ შევეფეთე ნატოს რუსთაველზე, დღევანდელი პარლამენტის შენობის გვერდით. თურმე იქვე ცხოვრობდა. მზად ვიყავი, იმ დღეს ნიკალასავით მთელი ქონება გამეყიდა და ნატოს გზა ვარდებით მომეფინა...

ეკა ლომიძე

წმინდა გიორგის
წმინდა გიორგის

შეიქმნა
გამოვიდა!

მადის მხილვათ!
მადის მხილვათ!

შენიშნა: „კვირის პალიტრის“ კალენდარში 1 და 2 იანვრის მთავარს ფაზები არასწორად არის მითითებული: ნაცვლად ახალი მთავარისა, უნდა იყოს: სავეს მთავარე.

ლი მახვილით განგმირულნი... გასრულდა ომი. ერთმანეთს ეხვევიან გამარჯვებულნი, რომელთა რიცხვს ერთი მებრძოლიც არ დაჰკლებია, მტრის დახოცილ ჯარისკაცთა კი გორა იდგა... ახლა იმ შუბოსან ქაბუქს დაუნსებს ტებნა, ძალა რომ შეჰმატათ... აღარსად იყო...

მერეღა მიხედნენ მეომარნი — წმინდა გიორგი მოსულიყო მსხნელად...

კაბადოკიის ქვეყნიდან ყოფილა იგი, ქართველთა განმანათლებლის, წმინდა ნინოს სამშობლოდან. და-შანი ყოფილან ქართველთათვის ორი გამორჩეული უმნიშვნელო მონამის, ნინოსა და გიორგის მშობლები.

წარჩინებული ოჯახის შვილს, მხედართუფროსს, რაინდობითა და ეპეაკობით გაუთქვამს სახელი. ქრისტეს მიმართ კრპომისასურთა უგუწურების ხილვისას „აღდგა და განუყო ყოველი მონაგები თვისი გლახათა“ და შეუდგა ქრისტეს. ურწმის ლახვრით დაკოდა ბრძანა ურწმუნო მეფემ, დიოკლიტიანემ. შეიპყრეს კიდევაც და როგორც კი აძვერეს მახვილი, მსწრაფლ უკუიქცა იგი წმინდანის სხეულიდან... მაღლი მოახსენა წმინდა გიორგიმ იესო ქრისტესს, რომელმაც განაქარვა უღვთოს მუქარა.

ტანჯვის არაერთი უსაშინლესი ხერხი მოიგონა დესპოტმა მეფემ. ერთ-ერთი ურწმის თვალზე ალესრულა ქალაქ ლიდამი. შემდგომ იმ ადგილას მოციქულთა სწორი, იმპერატორი კონსტანტინე დიდი აღაშენებს ტაძარს, ქრისტიანთა უდიდესი შეშნის სახელობისას. აი, ასე აღწერდა თავის განცდებს ამ ტაძართან კრძალვით მიხაზებული „კვირის პალიტრის“ პირველი მთავარი რედაქტორი, ქალბატონი ლალი გუთთაიშვილი:

„...ისეთი სუნთქვაშეკრული ჩავეში კიბით ტაძრის ქვედა სანახებში, ლამის გული გამიჩერდა. პალესტინაში მასთან შეხვედრისთვის არ ვიყავი მზად. როგორც ჩანს, მესხიერებაში მიწვეული ხსოვნა იმისა, რომ დედამ ქრისტიანთა დიდი დეენის დროს ქაბუკი სამშობლოდან სწორედ პალესტინაში გაიხიზა, აქ, ამ წმინდა ტაძარში უნდა ამოტივტივებულიყო.

თავისი მხედრული შემართებით დიდი სახელი მოუხვეჭავს ქაბუქს... დიდი წინამძღოლი ქრისტიანობისთვის დაუბეზლებიათ და როცა მისთვის რწმუნისგან განდგომა და მონანიება უბრძანებიათ, უფრო და უფრო განმტკიცებულა, სულით უფალთან მიყოფს ხორცი სანამებლად ვერაგათათვის დაუთმია და მათაც არ დაზარებიათ, რა ხერხითა და შემართებით არ უგვემიათ, შუბიც ჰკრეს, ფეხებზე ხუნდები, გულზე ლოდი დაადეს და საყურბოლში ღამენათევი კვლავ იმპერატორს მარუდგირეს.

— უშალ შენ მოუძღვრებდი, ვიდრე მე, შენგან გვემული, — პასუხობდა მხე მხედართმთავარი.

ყველაზე მძიმე სატანველთი ნამება ბრძანა

„მე რომ არ მისვრი, ქართველებს ისიან და აპერიკელს“

მკვლელობა, რომელიც თერთმეტი წლის წინ საქართველოში მოხდა, დღემდე არ ასვენებს ამერიკულ სპეცსამსახურებს. 1993 წლის 8 აგვისტოს ხომ საქართველოში ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსანი ფრედ ვუდროფი მოკლეს. ვუდროფი საქართველოში ამერიკის საელჩოს რიგითი თანამშრომლის სტატუსით საქმიანობდა, თუმცა მისი მკვლელობის შემდეგ გაირკვა, რომ „რიგითი“ სულაც არ ყოფილა. ვუდროფის მკვლელობა ამერიკული სპეცსამსახურების მტკიცებით, საქართველოში რუსულ-ამერიკული ინტერესების შეჯახებას უკავშირდება. ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი ნარკომანია და საქართველოში არსებული რუსეთის სამხედრო ბაზების მდგომარეობის შესწავლით იყო დაკავებული.

ის მასალების დიდი ნაწილი გასაიდუმლოებულია. ვუდროფის ოჯახის ადვოკატი მაიკლ ფულარა აცხადებს, რომ მართალია, ვერ დაზუსტებთ არ არის ცნობილი, ვინ მოკლა ფრედ ვუდროფი, მაგრამ სამაგიეროდ, დანაშაულებით იცინა, რომ მისი მკვლელობა ანაბრად არ არის (!). ვუდროფის ოჯახის ადვოკატმა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში რამდენიმეჯერ შეიტანა მოთხოვნა ახალმოჩენილ გარემოებათა გამო ვუდროფის მკვლელობის საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ამაოდ. გენერალური პროკურატურის უარი ფულარამ სასამართლოში გაასაჩივრა. ამ საქმეზე მთავარი მკვლელობის რაიონული სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას. ამერიკის ფედერალური ბიუროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად ამ ისედაც

ვუდროფის დაღუპვის შემდეგ საქართველოში ჩატარებულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ მას გყავდა შუბლში მოხვდა. ეფ-ბი-ის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგი კი რადიკალურად განსხვავებულია. ამერიკელთა დასკვნით, ვუდროფს გყავდა კეფაში აქვს მოხვედრილი(!).

არ იზიარებენ საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებში.

მკვლელობის დღეს ქართველმა სამართალდამცველებმა დააკვირეს ანზორ შარმაძე, რომელსაც მოგვიანებით ვუდროფის მკვლელობაში დასდეს ბრალი, გასამართლეს და 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუჯდა. გამოძიება ამტკიცებს, რომ ვუდროფი შარმაძის მიერ გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა და ამას რუსულ-ამერიკული ინტერესების გადაკვეთასთან საერთო არაფერი აქვს. ამერიკელებს კი შარმაძის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარებათ და მისი ციხიდან გათავისუფლებას ითხოვენ.

და მაინც, ვინ ან რატომ მოკლა ფრედ ვუდროფი? ან რა დააშავა შარმაძემ ისეთი, რომ სხვისი დანაშაულისთვის აგებინეს პასუხი. „ვუდროფის მკვლელობისთვის მსჯავრდადებული შარმაძე იყო ერთი უბრალო, ქართველი ბიჭი, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა ძალაუფლებასთან. მისი დანაშაული სწორედ ეს არის“, — ფიქრობენ ამერიკელები და საქართველოს მთავრობას სამართლიანობის აღდგენას სთხოვენ.

ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელი ფრედ ვუდროფი მკვლელობის დღეს საქართველოს პრეზიდენტის დაცვის უფროს ელდარ გოგოლაძესა და ორ ქალბატონთან ერთად ავტომანქანა „ნიუი“ მცხეთიდან თბილისში ბრუნდებოდა. საქართველოში ჩატარებული გამოძიებისა და ვუდროფის თანხლებით ვერსიით, მცხეთის შესასვლელთან მათ მანქანის გაჩერება სთხოვა რამდენიმე სამხედროოფორმირებულმა ახალგაზრდამ. საჭესთან მჯდომმა პრეზიდენტის დაცვის უფროსმა მათი მოთხოვნა არ შეასრულა, რის გამოც სამხედრო-ოფორმირებულმა გაისროლა და ტყვია თავში მოხვდა მანქანის უკანა სავარძლის მარჯვენა მხარეს მჯდომ ფრედ ვუდროფს, რის შედეგადაც იგი დაახლოებითანხვეწარ საათით გარდაიცვალა. გამოძიებისასვე ვერსიით, ელდარ გოგოლაძემ, რომელმაც თბილისის საავადმყოფოში დატოვა უკვე გარდაცვლილი ვუდროფი, დაახლოებით 2 საათის შემდეგ დაბრუნდა ე. წ. ნატახტრის ტყთან, სადაც დააპატიმრა შარმაძე, ბერბიჭაშვილი და ბუდიაძე.

თავდაპირველად, შარმაძე და მისი თანხლები პირები ვატეგორიულად უარყოფდნენ გასროლის ფაქტს, თუმცა, მოგვიანებით ბერბიჭაშვილმა და ბუდიაძემ აღიარეს, რომ შარმაძემ გაისროლა, რასაც ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის მაღალჩინოსნის სიცოცხლე ემსხვერპლა.

ამ მოვლენიდან 11 წლის შემდეგ, დაღუპული ფრედ ვუდროფის ოჯახის წევრები საქართველოში ამერიკელ ადვოკატს აგზავნიან და საქმის თავიდან გამოძიებას ითხოვენ. „ამერიკის ფედერალური ბიუროს მიერ მოძიებული მასალები ცხადყოფს, რომ ანზორ შარმაძე უდანაშაულოა. ასეთი ადამიანის ციხეში ჯდომა კი ორმაგად ამძიმებს ჩემი ძის სულს“, — განაცხადა ფრედ ვუდროფის დამ.

ამერიკულმა მხარემ მართლაც ჩაატარა ამ ფაქტის დამოუკიდებელი გამოძიება. გამოძიებ-

შავნელ ისტორიაში უამრავი კითხვის ნიშანი დარჩა. არგუმენტები, რომელიც ამერიკის მხარემ ქართულ სასამართლო წარუდგინა, უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე საქართველოს პროკურატურის მიერ მოპოვებული მტკიცებულებები.

არგუმენტი 1-ელი: ვუდროფის დაღუპვის შემდეგ საქართველოში ჩატარებულმა ექსპერტიზამ ცხადყო, რომ მას ტყვია შუბლში მოხვდა. ეფ-ბი-ის მიერ ჩატარებული ექსპერტიზის შედეგი კი რადიკალურად განსხვავებულია. ამერიკელთა დასკვნით, ვუდროფს ტყვია კეფაში აქვს მოხვედრილი(!).

არგუმენტი მე-2: მანქანაში მსხდომი მოწვევები აცხადებენ, ინციდენტი უწყუთ სიბნელეში, დაახლოებით საღამოს 10 საათის რაღაც წუთებზე მოხდა. ამერიკაში „აღმოჩინეს“, რომ 1993 წლის 8 აგვისტოს საქართველოში 10 საათსა და ექვს წუთზე მხოლოდ ბინდი ჩამონ-

მაიკლ ფულარა: „უცნაურია, რომ ელდარ გოგოლაძეს, რომელსაც გავილი ჰქონდა სათანადო მომზადება და ექსტრემალურ სიტუაციებში ქვეყნის ნორმები იცოდა, ერთბაშად გადააიწვეა გავილი გრენინგები და ისე განერვიულდა, რომ ვერც დამნაშაის დადგენა მოახერხა და ვერც სიტუაციის შეფასება; ხოლო სასიკვდილო დაჭრილს კი მთელი სამი საათის განმავლობაში აქეთ-იქით დაატარებდა“.

ვა და არ შეიძლება, ამ დროს უკუთხეოთ სიბნელე ყოფილიყო.

არგუმენტი მე-3: ამერიკაში ვარაუდობენ, რომ ვუდროფი არა საღამოს, არამედ დაახლოებით დღის 2 საათზე მოკლეს, რადგან საავადმყოფოში 8 აგვისტოს, საღამოს 10.30 საათზე მისულმა ამერიკის საელჩოს თანამშრომელმა დააფიქსირა, რომ გარდაცვლილს ამ დროისთვის გვაგური გამუხების 6-საათიანი ფაზა აღენიშნებოდა. ეს იმას ნიშნავს, რომ არაფრით არ შეიძლება, ვუდროფი ორი საათის წინ გარდაცვლილიყო. გარდა ამისა, ამ ვერსიის სასარგებლოდ ადვოკატ ფულარას წერილობითი ჩვენება მისცა მცხეთის წყალსაქარის მუშამ თამაზ ცერეკაშვილმა, რომელმაც განაცხადა, რომ დაახლოებით დღის 2 საათზე სამხედროოფორმირების რამდენიმე კაცი თეთრ „ნივას“ ანებოდა. მოგვიანებით, მან სამხედროებისგან შეიტყო, რომ მანქანაში ამერიკის საელჩოს გარდაცვლილი თანამშრომელი იწვა. თამაზ ცერეკაშვილმა ეს ჩვენება გამოიძიებასაც მისცა, თუმცა ჩვენებაში 2 საათის ნაცვლად 22 საათია დაფიქსირებული.

არგუმენტი მე-4: ავტომობილ „ნივანე“ პირველად დათვალიერებისას ნატყვიარი ვერაფერი შეამჩნია. იგი ვერ აღმოაჩინა ვერც ვინიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ეფ-ბი-ის აგენტმა. მისი შემჩნევა მკვლელობიდან მხოლოდ 4-5 დღის შემდეგ გახდა შესაძლებელი. ტყვიის აღმოჩენა პირველად ექსპერტმა, ზაზა ალთუშაშვილმა მოახერხა. ამერიკული მხარე ვარაუდობს, რომ გამოძიებამ ნატყვიარის ფაბრიკაცია მოახდინა. ამავე ვერსიის ადასტურებს უშიშროების ყოფილი მინისტრი ირაკლი ბათიაშვილი.

არგუმენტი მე-5: შევარდნაძის დაცვის უფროსის, ელდარ გოგოლაძის ჩვენების თანახმად, მას დიდხანს ეგონა, რომ ტყვია ავტომობილის

წინა ფანჯრიდან შემოვარდა. ამერიკის ფედერალური ბიუროსი უფროსი — თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ რატომ დააპატიმრა იმ ღამეს გოგოლაძემ „ნივიდან“ 15-20 მეტრის უკან მდგომი შარმაძე. ფედერალური ბიუროსი დღესაც ვერ გაურკვევიათ, როგორ სჯეროდა ყველა მოწვევს, რომ ტყვია წინა ფანჯრიდან შემოვარდა და ის მთელი ტანით ავტომობილის უკანა ფანჯრისკენ მიბრუნებულ ვუდროფს (როგორც მოწვევები აღნიშნავენ) უკნიდან პირდაპირ შუბლში მოხვდა(!).

ზემოთ ხსენებულ კითხვებზე, რა თქმა უნდა, ამერიკის ფედერალური ბიუროსი პასუხი აქვთ, თუმცა ამერიკელები მას არ ახმაურებენ და აცხადებენ, რომ ნამდვილი მკვლელის გამოაშკარავება ქართველების ვალია. ამერიკის ფედერალური ბიუროსი აეჭვებს ის ფაქტს, რომ ელდარ გოგოლაძე, რომელიც მაშინ საქართველოს პრეზიდენტის დაცვის უფროსი იყო, დაჭრილი ვუდროფის დანახვისას პანიკაში ჩავარდა და შემთხვევის ადგილზე მას შემდეგ დაბრუნდა, რაც ერთი-ორი საათი ნაუქნა(!).

მაიკლ ფულარა: „უცნაურია, რომ ელდარ გოგოლაძეს, რომელსაც გავილი ჰქონდა სათანადო მომზადება და ექსტრემალურ სიტუაციებში ქვეყნის ნორმები იცოდა, ერთბაშად გადააიწვეა გავილი გრენინგები და ისე განერვიულდა, რომ ვერც დამნაშაის დადგენა მოახერხა და ვერც სიტუაციის შეფასება; ხოლო სასიკვდილო დაჭრილს კი მთელი სამი საათის განმავლობაში აქეთ-იქით დაატარებდა“.

ამერიკის შვედულ შტატებში გამოძიება ფრედ ვუდროფის საქმეს სამჯერ დაუბრუნდა. პირველად ეფ-ბი-ის თანამშრომლებმა ვერანაირი დასკვნა ვერ გამოიტანეს. ფრედ ვუდროფის მკვლელობის საქმე მეორედ მაშინ დადგა დღის წესრიგში, როცა ამერიკელებმა ცენტრალური სადაზვერვო სამართალდამცავი მაღალჩინოსანი ოლდერი ემისი რუსეთის აგენტობაში ახილეს. სწორედ ემისი იყო ის პირი, რომელიც საქართველოში მკვლელობამდე 2-3 კვირით ადრე ჩამოვიდა და ვუდროფს შეხვდა. როგორც ადვოკატი ფულარა აცხადებს, ამერიკელებმა ვერც მაშინ გაარკვიეს რაიმე. მესამედ ამ საქმეს ეფ-ბი-ი მაშინ დაუბრუნდა, როცა საქართველოში თემურ მასხუღია დააკავს. სწორედ მასხუღიამ დაადანაშაულა უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე და ელდარ გოგოლაძე ვუდროფის მკვლელობაში,

თუმცა ეფ-ბი-ი ვერც ამ შემთხვევაში დაადგინა ვერაფერი.

„ვერაფრის დადგენა“ ამერიკელთა ოფიციალურ, საგარეო პოლიტიკას უფრო ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს. მაიკლ ფულარას ორავსროვანი პასუხები სავარაუდოდ ეჭვმიტანილთან დაკავშირებით და მრავალჯერადი მინიშნება იმაზე, რომ ნამდვილი მკვლელის პოვნა ქართველების საქმეა, ეჭვმიტანილის არსებობის საფუძველს ნამდვილად იძლევა მით უმეტეს, რომ ეფ-ბი-ი ანზორ შარმაძის უდანაშაულობაზე უკვე დაყრდნობით ალაპარაკდნენ.

ამასობაში, ანზორ შარმაძე 11 წელია, ციხეში ზის და საკუთარი უდანაშაულობა ვერ დაუმტკიცებია — დღემდე იმეორებს, რომ იმ დღეს მას არ უსვრია.


ანზორ შარმაძე: „უკვე ყველაფრისგან დავილაღე. აღარ მაქვს იმის იმედი, რომ ამერიკელთა მცდელობა რაიმეს შეცვლის. ის, რომ მე არ მისვრია, ის რომ, მე ვუდროფი არ მომიკლავს, საქართველოშიც კარგად იცინა და ამერიკაშიც. პროკურატურა თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის. ხუთი წელი დამჩნია და სწორედ ამ დროის გავლის შემდეგ გამათავისუფლებენ. ლაპარაკი ჩემი უდანაშაულობის შესახებ უკვე მთვეა დაიწყო, თუმცა არაფერი შეცვლილა. რაიმეს იმედი არც ამჯერად მაქვს“.

P. S. როგორც ამერიკელი ადვოკატი ამბობს, ვუდროფების ოჯახს ამ ნაბიჯის გადადგმა სწორედ „ვარდების რევოლუციამ“ გადაწყვეტინა. მსოფლიოს კარგად ახსოვს — ერთი წლის წინ „ვარდების რევოლუციის“ შედეგად სათავეში მოსულმა პირებმა მთელი მსოფლიოს წინაშე გააკეთეს თამამი განაცხადი, რომ ისინი საქართველოში სამართლიანობას აღადგენდნენ.

სათუნა პაიჭაძე

„ალე როკის გვირაბის გაკონტროლება შეუძლებელია?!“

რაზე ისაუბრეს რიჩარდ მაილსმა და გიორგი გოდაბრელიძემ?



გასულ პარასკევს ამერიკის ელჩი რიჩარდ მაილსი საბაჟო დეპარტამენტს ეწვია. ამერიკის დესპანსა და საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარეს, გიორგი გოდაბრელიძეს შორის საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი გაიმართა. მაილსის ვიზიტი თითქოს არც იყო გასაკვირი. საბაჟო სტრუქტურამ ამერიკელებისაგან ბოლო წლების მანძილზე არაერთი დახმარება მიიღო. ეტყობა, ახლაც ყველა ელოდა, რომ მაილსი საბაჟო დეპარტამენტს ახალი ნობათით შევსებულ მთავრობაში მიადგებოდა. თუმცა, როგორც გაირკვა, ამერიკელი სტუმრის ვიზიტს სრულიად სხვა მიზანი ჰქონდა. რიჩარდ მაილსს ნარკოტრანზიტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი აინტერესებდა.

რატომ დაინტერესდა ასე მოულოდნელად ამერიკის ელჩი ნარკოტრანზიტის საკითხით? ან რატომ ეწვია საკუთარი ფეხით საბაჟო დეპარტამენტს, როცა შეეძლო ეს საკითხი უფრო მაღალ დონეზე გაერკვია? ამერიკის საელჩოში ამ კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავს იკავებენ. თუმცა, კულტურული ინფორმაციით, მაილსს სურდა, უშუალოდ საბაჟოს პირველი პირისგან მიეღო ცნობები ამ სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ. კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, საქართველო დღემდე ნარკოტიკების სატრანზიტო ერთ-ერთ ძირითად ქვეყნად რჩება, რაც უკვე ამერიკელებისათვის საგანგაშო გამხდარა. ამერიკა ახლო აღმოსავლეთის ეკონომიკის გლობალურ ცვლილებებს გეგმავს და მის შესრულებაში საქართველოს პატარა, მაგრამ მომგებიანი მოთამაშის როლი ენიჭება. ამ საკითხზე „კვირის პალიტიკა“ სპეცსამსახურების ექსპერტიზის ბიუროსი დააპირდა ექსპერტული ინფორმაციის აწვდინს.

— ამერიკის ელჩის უშუალო დაინტერესება ნარკოტრანზიტის საკითხით ნიშნავს, რომ ამერიკის სპეცსამსახურებს სერიოზული გეგმები აქვთ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — საქართველო ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში ნარკოტიკების სატრანზიტო ქვეყნად ჩამოყალიბდა და მის გარშემო მთელი ინფრასტრუქტურა შეიქმნა, რომლის დანგრევა ერთი ხელის მოსმით ძალიან ძნელი იქნება. მაგრამ დარწმუნებული იყავით, თუკი ეს ინფრასტრუქტურა დაინგრევა, მას გლობალური ცვლილებები მოჰყვება. ცხადია, ეს საქართველოსაც შეეხება.

(გაგრძელება იხ. გვ. 13)

მოისმინეთ ამერიკის ხმის

გადაცემები ქართულ ენაზე

ყოველდღიურად 19:30-დან 20:00

საათამდე „ნიუიარკის რადიოს“ და „რადიო 2-ის“ ტელეფონზე

MORE > WWW.AMNEWS.COM

„თუ ვინმე იყვის „ქაშით“ მივიტანე ფულიო, ბოდიშს მოვიხდი...“

საქართველოს ხელისუფლების ერთნაირი მმართველობა არ ყოფილა იოლი. 23 ნოემბრის „ვარდების რევოლუციას“ აჭარაში 6 მაისის მინირევოლუცია მოჰყვა. მერე იყო აქციები, ჰუმანიტარული შტურმი და მშვიდობიანობის პერიოდის პირველი მსხვერპლი. იყო წარმატებები და განუხორციელებელი მიზნებიც. იყო ბევრი დაპატიმრება და უამრავჯერ დასმული კითხვა — რატომ იმას იჭერენ და რატომ ამას არაო. იყო სახელისუფლებო გუნდი, პირველი მერცხლების გაფრენაც და ახალი ოპოზიციური ჯგუფების გაჩენაც... მაინც როგორ აფასებს ხელისუფლება თავის საქმიანობას? რა დონეზეა საქართველოს უსაფრთხოება? ამ (და ასევე სხვა მრავალ) კითხვაზე პასუხის გაცემა ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ დარაჯს, უშიშროების მინისტრ **პანო მირაზიშვილს** ვთხოვეთ:

— უშიშროების სამინისტროში 6 ათასამდე კაცი მუშაობდა, მაშინ, როდესაც საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის უშიშროების სამსახურში დასაქმებულთა რაოდენობა 2 ათასს არ აღემატებოდა. ოპერატიული მუშაობის ხელფასი უშიშროების სამინისტროში 55 ლარი იყო. ლაბარაკი ზედმეტი იყო ავტომობილებზე, სანავის ლიმიტსა და მობილური ტელეფონების ხარჯებზე. აქედან გამომდინარე, თითქმის წარმოუდგენელი იყო, რომ უშიშროების სამინისტროს ეფექტიანად ემუშავა და შედეგად არ დაეყოფნა... გასულ წელთან შედარებით ოპერატიული მუშაობის ხელფასი შეიძლება გაიზარდა, სანავის ლიმიტიც შესაბამისად არის გაზარდილი. მოგვარებულია მობილურების ბარათებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დაფინანსებაც. თუნდაც ეს ერთი პატარა მაგალითი ცხადყოფს, რა განსხვავებაა უწინდელ უშიშროების სამინისტროსთან. აღარ გავიმეორებ გაცვეთილ ფრაზებს პენსიების გაზრდასა და დავალიანების დაფარვაზე — 1991 წლის შემდეგ, პირველად საქართველოს ისტორიაში არ არსებობს ისეთი დარგი, რომ დავალიანება ჰქონდეს. ძნელად მოიძებნება მსოფლიოში ქვეყანა, რომელმაც წელიწადში საბიუჯეტო შემოსავლები გააორმაგა. პოლიციაში, პროკურატურასა და სხვა სახელმწიფო უწყებებში განხორციელებული რეფორმები წარმატებით განხორციელდა. მოგიყვანთ ერთ სტატისტიკურ მონაცემს, რომელიც უშიშროების სამინისტროს მუშაობას ეხება — შარშან, შარშანწინ და იმის წინ ადამიანთა გატაცებების საშუალო რაოდენობა ყოველწლიურად 60-85 კაცს აღწევდა, მათ შორის, 15-20 უცხოელს იტაცებდნენ. დღეს, თუ არ ჩავთვლით სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის უკონტროლო ტერიტორიებს, ადამიანთა გატაცებების რაოდენობა, ფაქტობრივად, ნულის ტოლია. მეტიც, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ყველა გატაცებისა და

„საქართველოს ეკლესიის ერთიანობა არის სახელმწიფოს განუყოფელი აგრიბუგი“



გატაცებულთა ადგილმდებარეობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას ვფლობდით — დანაშაულები ბინის მისამართებით და დამთავრებული გატაცების ორგანიზატორებით, მაგრამ გასაგები მიზეზების გამო ვერ ვატარებდით ოპერაციებს.

— როცა პრეზიდენტი პროორიტეტად ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას სახატავს, ამ საქმეში უდიდესი დატვირთვა სწორედ უშიშროების სამინისტროს აქვს. რამდენად აკონტროლებთ დღეს ვითარებას სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში?

— ჯერ აჭარაზე გეტყვი... მშვიდობიანი რევოლუციის განხორციელებაში უდიდესი იყო ჩვენი სამინისტროს როლი. ასლან აბაშიძის თანამებრძოლების ე. წ. გადამობრება, ოპოზიციის ორგანიზება, რამაც რეჟიმის დანგრევა გამოიწვია, სწორედ უშიშროების მომზადებული იყო. წარმოდგინეთ, უშიშროების სამინისტროს აჭარაში არც ერთი ინფორმაციური არ ჰყავდა. იქაური, უშიშროების სამინისტრო, ფაქტობრივად, არ ემორჩილებოდა საქართველოს უშიშროების სამინისტროს. მეტიც — ის მთელ საქართველოში აგროვებდა ინფორმაციებს ასლან აბაშიძის რეჟიმის სასარგებლოდ. 3-4 თვეში მოხერხდა არა მარტო ინფორმაციის მოპოვება, არამედ

მოგვეცა თავისუფალი ოპერირების საშუალება. იგივე სიტუაცია იყო აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში — მინიმალურ ინფორმაციებს ვიღებდით. დღეს სულ სხვა სურათი გვაქვს — უშიშროების სამინისტრომ შეძლო ძალზე სერიოზული ინფორმაციების მოპოვება როგორც აფხაზეთში, ისე სამხრეთ ოსეთში. გავანადგურეთ დივერსიული ჯგუფები, რომლებიც ელექტროსახებს აზიანებდნენ, მაგრამ 90% ჩვენი ღონისძიებების საიდუმლოდ დარჩა საზოგადოებისთვის, რადგან ამ ამბების გახმაურება დაკავშირებულია ჩვენს წყაროებთან, რომელთა უსაფრთხოება უნდა დავიცვათ.

— იქნებ მოთხროთ — ჩვენს მტრებს თუ უსმენთ და რამდენად გვაქვს საამისო ტენიკური საშუალებები?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა როგორც ერთი, ისე მეორე მხრივ, ჩვენს ინტერესებს დააზარალებს.

— ბრძანეთ, გავანადგურეთ დივერსიების ჯგუფები, მაგრამ რამდენად ირკვევა, ასეთი ჯგუფები ისე მოქმედებენ საქართველოში. ამის თაობაზე პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე განაცხადა და ისიც დასძინა, ამ საქმეში რუსების ხელი ურევიაო.

— სანამ რაიმე დამადასტურებელი ცნობა არ მექნება, ძნელია განცხადების გაკეთება. თუმცა, ჩვენი ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენ მიერ განადგურებული ჯგუფის სანაცვლოდ, იგივეა ან მიმდინარეობს მეორე დივერსიული ჯგუფის შექმნა. თუ ეს მართლაც მოხდება, იძულებული ვიქნებით იმავე ტიპის ოპერაციები განვახორციელოთ, რათა დავიცვათ ქვეყნის უსაფრთხოება. ეს საკმაოდ რთული საშუალო და ამიტომ პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება გადამცემი სახების ფიზიკური (ცოცხალი ძალით) დაცვის შესახებ. ეს დაახლოებით 200 კმ-იანი მონაკვეთია და ამხელა მანძილზე საკმაოდ ძნელი იქნება ელექტროსადენების დაცვა, მაგრამ ჩვენ შევძლებთ ამ მნიშვნელოვანი დავალების შესრულებას.

— თქვენი აზრით, რა მიზანი აქვთ ამ დივერსიულ ჯგუფებს?

— არიან დინტერესებული პირები და მხარეები, რომელთაც ხელს აძლევს, რომ საქართველო არ იყოს ძლიერი სახელმწიფო, ხელისუფლებას არ ჰქონდეს მაღალი რეიტინგი, ნდობა. ეს იქნება წინა პირობა საიმი-სოდ, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ვერასდროს აღდგეს. შევარდნამ

ეს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის შანსი არ ჰქონდა, მისი რეიტინგი იმდენად დაბალი იყო, რომ მის ლაშქარში მოხალისედ არავინ წავიდოდა. დღეს კი ხალხს იმედი ჩაესახა — ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა აღდგებოდა და რეზერვში ათასობით კაცი ეწერება.

ელექტროენერჯის გათიშვას თბილისსა და რეგიონებში უთუოდ მოჰყვება საზოგადოების აღშფოთება და ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემა და ეს არის მთავარი მიზანი, რომელიც ჩვენს მტრებს ამოძრავებთ. მათ სურთ, დისკომფორტი შეუქმნან ხელისუფლებას და ალარაფერს ვამბობ იმ მატერიალურ ზარალზე, რაც დივერსიულ აქტებს მოჰყვება ხოლმე.

— სწორად ლაბარაკობენ სახელისუფლებო შტოებში არსებული აგენტურაზე აქედან გამომდინარე, მინდა გკითხოთ, არიან თუ არა ასეთები დღევანდელ ხელისუფლებაში და რატომ ჭიანჭურდება ლუსტრაციის კანონის მიღება და მისი ამოქმედება?

— მითი, რომ საქართველოს ხელისუფლება აგენტებით არის გასვებული, მცდარია. მაქვს ინფორმაცია, რომ სახელისუფლებო შტოებში განხორციელებულმა საკადრო თუ სხვა სახის ცვლილებებმა საგონებელში ჩააგდო ჩვენი „კოლეგები“, რადგან მათ დაკარგეს რეალური გავლენა. წინა ხელისუფლების წარმომადგენლები ამყარებდნენ ბიზნეს თუ პირად ურთიერთობებს ჩვენს სხვადასხვა „კოლეგასთან“. ამასთან, კომუნისტების დროიდან გვყავდა ყოფილი საბჭოთა აგენტურაც, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელისუფლებაში ახალი ძალა მოვიდა, ჩვენს „მეგობრებს“ არანაირი თეორიული შანსი არ ჰქონდათ მათთან რაიმე კონტაქტისა. ამ გზით უშიშროების სამინისტროში მარტივად განხორციელდა ლუსტრაცია. არ გამოვიცხავ, რომ ვინმე აგენტი დღესაც იყოს ხელისუფლებაში, მაგრამ საქართველოს დიდ ზიანს ის აგენტები კი არა, ქართველი კორუმპირებული ჩინოვიკები აყენებენ, რომლებიც საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ქვეყანას ძარცვავენ.

— კორუფციასთან ბრძოლაში უშიშროების სამინისტრო აქტიურად არის ჩართული, მაგრამ ამბობენ, კორუმპირებულთა გამოაშკარავება შერჩევით ხდება — ხელისუფლება თავისიანებსა და იმათ, ვისაც ფული „შვ სალაროში“ მიაქვს, არ იჭერსო.

— სრული აბსურდია იმის მტკიცება, რომ ჩვენიანებს არ ვიჭერთ. თუნდაც ის, რომ უშიშროების სამინისტროს მიერ დაკავებულია უკვე რეფორმირებული პროკურატურის 6 თანამშრომელი; ის, რომ უშიშროებამ დააკავა უმრავლესობის წევრი; ის, რომ დაკავებულია ჩვენი ხელისუფლების მიერ დანიშნული რამდენიმე გამგებელი — ამაზე მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ. ავიღოთ, თუნდაც, საგადასახადო ინსპექციაში ჩატარებული სპეცოპერაცია, რომლის დროსაც სულ ახლახან დანიშნული თანამდებობის პირები დააკავეთ.

(გაგრძელება იხ. გვ. 8)

პროკრედიტ ბანკი

დენიშქებს სთავაზობს



პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

100\$-დან 10000\$-მდე

აბსოლუტურად სანაღვროდ

ახსნაბი მუდმივად დასაფინანსებლად

საბანკო ვაჭი: 18 თვეზე - საბანკო საბანკო-საბანკო
(მთავარი მსახი, მსახი-საბანკო, საბანკო, საბანკო, საბანკო საბანკო და ა.შ.)

საბანკო ვაჭი: 36 თვეზე ძირითადი საბანკო-საბანკო-საბანკო
(საბანკო, საბანკო, საბანკო საბანკო და ა.შ.)

საბანკო ვაჭი: სუბსიდიური ან მნიშვნელოვანი

ბანკის მსახი-საბანკო

საბანკო მსახი-საბანკო 118
საბანკო მსახი-საბანკო 118

საბანკო მსახი-საბანკო

საბანკო მსახი-საბანკო 118
საბანკო მსახი-საბანკო 118

საბანკო მსახი-საბანკო

საბანკო მსახი-საბანკო 118
საბანკო მსახი-საბანკო 118

„ქვირის პალიცია“ ინიციატივა გრძელდება

ახლა უკვე „ქუთაისსაც“ გამოუჩნდა გულშემატკივარი...

ქუთაისელების სახით

ცოტა ხნის წინ ამაყად ვერდიტო, — სამი წლის წინ „ქვირის პალიცია“ თაოსნობით დაწყებულ საქმეს ღირსეული გამგრძელებები გამოუჩნდნენო. მამინ ჩვენმა გაზეთმა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების ფლავიანის, სარაკეტო კატარა „თბილისის“ შეფობა იკისრა, ახლა კი თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრამ საარტილერიო კატარა „ახმეტაზე“ დაიწყო ზრუნვა.

გასულ კვირას, თელაველთა მიხედვით, უკვე ქუთაისის ტექნიკურმა უნივერსიტეტმა და, კერძოდ, მისმა სამხედრო კათედრამ აიღო შეფობა სადარაჯო-საპატრულო კატარა „ქუთაისზე“.

19 ნოემბერს ქუთაისელები ეწვივნენ სენია სამხედრო კატარას და მის 20-კაციან ეკიპაჟს უამრავი საჩუქარი (მათ შორის ტელევიზორი) და 400-მდე წიგნი (მხატვრული ლიტერატურა) გადასცეს. თელაველების არ იყოს, პურ-

მარილი არც ქუთაისელებს დაეწუნებათ — კატარაზე სიმბოლურად წარმოთქმული რამდენიმე სადღეგრძელო, მოგვიანებით ბუნებაში ლამაზ ლხინად გაგრძელდა. მაგრამ, რაც მთავარია, ერთმანეთი გაიცნეს და დამეგობრდნენ თანატოლები. მათი ნაწილი დღეს სტუდენტია, ნაწილი კი სამშობლოს სადარაჯოზე დგას.

სადარაჯო-საპატრულო კატარა „ქუთაისის“ მეთაურმა, კაპიტან-ლეიტენანტმა მამუკა ალადაშვილმა გვითხრა, რომ მისი კატარლის ეკიპაჟი ძალიან ნახაიმოვნები დარჩა. საჩუქრებზე მეტად გაუხარდათ ქუთაისელი ახალგაზრდების მიერ გამოჩენილი ყურადღება.

დაიწყო საქმე, რომელსაც არმიისა და საზოგადოების დაახლოება ჰქვია და იმედი გვაქვს, მზრუნველი შეფები არც სხვა ქართულ სამხედრო და სასაზღვრო კატარებს მოაკლდება.

ჩვენ დღეს: სადარაჯო-საპატრულო კატარა №202 „ქუთაისი“ თურქეთში 1998 წელს გადმოგვცა. კატარლის წყალწევა 160 ტონაა, სიგრძე 40 მ-ია, სიგანე — 6 მ. ორი მთავარი დიზელი 18 კვანძის (დაახლოებით 32 კმ/სთ) სიჩქარით ცურვის საშუალებას აძლევს. „ქუთაისი“ შეიარაღებულია ერთი 23 მმ კალიბრით ორლულაანი 3V-23-2 ტიპის, ერთი 40 მმ კალიბრით „ბოფორსის“ ტიპის საზენიტო ქვემეხით და ორი 12,7 მმ კალიბრით DAK ტიპის ტყვიამფრეკვეთი.



„ქუთაისი“ ერთგვარი ქართული „აფორა“, რადგან 2 მაისს, სწორედ მის გემბანზე შეიტყო პრეზიდენტმა სააკაშვილმა აბაშიძის „გმირობის“ ამბავი — ხელების აფეთქება და „მინერალების“ რევოლუციის დასაწყისსაც ჩაეყარა საფუძველი.

სტრატეგიული სივალეების დათმობა არავის უნდა

დემილიტარიზაციის პროცესი დიდი გაჭირვებით მიდის

„ჩვენ უნდა გამოვიყენოთ სოჭის ხელშეკრულება, რათა ოსურ მხარეს დავატოვებინოთ სტრატეგიულად მომგებიანი სივალეები, რომელთა ძალით ადგება, საჭირო შემთხვევაში, უსისხლოდ არ ჩაივლის“, — უთხრა „ქვირის პალიცია“ თავდაცვის მინისტრმა. ამ ნათქვამის მნიშვნელობა ცხინვალის სეპარატისტულ ხელისუფლებასაც კარგად მოეხსენება. სამწუხაროდ, გამართლდა ჩვენი ვარაუდი, რომ 20 ნოემბრამდე არაფრისდებებით არ მოეხსენებოდა ცხინვალის შემოგარენში დემილიტარიზაციის პროცესის არათუ დამთავრება, სერიოზულად დაწყებაც კი.

მეტოც, ოსური მხარის წარმომადგენლებმა დაჭრეს ქართველი სამხედროები, რომლებიც კონფლიქტის ზონაში ქართული სამხედრო ბატალიონის პირადი შემადგენლობის შესაცვლელად მიდიოდნენ შემოვლითი — ერედვი-ხეითის ცნობილი „სიციცხლის“ გზით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ცხინვალს ჯერ კიდევ აქვს ამ გზის საბოლოო ჩაკეტვის იმედი და, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, დიდი ლიხავის ხეობის ქართულ სოფლებზე შეტევა, რათა კვები-თამარაშენის „ყელში გაჩხერილი“ გზის მონაკვეთი საბოლოოდ გააკონტროლონ.

სანგრების ამოცეპას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ახალი პოზიციის მომზადება რამდენიმე საათში შეიძლება. მთავარი იყო, სოჭის ხელშეკრულების თანახმად, კონფლიქტის ზონიდან (ცხინვალის გარშემო 15კმ-ის რადიუსში) გასულიყო ყველა შეიარაღებული ფორმირება, გარდა სამხრეთი — ქართული, ჩრდილოოსური და რუსული სამხედრო ბატალიონებისა. მაგრამ ეს ხელშეკრულება, ეტყობა, თავიდანვე მკვდრად შობილი გახლდათ, რადგან, როგორც ვეარაუდობდით, ოსური მხარე არაფრით არ გაიყვანდა ცხინვალიდან თვითმარქვია რესპუბლიკის შს-სა და თავდაცვის მინისტროს საბრძოლო დანაყოფებს და მძიმე ტექნიკას. სეპარატისტების გაგებაც შეიძლება — როგორც ჩვენ ვფრთხილობთ, რომ ოსურმა მხარემ არ შეუტოვიათ თამარაშენი-კუხვის მონაკვეთს, ასევე ემინათ სეპარატისტთა ლიდერებს ცხინვალზე ქართული იერიშისა.

კონფლიქტის ზონაში დემილიტარიზაციის განხორციელებას ორი-სამი კვირა კი არა, წლები სჭირდება. ჯერჯერობით, საქმე იქითკენ მიდის, რომ ცხინვალის რეგიონში საბრძოლო მოქმედებების შემდგომი განახლების სრული უფლებელყოფა არ შეიძლება.

უვნებლად დაბრუნებულნი...

მათ ანტიპარტიზანული ბრძოლის გაქტიკა თანამებრძოლებს უნდა გაუზიარონ

ამ ვაგაკებს ისე ხვდებიან, როგორც კოსმოსური ორბიტიდან დაშვებულ კოსმონავტებს. არცაა გასაკვირი, საზღვარი არა აქვს ნახევარი წლის შემდეგ ახლობლების შეხვედრის სისხარულს...

ერაყში საშისრობა ყოველ ფეხის ნაბიჯზეა. იქ ყველა ხე თუ ბუჩქი ისვრის, რადგან ასეთია პარტიზანული ომის კანონი. ჩვენდა სახედნეოდ, უკვე მეორედ გაგვიმართლა. ისევე, როგორც შარშან, ერაყში პირველად გაგზავნილი 70 ქართველი დაგვიბრუნდა უვნებლად, გასულ კვირას თბილისში მშვიდობიანად ჩამოფრინდა საჩხერის მე-16 სამთო მსროლელი ბატალიონის 159 სამხედრო.


გაცხარებული პარტიზანული ომიდან უკლებლივ, საღ-საღამათი დაბრუნება დიდი მიღწევა და იღბალია. ერაყში გაგზავნილი პირვე-

ლი სამხედრო კონტინგენტის მსგავსად, მეორეც აქტიურად იყო ჩაბმული კოალიციური ძალების სპეცოპერაციებში. ასეთ დროს მუდმივად არსებობს საბრძოლო დანაკარგის აშკარა საფრთხე. ღვთის შენეებით, ჯერჯერობით, გვიმართლეს.

ერაყიდან დაბრუნებულებს ერთი თვით დასვენების შესაძლებლობა მიეცემა. ამის შემდეგ კვლავ მწყობრში უნდა ჩადგნენ და თანამებრძოლებს გაუზიარონ ერაყში, ანტიპარტიზანული ქმედებების დროს მიღებული საბრძოლო გამოცდილება. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერი გზით აღდგენის შემთხვევაში მონაწილეობაში გამოიყენებს დაახლოებით იმ საბრძოლო ტექტიკას, როგორც თავს უნდა ერაყელი პარტიზანები მოქმედებდნენ დასახლებულ პუნქტებში.

გარემონდავნილი ყაზაქების ბუმი

ქართული სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობა ევროყაზარმებში იბეიმებს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს



სამხედრო ჟურნალისტიკის პროფესიიდან გამოდინარე, არანაკლებ 12 ქვეყნის არმიის ყაზარმა თუ სასადალო დამითვალეიერებია და ერთმანეთისთვის შემიდარებია.

მაგრამ ისეთი უსიამოვნო გრძობა არსად გამჩენია, როგორც ორი წლის წინ საქართველოს თავდაცვის მინისტროს ახალციხის 22-ე ბრიგადის უმუქო, ჩაბნელებულ, საუკუნის წინ აშენებულ ყაზარმაში.

თუკი ჯარისკაცს ლამით თბილად და მშვიდად მოსვენების საშუალებას არ მისცემ, მის ბრძოლისუნარიანობაზე ლაპარაკიც არ ღირს.

23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულსა და „ვარდების რევოლუციის“ წლისთავზე, მოხდებოდა რამდენიმე ათეული ახალგაზრდობის ყაზარმის გახსნა და მამინ შევადგება, რამდენად შეასრულა ხელისუფლებამ თავისი სიტყვა — ჯარისთვის ევროსტანდარტის ყაზარმებს ვაშენებთო.

„ყაზარმების ბუმი“ კი მართლაც შთამბეჭდავია. თავდაცვის მინისტრო საბიუჯეტო სახსრებით არემონტებს ვაზარმა მე-11 ბრიგადის ერთ ყაზარმას 558-კაციან ბატალიონზე და სასადალოს — 1600 კაცზე, თელავში მთავრდება ორი ყაზარმის, სასადალოს, კლუბის, აბანოსა და სამრეცხაოს რემონტი. ქუთაისის ბრიგადებში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს ერთ — 128-კაციან ყაზარმაში და 1200-კაციან სასადალოში, კოჯორში კი 250-კაციან სასადალოს აღამაზებენ.

რასაც თავდაცვის მინისტრო სახელმწიფო ბიუჯეტის თანხებით ვერ არემონტებს, მას „ქართული არმიის განვითარების ფონდი“ ახორციელებს. დაგეგმილია ფოთში, ქუთაისში, გორში, ორჯეშოში ორ ათეულამდე ყაზარმის, სასადალოს, აბანოსა და სხვა დამხმარე ნაგებობების კაპიტალური რემონტი და თანაც ევროპულ დონეზე — მაგალითად, ფოთის ყაზარმაში გათბობის უნიკალური სისტემა ხის იატაკის ქვეშ არის დამონტაჟებული. კოჯორში კი მალე გაიხსნება ოფიცერთა სასტუმრო სახლი, რაც ქართული არმიის რეალობისთვის მართლაც რომ დიდი სიახლეა.

ყოფილი შინაგანი ჯარები, იგივე მომავალი

ეროვნული ჯანდარმერია ცდილობს, არ ჩამორჩეს თავდაცვის მინისტროს — ყოფილი მე-8 პოლკის, ახლანდელი 1-ლი ოპერატიული ბრიგადის ტერიტორიაზე 22 ნოემბერს გაიხსნება გარემონტებული ყაზარმები 1500 მეტრძოლზე (საქართველოს სამხედრო ძალების მთავარსარდალი ალბათ პირველად სწორედ ამ გარემონტებულ ყაზარმებს მოინახულებს), ქუთაისში 600-ზე და მუხრანში — 800 კაცზე.

სარემონტო სამუშაოები არც უშიშროების მინისტროს დაუზარებია — გარემონტდა ორი ყაზარმა თბილისში და თითო-თითო — გორსა და ზუგდიდში.

რა სამწუხაროც არ უნდა იყოს, შს-ში შესულმა სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა, ჩვენი მონაცემებით, უსახსრობის გამო, ვერ შეძლო ყაზარმების კაპიტალური გარემონტება. არადა, შესაზღვრებები ხშირად უფრო მძიმე პირობებში ასრულებენ დაკისრებულ დავალებებს და მათაც არ აწყენდათ თანამედროვე ყაზარმები. თუმცა, ბოლო წლებში აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა ისეთი დახმარება გაუწია ქართულ შესაზღვრებებს, რომ მათ ბევრი პრობლემა უკვე მოგვარებული უნდა ჰქონოდათ.

„გარემონტებული ყაზარმების“ ბუმი მით უფრო გასაოცარია, რადგან ბოლო დროს კაპიტალური რემონტს მხოლოდ მინისტრებისა და მათი მოადგილეების კაბინეტებს უკეთებდნენ, ფანჯრებჩაღწევილ და ქურჩამოქცეულ ჯარისკაცთა ყაზარმებში კი ქარი დანავარდობდა. მშენებლობასა და კაპიტალური რემონტზე წლების განმავლობაში სამხედრო ბიუჯეტში ერთი თეთრიც არ იღებოდა და ქართული სამხედრო ძალების პირადი შემადგენლობა შეუძლებელი იყო აშენებულ ყაზარმებში ითოშობა.

P.S. იმედს ვიტოვებთ, რომ ყაზარმების კაპიტალური რემონტის 23 ნოემბრისთვის მოსწრების გამო სამუშაო ნაუცხადდება არ ჩატარდა. გაახსოვდეს, რომ ჯარისკაცები რემონტის ხარისხიანობის ყველაზე კარგი შემფასებლები არიან.

რუმბოკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა

უკვე იყიდავა

ყოველთვიური საგადასახადო-ანალიტიკური ჟურნალი

არს-ენალი

„მსხვილი“ რუმბოკა უკვე არასოდეს დაიხვეწს

გეზური „დანა“ ანტიტული სანაპირის სადარაჯოზე

მანის სივალე პიტი
საუთარ თავი

Land Rover Defender

მარტოვანი
საპირველადი ავსტრალიული „კლუბი“ ევალტორეაზიან

როდონ ბრძენი
ბრძენი ბრძენი

მარტოვანი
საგადასახადო-ანალიტიკური ჟურნალის მკითხველი

მარტოვანი
საგადასახადო-ანალიტიკური ჟურნალის მკითხველი

მარტოვანი
საგადასახადო-ანალიტიკური ჟურნალის მკითხველი

უარხან ამ დროს გახილავით უარხან იხილეთ უარხან

ეს კორუფციასთან ბრძოლა კი არა, ჩინოვნიკების დაშინებაა

მაშინ, როდესაც ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ წლისთავს ზემოთ და ერთგვარი თავმონობით ხვდება — ამ ერთ წელიწადში ბევრი მოვასწარი და გაგაკეთეთ, საინტერესოა ოპოზიციის, განსაკუთრებით კი მათი აზრი, ვინც ნოემბრის იმ მდებარე დღეებში ხელისუფლებას გვერდით ედგა, მაგრამ შემდგომ განზე გადას. ერთ დროს ნაციონალური მოძრაობის თანათავმჯდომარისა და ამჟამად კი ოპოზიციონერი **დავით ბარბაქაძის** აზრი მოსტრევი-ოლუსიურ ერთ წელიწადსა და იმაზე, თუ რა შეძლო და რა ვერა სააკაშვილის რევოლუციურმა ხელისუფლებამ, ვიციკრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება:



უხეში დარღვევით (3 ნუთში 3 კენჭისყრით), იცვლება კანონი და არჩევნებზე მოსახლეობის 1/3-ის მისვლის ბარიერს აუქმებენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას ეშინია. მიუხედავად პარლამენტში რაოდენობრივი უპირატესობისა, მათ კანონდარღვევით მიიმატეს ოთხი დეპუტატი, რადგან მათი იქნება, რომ ადრე თუ გვიან საპარლამენტო უმრავლესობა დასუსტდება, რაოდენობრივად შემცირდება, მოხდება მისი დისკრედიტაცია და წინასწარ იზღვევენ თავს.

— იმაზე ბევრად უკეთესს, რაც ამ ერთი წლის მერე გვაქვს, ბუნებრივია, არ ვლოდით. არ ვარ რომანტიკოსი და არც ოპტიმიზმი მაქვს მოჭარბებული. კარგად ვიცნობდი სააკაშვილის მინუსებსაც, პლუსებსაც და ვიცოდი, რისი მოლოდინიც უნდა მქონოდა. უნდა ვთქვა, რომ ამ რევოლუციის პირველ წლისთავზე კარგიც არის და ცუდიც. ჯერ ერთი, თავად 23 ნოემბერია ძალზე მნიშვნელოვანი და ღირებული თანამედროვე საქართველოს ისტორიაში. შევარდნაძის ხელისუფლებისა და მთელი მისი პოლიტიკური კლასის უსისხლოდ წასვლა ასპარეზიდან ძალზე სერიოზული ფაქტორია. 23 ნოემბრის გაგრძელება და შედეგი იყო 6 მაისი — ასე რომ, ნოემბრიდან მაისის ჩათვლით პლუსი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მინუსი. თუმცა იმ ეტაპზეც გამოჩნდა შემამფოთებელი ტენდენციები. უპირველესად კი თებერვალში განხორციელებულ საკონსტიტუციო ცვლილებებს ვგულისხმობ, რომელიც დიდი დარტყმა დემოკრატიაზე — მაშინ შოკში მყოფი ძველი პარლამენტი მთლიანად წაუნვა ახალ ხელისუფლებას და საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად მივიღეთ სუპერ-საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელი; ანუ რაც 1995 წელს, კონსტიტუციის მიღებისას, ვერ გააკეთა შევარდნაძემ, ერთი ხელის მოსმით გააკეთა სააკაშვილმა და ეს ძალიან ცუდია. სუსტი პარლამენტი ქვეყნის სტრატეგიული განვითარებისთვის სასარგებლო და სასურველი არ არის. პოლიტიკური პლურალიზმის მკვეთრი შეზღუდვა — საპარლამენტო შემოღობის დამცრობა ქვეყნის განვითარებისთვის ხელშემშლელი რომ იქნება, უკვე ცხადია. ამ ერთ წელიწადს ორ ნაწილად ვყოფ: ნოემბრიდან მაისის ჩათვლით პერიოდი პოზიტიური იყო, მაისის შემდეგ კი, სამწუხაროდ, გაცილებით მეტია ნეგატიური. ხელისუფლებამ პირველივე გამოცდა დემოკრატიაში ვერ ჩააბარა. უპირველესად გვეულისხმობ აჭარის პრობლემატიკის მიმართ დამოკიდებულებას. ხელისუფლებამ დრაკონული კანონი მიიღო აჭარის სტატუსის შესახებ, რაც მას რეალურად საბჭოთა, ანუ ნომენკლატურული რეგიონული ავტონომიის პირობებში აბრუნებს. რეგიონს და მის უმაღლეს საბჭოს არავითარი რეალური უფლებამოსილება არ გააჩნია. დღეს სახეზეა ნომენკლატურული ადგილების სიჭარბე და კორუფციის ინსტიტუციური შესაძლებლობა.

ჩემთვის უკვე აშკარაა — ხელისუფლება თადარიგს იჭერს, მას საკუთარი თავის იმედი არ აქვს და სანამ პარლამენტში უპირატესობა ჰყავს, ცდილობს, მეტი მოახროს. ვიცი, რომ გამოხადდა ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტი, რომლის თანახმად მერის პოსტი არჩევითი იქნება. სააკაშვილს არ სიაშიაოვნებს არჩეული მერი, რადგან შესაძლოა ის მისი მომავალი კონკურენტი აღმოჩნდეს.

ხელისუფლების ქმედებების მთავარი მახასიათებელი ამ ერთი წლის მანძილზე შედაპირულობაა — ისინი ნახევარფაბრიკატებს უშვებენ. მათი საკანონმდებლო პროდუქტი, ისევე როგორც მათი საკანონმდებლო პროდუქტი, ნახევარფაბრიკატია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ერთი ნუთითაც არ ვაყენებ ექვემდებარებას 23 ნოემბრის პოზიტიურობას — ხალხმა გმირობა ჩაიდინა და თავისი არჩევანი დაიცვა. განსაკუთრებულია სააკაშვილის ღვაწლი და დამსახურება როგორც შევარდნაძის, ისე აბაშიძისაგან ქვეყნის გათავისუფლებაში, მაგრამ ამაზე გაცილებით დიდი ღვაწლი ქართველ ხალხს მიუძღვის ჩოლოქს გაღმა და გამოღმა საქართველოს ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა, რომ აჭარაში რევოლუცია მოხდა და სასურველია და სასუქმა კი არა, ხალხმა მოახდინა. რაკი არ იცოდნენ აჭარაში რეალურად რა მოხდა, იფიქრეს, სამხრეთ ოსეთშიც სპეცსამსახურებითა და ფეცილით მოვახდენ რევოლუციასო. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ აჭარაში ხალხი აბაშიძის მძევალი იყო და მისგან უნდოდათ გათავისუფლება, სამხრეთ ოსეთში კი არის ხალხი, რომელსაც არ აქვს სურვილი და მოთხოვნა, საქართველოს შემადგენლობაში იცხოვროს მანამ, სანამ კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გარანტია არ ექნება. სააკაშვილმა ბევრჯერ თქვა, სამხრეთ ოსეთი აჭარაზე 5-ჯერ პატარაა და გაცილებით იოლია ამ პრობლემის გადაჭრა — ეს არსებული რეალობის შეუფასებლობა იყო.

რაკი საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთის საკითხში რაიმე განსაკუთრებული ინიციატივით არ გამოვიდა და თუკი კარგს არ აკეთებს, ცუდაც არავფერს ჩადის — ამას პლუსად ვუთვლი. საქართველოს ხელისუფლებამ ძალიან სწორი და კორექტული პოზიცია აირჩია აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნებისადმი.

აი, ასეთია ჩემი აზრით, საქართველოს ხელისუფლების საქმიანობის პლუს-მინუსები ამ ერთი წლის მანძილზე. თუმცა, არ მიმაჩნია, რომ სააკაშვილმა უკვე ამოწურა თავისი პოზიტიური შესაძლებლობები. სააკაშვილი აღმოჩნდა ორიენტირი ზვიადისტივისა და ანტიზვიადისტივისთვის, ზომიერი შევარდნაძისტივისთვის და ანტიშევარდნაძისტივისთვის, ქართული ინტელექტუალური ელიტისა და ქართველი ნაციონალისტებისთვისაც, იმ სამოქალაქო სექტორისთვის,

რომლისთვისაც დემოკრატია უმნიშვნელოვანესი ღირებულებაა. სააკაშვილი თავისთავად კრებითი ფიგურაა, მაგრამ ის ასეთი ციდან არ ჩამოვარდნილა, ყველა ჩვენგანმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა მისი შექმნა. ჩვენი ვარაუდი, რომ სააკაშვილი პოზიტიურ როლს შეასრულებდა შევარდნაძისა და აბაშიძისაგან ქვეყნის გათავისუფლებაში, გამართლდა. თუმცა, გამოჩნდა, რომ მას აქვს პიროვნული შეუთავსებლობა ნიგინიერ და კომპეტენტურ ხალხთან მუდმივი თანამშრომლობისა. მას აქვს ფსიქოლოგიური პრობლემა იმ ადამიანებთან, ვინც ქლესა არ არის. სააკაშვილს ურჩევნია, იერარქიულად გაამწკრივოს ხალხი ვეზირობისთვის. ეს კი ნიშნავს, რომ პრეზიდენტს ანტიდემოკრატიული მართვის ტენდენციები აქვს. თუ სააკაშვილი მეტად დემოკრატიული მმართველი იქნებოდა და „იპაველებდა“, ეს გაცილებით უკეთესი იქნებოდა ქვეყნისთვის, ანგარიშგასანევი პოლიტიკური ჯგუფები და ფიგურები მასთან მჭიდროდ ითანამშრომლებდნენ.

კიდევ ერთი მინდა ვთქვა, რაც შეიძლება ფართო და საყოველთაო ამნისტიის მომხრე ვარ, მაგრამ გაუგებარია, რატომ უნდა ეპატიოს მათ, ვისაც ყველაფერი დეკლარირებული აქვს და 1997 წელს ამ სახელისუფლებო გუნდის მიერ მიღებული კომპარტიული საგადასახადო კოდექსის გამო ვალები დაუგროვდა. დღეს ძალიან ძნელია ქართველი მილიონერების ჩინოვნიკებად და ბიზნესმენებად დაყოფა. გარდა ერთი-ორი გამონაკლისისა, ქართული ბიზნესი ჩინოვნიკური ბიზნესია. ეს არის კომუნისტური საქმისების სინდიატი. თუ გვსურს ქვეყანაში არსებული სახსრების ლეგალიზება და ამ სახსრების საქართველოში დაბანდება, ამნისტიის ყველაზე უნდა გავრცელდეს, შესაძლოა ამნისტიის არ გავრცელდეს პარლამენტისა და მთავრობის წევრებზე, დანარჩენებზე კი აუცილებელია.

— სამომავლოდ რას ელით?
— თუ ხელისუფლება მიხვდება, რომ პოლიტიკური სივრცეში ლეგალური და გამჭვირვალე თამაშის წესები უნდა დაიცვას, რომ ნაციონალური პარტია მხოლოდ სახელმწიფო პარტია არ უნდა იყოს, მაშინ ამ ხელისუფლებას პოზიტიური საქმეების კეთების პერსპექტივა აქვს. თუ სააკაშვილი ამას ვერ მიხვდება ან ვერ შეეგუება, უსუსტად ის დემარტება, რაც გამასხურდას მისი „მრგვალი მაგიდი“ შევარდნაძეს — მისი „მოქალაქეთა კავშირით“ და აბაშიძეს — მისი „ალტორმინებით“. ქართველები ავტორიტარულ მმართველობას ვერ ვიტანთ. რაც უფრო დიდხანს გაინელებს ავტორიტარული მმართველობა, მით უფრო განსაკუთრებით მკაცრი იქნება ხალხის დამოკიდებულება ამ მმართველობის მიმართ, მაგრამ ეს ქვეყნისთვის არ იქნება კარგი. მიჩვენია, სააკაშვილის ანტი-დემოკრატიული გადახრები საზოგადოების უენოლითა და კანონით მოითხოვს და პრეზიდენტი ვაიძულებს, პოზიტიურად იმუშაოს არა მხოლოდ აჭარის მშენებლობის, არამედ ქვეყნის დემოკრატიული განვითარების, ლიბერალური ეკონომიკის განვითარების მიზნაკაც.

ბოლოს კი ვიტყვი, რომ ამ ერთი წლის მანძილზე ხელისუფლებას გაცილებით მეტი უნდა გაეკეთებინა, ვიდრე გააკეთა. გაცილებით ნაკლები უნდა შეეცდომა უნდა დაემუქა. მარშან ამ დროს გაცილებით მეტის იმედი გვექონდა. დღევანდელი ხელისუფლების გაცილებით დიდი დამსახურება 23 ნოემბერი იყო, ვიდრე შემდგომი ერთი წელიწადი...

მარი ზანდუკელი

გაენაკიელი ხალხის სარჯზე გაედიკაგის მსუკველთა საუკაღმყოფო!

„კი ვიფიქრე, თუ დახმარება უნდა, ხუთ ლარს რაღამე მახდევინებს-მეთქი...“

უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში საქართველოში თაღლითებისთვის ისეთი სასათბუფე პირობები შეიქმნა, რომ დღეს თვით ყველაზე ორიგინალური მეთოდითაც კი ვერავის გააკვირვებ. სასჯელი ამ დანაშაულისთვის საქართველოს კანონმდებლობით დიდი არ გახლავთ. ხშირ შემთხვევაში, ასეთი პირების პასუხისმგებლობის საკითხიც არ დგება, მაგრამ მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, როდესაც უმწიფო ადამიანები თაღლითობაში მრავალშვილიან დედას ამხელენ.

„გვინდა ჩვენი სატყვიარი გაგზიაროთ“, — ასე იწყება წერილი, რომელიც „კვირის პალიტრამ“ მიიღო და ათამდე მოქალაქე იმ თაღლითობის შესახებ გაუცხობინეს, რომელმაც მათი თქმით, ექვსი შვილის დედა უმწიფო მოხუცებისა და ინვალიდების მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინა.

წერილში მოყვანილი ფაქტების თანახმად, მოქალაქე მარინა მ-მ (მის გვარს მხოლოდ იმ მოტივით არ ვასახელებთ, რომ მის წერილში არ მოუვლათ გული, იმედა დასახელებული ქალბატონი მიხვდება თავის დანაშაულს და უარს იტყვის უმწიფო და დაუცველი ადამიანების მოჭყუებასა და დამცირებაზე. — ს.პ.) ზაზიაშვილის ქუჩაზე მცხოვრებ პენსიონერებს, მარტოხელა მოხუცებსა და ინვალიდებს ბავშვების შობებებს 2004 წლის მარტის თვეში მრავალშვილიანთა, პენსიონერთა, მარტოხელათა და ინვალიდთა ორგანიზაციაში განვრცობისა და ჰუმანიტარული დახმარების მიღების მოტივით 5-5 ლარი, პასპორტის ასლები, საპენსიო ნივანაკები და ინვალიდობის საბუთები გამოართვა. როგორც მარტოხელა პენსიონერები ამბობენ, მერიისა და მრავალშვილიანთა, პენსიონერთა, მარტოხელათა და ინვალიდთა ორგანიზაციის თანამშრომლის საბუთით შეიარაღებული მარინა მ. ზაზიაშვილის ქუჩის მცხოვრებლებს კვრატალში ერთხელ ჰუმანიტარული ტვირთის მიღებას დღე-ღამე ჰპირდებოდა. დაპირებაში 9 თვე გავიდა, მაგრამ არც ჰუმანიტარული ტვირთი (რომელშიც მ.მ-ს განმარტებით, ფეცილი, ზეთი, შაქარი და სხვა პროდუქტი უნდა ყოფილიყო) ჩანს, არც საბუთები და, რა თქმა უნდა, არც ზემოთ ხსენებული თანხა დაუბრუნებია უკან. (გაგრძელება იხ. გვ. 33)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო აცხადებს მსურველთათვის საბუთების მიღებას საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მის ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურებში არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად.

საკვალიფიკაციო გამოცდა ტარდება ტმსტური და ბასაშუბრების შორებით:

1. საკვალიფიკაციო გამოცდას ტესტური ფორმით აბარებენ ეროვნული სააგენტოს კადასტრის, რეესტრაციის იურიდიული სამსახურებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ვაკანტურ თანამდებობებზე დასანიში კანდიდატები.
2. საკვალიფიკაციო გამოცდას გასაუბრების ფორმით აბარებენ: 1 პუნქტით გათვალისწინებული პირები, ვინც ტესტურ გამოცდაში გამსვლელი ქულა მიიღო და ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების ვაკანტურ ადგილებზე დასანიში პირები.

მოთხოვნები საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილე პირთათვის: საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების უფლება აქვს საქართველოს მოქალაქეს 21 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება და ფლობს სახელმწიფო ენას.

საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

1. განცხადება კომისიის თავმჯდომარის სახელზე;
2. ავტობიოგრაფია;
3. განათლების დამადასტურებელი მოწმობა და მოწმობის ასლი;
4. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან;
5. 2 ფოტოსურათი (3/4);
6. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.

საბუთების მიღებისას კონკურსში მონაწილეობს ტმსტები ბადაცემამთ უსახილოდ.

საბუთები მიიღება 2004 წლის 15-დან 28 ნოემბრამდე. სამუშაო დღეებში 14.00-დან 18.30-მდე; შაბათ-კვირას 11.00-დან 17.00-მდე.

საბუთები მიიღება შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის №30 საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. ☎ 75 82 94 (მოქალაქეთა მისაღები, გრიბოედოვის ქუჩის მხრიდან).

გამოცდა ჩატარდება საკვალიფიკაციო გამოცდის გამოცხადებიდან სამი კვირის შემდეგ.

939-103
250-255
საკვალიფიკაციო გამოცდა
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საკვალიფიკაციო გამოცდაში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ზარები არ ჩეკდენ, ზარები გელოდენ


...აჰა, აღსრულდა ნება უფლისა!

ზუსტად 9 წლის წინ, 1995 წლის ეთიოპიის დღეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ სასოებით აკურთხა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აღმშენებლობის ადგილი...

და ნაშობობის ტაძარი იგი, როგორ უფლის სხეული, სანუგეშებლად საქართველოსა და სრულიად საქრისტიანოსი! ნაშობობით, როგორც სახლი ზეიმად აღიერებული ლოცვა უძიძისი განსაჯრდებისა უამს შევირგებლო სულითა საოხად! აღსრულდა, ვითარცა ძოცვაი საკვირველი!

„მოუკლივლად ილოცვით, ყოველსა შინა ჰმადლობით, რამეთუ ესე არს ნება ღმრთისა ქრისტეს იესუს მიერ თქუნდა მიმართ“

(1 თეს. 5, 17-18).



„ესე არს ბჭე უფლისაი და მართალნი შევლენან მას შინა!“

„აქ რომ თაღებია, სვეტა შეკონება...“

საოცრებაა, როცა სულიერ-ხორციელი გაჭირვების ზღვარზე მყოფი ერთი რწმუნანარევი სიჯიუტით იწყებს საუკუნის მშენებლობას...

საოცრებაა, როცა საყოველთაო ნგრევის ფონზე უფლის ხელთუქმნელი ტაძარი შენდება და მშვენიერდება...

საოცრებაა, ფათა საოცრება, რადგან სამების ტაძარი სწორედ მაშინ მოგვევლინა ზეციურ მადლად, როცა დამლილ-დაუტყველებული გალადებული მტერი ყოველმხრივ შემოგვესია სულისა და რჯულის ამოსახდელად...

ყველაზე დიდი საოცრება კი ქართული სიბრძნე ყოფილა — „ჯერ მოთმინება და მერმე ბრძოლა და ქმნილი...“

ასე იწყებოდა ყოველი კეთილქართული საქმე ოდითგან...

ილია II, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:

როცა დაიწეს გახსრა წმიდა სამების ტაძრის საძირკვლისა, მშენებლებს ჩვენგან მიეცათ ლოცვა-კურთხევა, ამოელოთ შინა მანამ, ვიდრე კლდე არ გამოჩნდებოდა. თქვენ გახსოვთ, უფალი ამბობს: „კლდესა ზედა აღაშენო ეკლესია ჩემი და ბჭენი ჯოჯოხეთისანი ვერ ეროდიან მას!“ და აი, 25 მ სიღრმეზე გამოჩნდა კლდე-პლატო, თითქოს საგანგებოდ ტაძრისთვის მომზადებული და სწორედ ამ კლდეზე აღიმართა წმიდა სამების ტაძარი!

არჩილ ბინლიაშვილი, ხუროთმოძღვარი, წმიდა სამების საკათედრო ტაძრის პროექტის ავტორი:


1989 წელს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ გამოაცხადა კონკურსი სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობაზე. 110 პროექტიდან უიუმრამ გამარჯვებულად ჩემი ნაშუშვარი ცნო. პროექტების გამოფენა მსატერის სახლში მოეწყო. დღის 2 საათზე დანერგული ყოფილა სხდომა ლამის 11 საათზე დამთავრდა. შედეგებით მეორე დღეს უნდა გამოეცხადებინათ, მაგრამ პატრიარქმა ბრძანა: — ნულარ ვანვალუბთ, მაინც ყველა კონკურსანტი აქ არის და ბარემ ახლავე ვაცნობთ გამარჯვებულის ვინაობაო... ჩემზე ბედნიერი კაცი არ მეგულებოდა დედამინაზე.

— რას გრძობდით იმ წუთებში?

ეს იყო ერთი გამოუთქმელი სიხარული. იმ წუთს არც მიფიქრია მომავალზე, იმაზე, თუ რა მელოდა. იყო მხოლოდ დიდი ბედნიერება...

მოგვიანებით, უწმიდესის ლოცვა-კურთხევით, საპატრიარქოში შეიქმნა საეკლესიო ხუროთმოძღვრების ცენტრი, რომლის მთავარ არქიტექტორადაც მე დავინიშნე. ამის შემდეგ

თუ რა მიძიე წლები გაიარა საქართველომ. თავდაპირველად, ტაძრისთვის შეგულებული გეგმონდა ბარათაშვილის აღმართის პლატო, მაგრამ საამისოდ 250 ოჯახის გასახლება იყო საჭირო. შემდეგ ვაკეში, სტუდენტაქის ტერიტორიაზე დაიგემა ტაძრის აგება, აკურთხა კიდევ ის ადგილი პატრიარქმა, პროექტიც ხელახლა გადავაკეთე, მაგრამ ბევრი მოდავე გამოგვიჩნდა. საბოლოოდ, მივიღეთ



1995 წელი, ასე ეგრებოდა საფუძველი სამების საკათედრო ტაძარს

ნელ-ნელა დაიწყო პროექტის რეალიზება. ვერ დაგვიძალავთ, დიდი სიხარულის შემდეგ დიდი შიში დამეუფლა, ერთბაშად ამხელა პასუხისმგებლობა დამეკისრა.

— შიში მალე გაგეკრათ?

ლვთის წყალობით, მალევე სულიერებას მონატრებულები საქმეს დავეწაფეთ. ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობის დროს დაიწყო ეკლესიების ინტენსიური მშენებლობა. მე პირადად 40-მდე ტაძარი მაქვს დაპროექტებული და აშენებული, ეს ერთგვარი სამზადისი გახლდათ სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობისთვის.

— ასეთი გრანდიოზული პროექტის რეალიზება დაბრკოლებების გარეშე ალბათ არ ჩაივლიდა.

— რა თქმა უნდა. ხომ გახსოვთ,

გადანწყვეტილება, რომ ელიას მთაზე აგეშენებინა ტაძარი. პატრიარქიც ამობრძანდა რამდენჯერმე და საერთო აზრით დავასკვნით, რომ ეს იქნებოდა ყველაზე შესაფერისი ადგილი. ჯერ ერთი, ავღარბის მოედანი უწინშენლოვანესი სატრანსპორტო კვანძია და მეორეც, ქალაქის გენგეგმაში განზრახულია ბარათაშვილის ხიდიდან მოკლე გვირაბითა და სერპანტინით პირდაპირი ტაძართან ამოსვლა. გარდა ამისა, იგი ქალაქის თითქმის ყველა წერტილიდან ჩანს.

თავიდან მშენებლობა ნელა მიმდინარეობდა, სახარები არ გვეყოფნიდა. ყველაზე მეტად 1995-99 წლებში გვიჭირდა, მაგრამ ამ მიზეზით მშენებლობა ერთი დღეც კი არ გაჩერებულა. იყო პერიოდები, როცა ანაზღაურება ფერხდებოდა, მაგრამ არავის მოსვლია აზრად, საქმე მიეტოვებინა.

2000 წლიდან შემონიშნულობებმა მნიშვნელოვნად იმატა. თავად უწმიდესს მზრუნველობა არასოდეს მოუკლია ჩვენთვის. ეს ბოლო თვეებია, რაც ყოველდღე ამოდის, ხან დღეში რამდენჯერმე და მისი სიხალღე საოცრად გმატებს ძალას.

— სამუშაოები მთლიანად დათავრებულია?

— მთავარი ნაგებობა თითქმის დასრულებულია, მაგრამ საშუალო ვერაც ბევრია. მინისკვეშა ტაძრები დასამთავრებელია, მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის იმ ბრწყინვალე ზეიმს, რაც 23 ნოემბერს, გიორგობა დღეს არის დაგეგმილი სამების საკათედრო ტაძარში.

— შეგიძლიათ თქვათ, რომ ტაძარი ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორც ჩაფიქრებული გქონდათ?

— მე სწორედ ეს იდეა მქონდა, რომ ნაცვლად ჯვარგუმბათოვანი ტაძრის ოთხ სვეტზე დაყრდნობისა, გუმბათი რვა სვეტს დაყრდნობოდა. შიდასივრცე განსხვავებული ყველა ეკლესიისგან. ასეთი ვეგერეთუდა გუმბათქვეშა სივრცე არც ერთ ჩვენს ტაძარს არა აქვს. მგონი, რასაც ვფიქრობდი, ზუსტად ისე გამოვიდა, რისთვისაც ღვთის მადლობელი ვარ.

„დიდება შენდა, უფალო!“

რა ლამაზია ყოველივე...

წმიდა სამების ტაძარს საზეიმო გახსნის მზადების დღეებში ვწვიეთ. ყველგან მოკრძალებული, სიხარულნარევი ფუსფუსი იდგა. პატრიარქი ამობრძანებულიყო ტაძარში და მზრუნველი თვალთ უშვებდა უფლის ნებით და კაცის ხელით ქვემო ავღერებულ სულის სიმფონიას. ერთი აუნერული მადლი და სიმშვიდე სუფევდა ირგვლივ და იყო უტყვი ზეიმი სულთა...

დინჯად ვიდოდა პატრიარქი ტაძარში, ლოცვით ევერებოდა ყველას და ყველაფერს, ფაშიდან-ფაშზე ხელებს აღაპყრობდა უფლის სადიდებლად, შეკრებილთ ჯვარს სახავდა, სიხარულის ცრემლები ადგებოდა უკუბზე... ტაძრიდან გამოსვლისას მზერა მიმოავლო თბილისის სანახებს. ჩადასებული მზის ათინათზე ოქროსფერად ღივივებდა ნარიყალა, სიონი, მეტეხი, ანჩისხატი და მამადავითი. არაფერი რჩებოდა ერის სულიერ წინამძღვარს შეუგრძნობელი და განუცდელი...

და დინჯად, ძალიან დინჯად წარმოთქვა პატრიარქმა: — დიდება შენდა, უფალო, რა ლამაზია ყოველივე... და სწორედ იმ ჟამს, წმიდა სამების ტაძრის სამრეწლო გაუმართა პატრიარქის სიტყვებს, სულისმომკრთობის მისცა, ღვთიურ სიტყვებს საგალობლად ჩაეკონა...

ზარები არ რეკდენ, ზარები გალობდენ უფლის სადიდებელს!... და ბრძანა პატრიარქმა: — „ღვთის მადლით, მოხდა ისიც, რომ ამ გაჭირვებისა და განსაცდელის ჟამს ქართველმა ხალხმა ააშენა დიდებული ტაძარი წმიდა სამებისა, წმიდა სამების სადიდებელი და სულიერი სავანე ჩვენი ერისა...“

ჩვენ უფალმა მოგვცა უდიდესი მადლი — ჯერ ის, რომ ამქვეყნად მოგვეყვანა, შემდეგი ის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ჭეშუმარიტი სარწმუნოება გვაქვს, რაც არაფრით დავვიმსახურებია რამდენი მილიონი და მილიარდი ადამიანი არსებობს ამ სარწმუნოების გარეშე. უფალმა კი საქართველო აღამალა და მისცა მას ეს უდიდესი საუნჯე, რომელიც ჩვენ უნდა შევიხანოთ!...

ვინ იცის, იქნებ ღვთიური ნიშანია...

იქნებ ჩვენს გულს ახლა მინც მიეხალოს ღვთიური სიტყვა, ვინცლო მრავალ ცდუნებას გვაშოროს და ტანჯვა-სევდა შეგვიმსუბუქოს... იქნებ განსაცდელის ახლა მინც გაგავითლოზობილოს...

ახლა მინც გაითავისოთ, „რა განმიგვეონია, რა მხენ, რა მდიდარი...“

ახლა მინც დავაფასოთ ჩვენი სულიერი ავლადიდება და „სულიერი სავანე ჩვენი ერისა...“

რთულ დროში ვცხოვრობთ, ან კი როდის იყო ქართული ყოფა დალხინებულ-დამშვიდებული... ყოველმხრივ შემოგვესია ურიცხვი მაცდური. ერსა და ბერს ერთბირად მიადგენ, კარიბჭეს ურევენ, ფუჭეს ურლევვენ, ფესვებს უხადებენ...

განსაცდელის ჟამია, ხოლო „ასეთ დროს ზნეობრივი და უზნეო ხშირად ბოლოს ირკვევა ხოლმე. ავია თუ კარგია, ჩვენი საქირისუფლოა ვითმინოთ, ვიდრე სათმენია, შევაგონოთ — შესაგონებელი, ვაშლილოთ — საშილვებელი...“

გვახსოვდეს: „პირველი სიბრძნე მოთმინებაა, მეორე — ბრძნულად ქმნილი...“ ამ სიბრძნის გამოძახილია ის, რომ უკიდურესი შეჭირვების ჟამს ამხელა ტაძარი აიგო საქართველოში, ტაძარი — თვალ-

შეუდგამი, განუმეორებელი, ერთი აუნერული და ღვთივმოსილი!

გაგახსენებთ მსოფლიო პატრიარქის სიტყვებსაც: — „საქართველოში აშენებული ტაძარი ერთხელ კიდევ დაუმტკიცებს მსოფლიოს, რომ მართლმადიდებლობა ურყევია და უძლეველი...“ ვინ იცის, იქნებ ყოველივე ეს ღვთიური ნიშანია ქართველი ერის გამთლიანებისა...

...და მე ჩემი სამშობლო წმიდა კრილოსანივით წარმომიდგენია, ერთ სირმაზე ასხმული, ცალკე მარცვლები! ქართული მინა-წყლის კრილოსანს შიდა სირმად ქართული ენა, ქრისტეს რჯული და საერთო მომავლისთვის ბრძოლა გავეყაროთ და შევამტკიცოთ!...

ჩვენ, ყველამ, რალაც უნდა დავთმოთ, რომ ერთიანობა მოვიპოვოთ...“

ამიტომაც განესრულა წმიდა სამების საკათედრო ტაძარი და ყველამ იცოდეს: ამ ტაძრის შეუბღალაობა ჩვენს ერთიანობასა და სიმტკიცეზე დამოკიდებულია!

იყავნ ნება შენ, უფალო ზვიად სენიაშვილი

სამშობაოს, 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე აღსრულდება საზეიმო წირვა და იკურთხება წმიდა სამების საკათედრო ტაძარი. კურთხევისას ტრანკუზში ჩასვენდება წმინდა გიორგის წმინდა ნაწილი. კურთხევისას საზეიმო ცერემონილი დილის 10 საათზე დაიწყება.

რას გვცვდი, მამა?

ჩემი ნათლია რამდენიმე წელია უცხოეთში წავიდა და დავიკარგა. ძალიან მარტუბის ეს ამბავი. რა შემიძლია გაგავთო მისთვის ან ვინ უნდა შეასრულოს ჩემთვის ნათლის მოვალეობა?

ნათლის მოვალეობა ნათლის სწორ გზაზე დაყენება და იმაზე ზრუნვა, რომ უფალს არ დაშორდეს. ასეთი მოვალეობა თქვენთვის მშობლებმა და იმ ახლობლებმა შეიძლება შეასრულონ, რომლებიც მუდამ თქვენ გვერდით არიან. ბუნებრივია ამასვე გააკეთებს თქვენი სულიერი მამა — მოძღვარიც. თუ სურვილი გაქვთ და შესაძლებლობა, შეგიძლიათ იმ მღვდელმსახურსაც მიმართოთ რჩევებისთვის, რომელმაც თქვენი ნათლობის საიდუმლო აღასრულა. თქვენი ნათლისთვის კი ილოცეთ და უფალს სთხოვეთ შეუნდოს, რომ თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. შესაძლოა ის განსაცდელშიც არის და ამიტომ ვერ შეძლო თქვენთვის ხმის მონვნება.

— ვიცო, რომ ტაძარში შარვლით შესვლა არ შეიძლება. მაშინაც როცა ექსკურსიაზე ან მთაში მყოფს ეკლესია შეზღუდება, შარვლის გამო, ტაძარში ვერ შევიდვარ. თუმცა კი ძალიან მინდა. როგორ მოვიქცე?

ეკლესიაში შარვლით შესვლა მართლაც არასასურველია. პაუელოციქული ძალიან მკაცრად განსჯის დედაკაცს, რომელიც შარვლითაა შემოსილი (ასევე განიხილავს ქალის სამოსელში ჩაცმული მამაკაცის საკითხსაც). ჩვენ კი მარტივად გვხვით: ქალის კაზა ხაზს უსვამს და წარმოაჩენს ყოველივე იმ სათნოებასა და სილამაზეს, რაც დედაკაცს მისცა უფალმა. კაბით შემოსვა ქალს იმ შინაგანი რიდიითა და მოკრძალებით განაწყობს, რითაც ის უფლის წინაშე უნდა წარდგეს. უფალთან მისვლას, მისთვის ლოცვა-ვედრებას სწორედ ასეთი განწყობა და სულიერი ამაღლება სჭირდება... მაგრამ თუ თქვენ ისეთ ადგილზე ბრძანდებით, სადაც შეუძლებელია კაბით შეიმოსოთ და გული უფლის ტაძრისკენ მიგინევთ, უფალი დაინახავს თქვენს ამ გულწრფელ სურვილსა და სიყვარულს, იმ რიდასაც, რის გამოც ტაძარში შესვლა არ გინდათ. ის გულმონყალეა და ტაძარში გელით, ამიტომ მიბრძანდით და ილოცეთ. სხვა დროს კი შეეცადეთ, რომ კაბით შემოსილი და თავდაბურული წარდგეთ ეკლესიაში.

თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვანოდეთ „კვირის პალიზის“ გუთების საშუალებით. მათი განაღებების შესახებ იხ. გვ. 36.

მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.

№10, ნოემბერი, 2004 ფასი 80 თეთრი

ქართული

საბჭო

მართლმადიდებლური ჟურნალი

გაეოვიდა ნოემბრის ნომერი

„იყო გენლი და უკუნი...“

„ენერგეტიკა კოლმეურნეობას ჰგავს, რომელიც ყველასია და ამ დროს არავისი არ არის“...

არცთუ ისე დიდი ხნის წინ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია მინისტრთა კაბინეტში თავისი კადრებით კვაყოფილებას არ მალავდა და ენერგეტიკის მინისტრ ნიკა გილაურს ყველაზე წარმატებულ მინისტრსაც უწოდებდა. ამ რამდენიმე დღის წინ მთავრობის სხდომაზე ფავორიტი მინისტრის მისამართით ჟვანიას გამოთქმულმა საყვედურებმა კი როგორც სახელისუფლებო კულუარებში, ისე საზოგადოებაში არცთუ უსაფუძვლო ეჭვი წარმოშვა — ვარაუდობენ, რომ გილაურის სკამს წყალი შეუდგა. როგორც ჩანს, ამ ეჭვს თვით მინისტრიც იზიარებს და ენერგეტიკის დარგში არსებულ არასასარბილო მდგომარეობის შესახებ ყოველგვარ კითხვას პასუხის გაცემას თავს არიდებს. ამბობენ, მინისტრი პრემიერ-მინისტრის მიერ მიცემულ „ერთ კვირას“ თბილისისა და რეგიონების ელექტროენერჯის მიწოდების ეფექტიანი გრაფიკის მომზადებასა და ერთ თვეში ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის პროგრამაზე იმუშავებს.

თბილისში უშუალოდ ჯერ მაინდამაინც არ უჩივიან, ჩაბნელებულ რეგიონებში კი სოციალური პრობლემებით ისედაც განაშფოთებული მოსახლეობას მოთმინება საცაა უღალატებს. ენერგეტიკოსთა კავშირის თავმჯდომარე მირონ ფირცხელიანი ავისმომასწავებელ განცხადებებს აკეთებს და აცხადებს, რომ ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავებში არსებული წყლის დონე ქვეყანას ელექტროენერჯეტიკულ კრიზისს უქადის. თუმცა, იმასაც დასძინს, რომ წყვილიდან გამოსვლა ჯერ კიდევ შესაძლებელია. იგი ასევე გვესაუბრება ქვეყანაში ენერგეტიკული კრიზისის მიზეზებზე:

ბატონო მირონ, გადავიტანო ამ ზამთარს?

— იმდენი რამ გადავიტანო ქართველებმა, რომ ალბათ ამასაც გადავიტანო, მაგრამ ვილაცების შეცდომების გამო არ შეიძლება, ყოველ წელს ენერგეტიკული კრიზისი გვექონდეს. მთავარია, წესრიგი დამარდეს ენერგეტიკაში და პრობლემებიც მოიხსნება და აღარავის ექნება პრეტენზიები ხელისუფლების ან ენერგეტიკის სამინისტროს მიმართ.

(გაგრძელება იხ. გვ. 33)

„კალე როკის გვირაგის გაკონტროლება უკლებლივ“

(დასაწყისი იხ. გვ. 5)
— უფრო კონკრეტულად, ჩვენთვის ეს ცვლილება სასარგებლო იქნება თუ საზიანო?

— თქვენ თვითონ განსაჯეთ — ოთხმოციანი წლების მიწურულს, როცა საბჭოთა კავშირის დაშლაზე უკვე საჯაროდ ლაპარაკობდნენ, მოსკოვში კა-გე-ბეს სასწავლებელს ვამთავრებდი. მაშინ ჩემმა ერთმა პროფესორმა, კა-გე-ბეს პოლკოვნიკმა შინაურულ საუბარში მითხრა, რომ თუკი საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა, ყველაზე მძიმე დღეში საქართველო აღმოჩნდებოდა. მიზეზი კი ის იყო, რომ საქართველოს ნარკოტრანზიტულ ქვეყნად აქცევდნენ. მაშინ ამ საკითხს ბოლომდე ჩავეძიე. ჩემი პროფესორი ვარაუდობდა, რომ ნარკოტრანზიტული ქვეყანა იმ შემთხვევაში მუშაობს კარგად, თუკი იქ არასტაბილური მდგომარეობაა. ამიტომ ჯერ კიდევ მაშინ იწინასწარმეტყველა, რომ საქართველოში დაიწყებოდა ეთნოკონფლიქტები, რაც ქვეყანას დააქუცმაცებდა. ეს კი შესანიშნავ ნიადაგს შექმნიდა საქართველოს ნარკოსატრანზიტო ქვეყნად ქცევის საქმეში. მაშინ ეს სქემა დაუფერებლად მჩვენა და ჩემს პროფესორს შევევათ. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ვარაუდი გამართლდა და აი, უკვე რამდენიმე წელია, ამის შედეგებს ვიძვირებ.

თუკი ჩვენს ქვეყანას აბრეშუმის გზისთვის დიდი როლი ენიჭება, ცხადია, ამ გზის გამოყენება სხვა მიზნებისთვისაც შეიძლება. საქართველო ის ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც აზიას ევროპასთან აკავშირებს. შეიძლება წარმოუდგენლად მოგვეჩვენოთ, მაგრამ თავის დროზე აფხაზეთისა თუ ოსეთის სეპარატისტულ მთავრობებს ნარკოდილერებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს(!).

აქ არ არის ლაპარაკი საქართველოში შემოსულ ნარკოტიკზე, რომელიც საქართველოშივე რჩება მოსამარებლად. ამინდს ქმნის ნარკოტრანზიტო ანუ საქართველოს გავლით მსხვილი ნარკოტიკული პარტიის გატანა ევროპაში. ნარკოტიკების ძირითადი მწარმოებელი ქვეყნები, ცხადია, პაკისტანი და ავღანეთია. აქ წარმოებული ნარკოტიკები ევროპაში რომ მოხვდეს, დასავლელი მებოზელი — ირანი უნდა გაიაროს. ირანის სატრანზიტო ქვეყნად გამოყენება წარმოუდგენელია. აქ სიკვდილით სჯიან ნარკოტიკის უმნიშვნელო რაოდენობის გაყიდვისთვისაც კი; ანუ ნარკოტიკების ირანში შემტანი, ფაქტობრივად, საკუთარ სასიკვდილო განაჩენზე აწერს ხელს. ამიტომ ნარკობარონებს ისლა დაჩენით, ევროპაში პოსტსაბჭოური ქვეყნიდან გავიდნენ. იგულისხმება თურქეთი და ტაჯიკეთი, საიდანაც ტვირთი ორი მიმართულებით გადის. პირველი — სამხელეთო გზა ყაზახეთის გავლით გადადის რუსეთში და შედის ჩრდილო კავკასიაში. საბოლოოდ გამოეღის როკის გვირაგს,

ცხინვალს, გადასერავს მთელ ტერიტორიას და ბათუმის ან სოხუმის გავლით გადის თურქეთში. რაც შეეხება მეორე ნარკობარონს, ეს უკვე საზღვაო მარშრუტია — იმავე ქვეყნიდან წამოსული ტვირთი გაივლის კასპიის ზღვას, აზერბაიჯანის გავლით შემოდის ნიღელ ხიდზე და შემდეგ იმავე მიმართულებით მიედინება.

მაგრამ, აფხაზეთის, რომ ნარკოტიკების დიდი პარტია აფხაზეთის ტერიტორიდანაც შემოდის.

— ეს ის ნარკოტიკებია, რომელიც საქართველოში გამოიყენება. ეს არის გადაამუშავებული ნედლეული, მაღალი სტანდარტის ნარკოტიკები, როგორცაა ჰეროინი ან კოკაინი. რაც შეეხება ზემოთ ხსენებულ ნარკოტიკებს, აქ ძირითადად, ლაპარაკია ოპიუმზე, რომლის შემდგომი გადამამუშავება ევროპაში

სტანი და ინდოეთი ერთმანეთთან მამასისხლად არიან ანუ ინდოეთის სატრანზიტოდ გამოყენება შეუძლებელია. ნარკოტიკების მწარმოებელ ქვეყნებს ისლა რჩებათ, ჩრდილოეთის გზები ეძიონ, ან რუსეთიდან გაივლინენ ევროპაში, რაც ასევე საკმაოდ რთულია. მოკლედ, საქართველოს გადაკვეთით ნარკობიზნესს დიდი განსაცდელი ელის.

საქართველო ნარკობიზნესს წინ ვერ ალუდებდა, თუ ვერ გააკონტროლებს როკის გვირაგს და აფხაზეთიდან დანარჩენ სამყაროში გამავალ გზებს. უცხოეთის სპეცსამსახურების გეგმაში, ცხადია, ეს მომენტი გათვლილი იქნება; ანუ არსებობს არა მარტო მეგობრული, არამედ წინდა პრეგამბული ინტერესი, რომ საქართველო ტერიტორიული მთლიანობა დაიბრუნოს. ეს არის სერიოზული გეგმა,

დღეს ყველაფერი დამაფიქრებლად ემთხვევა ერთმანეთს — ამერიკაში ბუში ინარჩუნებს პრეზიდენტობას და სწრაფადვე, ხელახლა ისმება საქართველოს საკითხი. ამერიკის ელჩი ნარკოტრანზიტით ინტერესდება. რუსეთი მსგავს განცხადებებს აკეთებს და აფხაზეთში პრეზიდენტობის საკუთარ კანდიდატს, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა ტოვებს. ამიგომ ვვარაუდობთ, რომ უმოკლეს პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელია.

ხდება. ანუ აქ მთავარია ის, რომ ევროპაში მოსახვედრად ნარკოტიკები საქართველოზე გადის, რაც ქვეყანას დიდად აზარალებს.

მაინც, რა ზიანს აყენებს ქვეყანას ნარკოტიკები, რომლებიც, ვთქვით, ნიღელი ხიდიდან ისე გაივლის მთელ საქართველოს, რომ მისი არსებობის შესახებ არავინ არაფერი იცის?

— სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი ნარკობიზნესის პოლიტიკური მხარე. როგორც უკვე გითხარი, თავის დროზე ნარკობარონებმა დიდი დახმარება აღმოუჩინეს აფხაზ და ოს სეპარატისტებს. აქ მარტივია, მაგრამ შორს გაიზნული მექანიზმი მოქმედებდა, მით უმეტეს, აფხაზეთში თუ ოსეთში კარგად დაინახეს, რომ ამ ტერიტორიებზე ნარკოტრანზიტის გავლა მათ ავტონომიურ შემოსავლებს ჰპირდებოდა.

მოხვალისთვის, თუკი ეს გზები აღარ იარსებებს, რა შეიძლება შეიცვალოს?

— ვფიქრობთ, მაილსის დაინტერესება ამ საკითხით სერიოზულ ცვლილებებს გვირდებოდა. ბევრი რამის თქმა არ შემიძლია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამერიკა ავღანეთის ნარკობლოკადაში მოქცევას ცდილობს. ნარკოტიკებიდან შესული ფულის ლომის ნილი ავღანეთში იარაღის შექმნას ხმარდება. ეს იარაღი კი ყველა იცის, რომ ისევე ამერიკელების წინააღმდეგ არის მიმართული. თუკი ამერიკა ავღანეთს ზემოთ ხსენებულ გზას მოუჭრის, ის ჩინში მოექცევა. გვერდიგვერდ მყოფი პაკი-

რომელიც ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით მუშაობს. როგორც ჩანს, ამერიკა სხვა ბერკეტებსაც გამოიყენებს მის განსახორციელებლად. ამაზე ორი დღის წინანდელი განცხადებაც მეტყველებს, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მისამართით გაკეთდა — მოულოდნელად, ოფიციალურ დონეზე კეთდება რამდენიმე განცხადება, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საქართველოს სამინაო საქმეა და რუსეთი ამ საქმეში ჩარევას არ აპირებს. ასეთი განცხადებები ადრეც გაკეთებულა, მაგრამ დღეს ყველაფერი დამაფიქრებლად ემთხვევა ერთმანეთს — ამერიკაში ბუში ინარჩუნებს პრეზიდენტობას და სწრაფადვე, ხელახლა ისმება საქართველოს საკითხი. ამერიკის ელჩი ნარკოტრანზიტით ინტერესდება. რუსეთი მსგავს განცხადებებს აკეთებს და აფხაზეთში პრეზიდენტობის საკუთარ კანდიდატს, ფაქტობრივად, ბედის ანაბარა ტოვებს. ამიტომ ვვარაუდობთ, რომ უმოკლეს პერიოდში სერიოზული ცვლილებები მოსალოდნელია.

წინასწარმეტყველება ძალიან ძნელია, მაგრამ თუკი მაინც გადაკეთებთ პროგნოზს, ვფიქრობ, რომ მალე როკის გვირაგის გაკონტროლება შეეძლება, ეს კი, ფაქტობრივად, სამაჩაბლოს დაბრუნებას ნიშნავს. რადიკალურად შეიცვლება აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება.

დავით დევიძე

სილაჰი სხივების წინააღმდეგ გახსოვს ახალი კონსეფსია

დიეტოლოგები ამტკიცებენ: გახდომისთვის საჭიროა არა მარტო რაციონის კალორიულობის შეზღუდვა, არამედ მისი შემადგენლობის მნიშვნელოვანად შემცირებაც. როგორ უნდა ვიცავებოდეთ ახალი კონსეფციის თანახმად?

ამ კონსეფციას საფუძვლად უდევს ცილების კარგად ცნობილი თვისება — ცილების ათვისებისთვის საჭიროა 30-40%-ით მეტი ენერჯია, ვიდრე ნახშირწყლებისა და ცხიმებისთვის. ამ ენერჯიადანაზარჩის დასაფარავად ორგანიზმი საკუთარი ენერჯი-მარაგის — ცხიმოვანი დეპო — გამოყენებას იწყებს, ცხიმოვანი ქსოვილი აქტიურ ხარჯვას იწყებს, რითაც ორგანიზმის მოთხოვნილებების კომპენსირებას ახდენს.

თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ რაც უფრო მეტი ცილა იქნება რაციონში, მით უფრო სწრაფად გახდება ადამიანი. მნიშვნელოვანია, ცილა იყოს სწორ პროპორციაში სხვა ყველა დანარჩენ საკვებ ნივთიერებებთან. ჭარბი წონის მქონე ადამიანების 98%-ში ხომ ამ პრობლემის ძირითადი მიზეზი არარაციონალური კვებაა. საკუთარი რაციონის შესარჩევად, საჭიროა შემდეგი პრინციპების დაცვა:

1. ვამცილებ რაციონის კალორიულობას;
2. ვზღუდავთ გაჭერებულ ცხიმებისა და მარტივი ნახშირწყლების რაოდენობას;
3. სწორად ვითვლით ცილების რაოდენობას.

რთული იქნება ასეთი რეჟიმის გაძლება ადამიანისთვის, რომელიც საკუთარი თავისთვის რაიმეზე უარს თქმას მიუზრუნველია. მაგრამ გახდეთ თანადი ძალისხმევის გარეშე სამწუხაროდ, შეუძლებელია. არსებობს ზოგიერთი ნიუანსი, რომელიც მადის „მოთოკვაში“ დაგეგმარებაში. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია ნუტრიენტების, ვიტამინების, მიკროელემენტების ბალანსის დაცვა. მათი დეფიციტი ჭარბ კვებას აპროვოცირებს: ორგანიზმი ამა თუ იმ ნივთიერებების უკმარისობის კომპენსირებას ცდილობს. ცხობრების დღევანდელი რიტმისა და კვების პრინციპის პირობებში საუკეთესო საშუალება ვიტამინების მიღებაა.

მეორეც, მითრთვით საკმარისი რაოდენობის მცენარეული უჯრედები — იგი მდიდარია ვიტამინებით, მიკროელემენტებით და არ აპროვოცირებს ინსულინის მძლავრ გამომდევნას, და უზრუნველყოფს, მადის მომატებასაც.

მცენარეული უჯრედის ხელს უწყობს ენერჯის ნელ გამოთავისუფლებას, ნაწლავის მიკროფლორის ნორმალიზაციას და შეუცვლელია საკვების ნორმალური გადამამუშავებისა და ორგანიზმის გაწმენდისთვის.



თუმცა, იმისათვის, რომ წარმატებულად გახდეთ, პირველ ეტაპზე მაინც, დახმარებისთვის მოგიწევთ მიმართოთ სპეციალისტს, რომელიც მართებულად შეიგნებთ ინდივიდუალურ რაციონს.

სხვა ვარიანტიც არსებობს — ისარგებლოთ დიეტების მზა პროგრამებით. თანამედროვე დიეტური პროდუქტები შემაღელოდ დაბალანსებულა და იმავდროულად დაბალკალორიულიც. ამჟამად, მთელ მსოფლიოში სწორედ ცილოვანი კვების პროგრამებია პოპულარული, რომლებიც ეფექტურია წონაში დაკლებისთვის, და არა მხოლოდ. პროტეინი (ცილა) — შეუცვლელი ენერჯიზერია, რომელსაც აქტიურად იყენებს ყველა არაპროფესიონალი სპორტსმენიც — ზრდის ამტანიანობას, ანაბოლიზმის პროცესის დაჩქარების ხარჯზე ხელს უწყობს კუნთების მზადყოფნას შემდეგი დატვირთვებისთვის.

დღესდღეობით ადარებულა, რომ პროტეინის კოქტეილები და შოკოლადის ბატონები სასარგებლოა ადამიანისთვის, რომელთა პროფესიაც დაკავშირებულია მაღალ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ დატვირთვებთან, განსაკუთრებით მათთვის, ვინც რეგულარულად დადის ფიტნეს-კლუბებში, ან უზრუნველ აქტიურად ცხოვრობს. პროტეინი ფასეული საკვები დანამატია ხანდაზმულთათვისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ ორგანიზმის მხარდაჭერაზე ავადმყოფობის პერიოდში.

წონაში დაკლების პროგრამის მეთოდიკა იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში, თქვენ უნდა ცვალოთ საკვების ნაწილის მიღება მზა კოქტეილებითა თუ შოკოლადის ბატონებით. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავსი ფორმა მეტად ხელსაყრელია მათთვის, ვისაც დიეტური საკვების მომზადებისთვის დრო არ აქვს. „პროტეინ“-ის (ამერიკა) პროტეინიანი კოქტეილის „ბოლი შიფტარ“-ის და „თაინბარზ მილქ“-ის შოკოლადის ბატონების ზაზის მიღებისას, 30-დღიანი საშუალო სტანდარტული კურსი, 5-8 კგ-ით დაკლების საშუალებას იძლევა. შემდგომში წონაში დაკლება კი თანდათანობით ხდება.

უფრო დაწვრილებით ინფორმაციის მიღება და აგრეთვე პროტეინის კვების შექმნა შეგიძლიათ კომპანია „პროტეინ“-ის (აშშ) ოფიციალურ დისტრიბუტორთან, ვიტამინ-ცენტრ „პროპროტი“-ში.

დ. შკარტესკია
აღდგენითი თერაპიის ექიმი

კომპანია „შიფ“-ის და „ვიდიარ“-ის (აშშ) ოფიციალური
დისტრიბუტორი საქართველოში კომპანია „პროპროტი“

მის: ილია ჭავჭავაძის 41 (ვაკის პარკის პირდაპირ), დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრში: ქ. თბილისი, ახლაქის 8, ქ. მარნაული, 26 მაისის ქუჩა №80

☎ 29-20-91; 899 10-99-20; 899 14-35-56 ყოველდღე, შაბათ-კვირის ჩათვლით 9.00-17.00 www.schiffvitamins.com

ჯავახანსკოსკოპორობები სჯიებას დასახელებულ დაიქრნენ

გასულ კვირას, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს აფხაზეთის სამმართველოს უფროსმა ლევან კიკნაძემ, რომლის გამგებლობაში შედის გალის რაიონის მხოლოდ ქართველებით დასახლებული მონაკვეთი, განაცხადა, რომ დაწყებული რუსეთის სამშვიდობოების დისლოცირება გალის რაიონიდან სოხუმისკენ. სამშვიდობოების ჯავახანსკოსკოპორობები, ეტყობა, ავიოტაჟის თავიდან ასაცილებლად, სოხუმისკენ კოლონად კი არ წაივდა, არამედ სათითაოდ, სოჭიდან კი ჯავახანსკოსკოპორობები მატარებლით წამოვიდა.



აფხაზეთისკენ რუსეთის ჯარების გადაადგილების საფარად მარშრუტი

რფ-ის ელჩს საქართველოში ვლადიმირ ჩხიკვიშვილს თბილისში საპროტესტო ნოტა გადასცა. „ტექნიკის გადასროლას ადასტურებენ ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მყოფი გავროს დამკვირვებლებიც. რუსეთის სამშვიდობოებმა ეს ფაქტი ასე ახსნეს, — აუცილებელი გახდა სოხუმის სანატორიუმში მყოფი ჩვენი ძალების უშიშროების დაცვაო“, — თქვა საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა.

რუსეთის სამშვიდობოების შტაბის წარმომადგენელმა სოხუმში, პოდპოლკოვნიკმა ევგენი მორენკომ განაცხადა: „ჩვენ მხოლოდ ორი ჯავახანსკოსკოპორობი გავგზავნეთ სამშვიდობო ძალების შტაბის დაცვის გასაძლიერებლად.“ აღსანიშნავია, რომ შტაბი აფხაზეთის მთავრობის სახლიდან მხოლოდ 1 კმ-ითაა დაშორებული.

როგორც გაზეთ „კვირის პალიტრის“ სამხედრო ექსპერტი ირაკლი ალდაშვილი აცხადებს, მის ხელთ არსებული ინფორმაციით, სამშვიდობოებმა გადაკეტეს სოხუმში შესასვლელი გზები. „მდგომარეობას ისიც ძაბავს, რომ ავტონომიის მოსახლეობას ხელთ უამრავი იარაღი აქვს და სიტუაცია ყოველ წუთს შეიძლება უამრავი გახდეს“.

აპირის გასწვრივ იმობრავებენ. ის დარწმუნებულია, რომ ეს რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ნაწილები კი არ იქნება, არამედ ჩრდილო კავკასიაში მდგარი სამხედრო ოლქის შინაგანი ჯარის ერთ-ერთი დივიზია. პოლკოვნიკ ციგანოვის აზრით, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ შინაგანი ძალებს დღეს მეთაურობს ყოფილი არმიელი, ტანკისტი, გენერალ-პოლკოვნიკი ნიკოლაი როგოვიჩი. „სავსებით შესაძლებელია, — ამბობს ექსპერტი, — რომ რამდენიმე თვის წინ, ამ თანადებობაზე დანიშნისა, გარკვეული ოპერაციების ჩასატარებლად მან რაღაც კარტბლანში მიიღო და ახლა პრეზიდენტის ნდობის გამართლებას ეცდება“. სამხედრო ანალიტიკოსის აზრით, ახლა ძალიან ბევრია დამოკიდებული ქართულ მხარეზე. არ არის გამორიცხული, რომ თბილისის ისეთსავე პროვოკაციაზე წაივდეს, როგორც ქართულ-სამხრეთისკენ კონფლიქტის დროს. საქართველოს სახელმწიფო მინისტრის გიორგი ხანდრავას აზრით კი, რუსი სამშვიდობოების გადასროლა სოხუმში კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ რუსეთი მზადაა სუვერენული ქვეყნის საქმეებში ჩასარეგავდეს. „აფხაზეთის ამჟამინდელი დამონებისკენ პროვოცირებულია სწორედ გარეუცხე ძალების მიერ, უფრო სწორად, კრემლის აშკარა მხარდაჭერით პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის მიმართ. ასევე უხემ ჩარევად ითვლება ისიც, რომ აფხაზეთის მთავრობას მეთაურობს რუსეთის მაღალჩინოსანი ნოდარ ხაუბა. სწორედ მას და მოსკოვის მსტოვარს, რაულ ხაჯიმბას ეკისრებათ პასუხისმგებლობა აფხაზეთში ფეთქებად სიტუაციაზე. იმედი მაქვს, რომ აფხაზი ხალხი არ წამოეგება შემოგდებულ პროვოკაციაზე, რომელიც თავის დროზე ქართულ-აფხაზურ ომად იქცა“, — განაცხადა გიორგი ხანდრავამ.

ნეზავისიზია გაზეტა

საქართველო კორუფციას აქტიურ შებენს იწყებს

პოლიციის აკადემიის ახალდანიშნულმა უფროსმა ლევან იზორიამ განაცხადა, რომ მისი კურსანტების უმრავლესობას მინიმალური ზოგადი განათლებაც არ გააჩნია. ამ სასწავლებელში მოხვედრა ზოგიერთს 3.000 დოლარზე მეტი უჯდებოდა. ამ გადატყვევებულ ქვეყნისთვის ეს უზარმაზარი თანხაა, რაც კურსანტებს აკადემიის დამთავრების შემდეგ ქრთამის ალბისკენ უბიძგებდა — ხომ უნდა აენახლაურებინათ დანახარჯი... ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმ კორუფციისა, რომლითაც გაუღებთილია პოლიცია და საქართველოს საზოგადოების უმეტესი ნაწილი. სწორედ ამასთან უხდება ბრძოლა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციას.

უფროსებს აძლევდნენ. ეს სისტემა თვითდაფინანსებაზე იყო აგებული. ამას კორუფციად არაფერი თვლიდა, — ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. სწორედ შტატების შემცირების ხარჯზე 5-ჯერ გაიზარდა თვითონი ხელფასები (200 დოლარი). სამოქალაქო ტანსაცმელიანი ინსპექტორები პერიოდულად პოლიციისადმი ამოწმდნენ, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ ისინი მოქალაქეებს ფულს არ სძალავდნენ. ამ მიზეზით ათობით ოფიცერი გაათავისუფლეს. დარჩენილები იღებენ ახალ ფორმებსა და ავტომობილებს და წინსვლის პერსპექტივაც აქვთ. იცვლება საზოგადოების დამოკიდებულება პოლიციისადმი. მისი იმიჯის გასაუმჯობესებლად ტელევიზიით ყოველ საღამოს აჩვენებენ მრავალფეროვან „საპრესის“ სახელწოდებით „პატრული“.

საქართველოსა და უკრაინაში პროდასავლური

საქართველოსა და უკრაინაში პროდასავლური



განწყობილების განენასთან ერთად, სააკაშვილის ეს სტრატეგია რუსეთის დასავლეთ და სამხრეთ საზღვრებზე პოლიტიკურ ბალანსს შეცვლის.

ბ-ნი სააკაშვილის მმართველობის პირველი თვეები ხმლებს ჩაბაჩუსა და ამბოხებულ ქართული რეგიონების — აჭარისა და სამხრეთ ოსეთის დაშინებას მოხმარდა. დღეს მისი მთავრობა შიდა რეფორმებს ატარებს, რომელიც აუცილებელია ტერიტორიების გასაერთიანებლად. ყველაზე თვალში საცემი ცვლილება, რომელიც ბ-ნმა სააკაშვილმა განახორციელა, არის შინაგან საქმეთა სამინისტროს რეორგანიზება. სამსახურიდან დათხოვნილ იქნა პოლიციის თანამშრომელთა ნახევარზე მეტი, ხოლო შს-ს შინაგანი ჯარი თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავიდა. „2-5 ათასი დოლარი უჯდებოდა საგზაო პოლიციაში მუშაობის დანაშაულები, მერე ქრთამის გარკვეულ პროცენტს

აფხაზეთის ოპოზიციის ლიდერს ბურჯანაძესთან კონტაქტს აკრძავენ

აფხაზეთში გამეფებული არეულობის კვალდაკვალ, მოსკოვში სენსაციური ხმა გაერქვა — ნოემბრის დასაწყისში, რუსეთის დედაქალაქში, რომელიც „მაღალი სტრუქტურების“ შუამავლობით, საიდუმლოდ შეხვდნენ ერთმანეთს აფხაზეთის მეთაურობის ერთ-ერთი კანდიდატი სერგეი ბალაფში და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ასე რომ არ იყოს, ბურჯანაძე შეხვედრით ხომ არ აღმოჩნდება მოსკოვში იქ აფხაზეთის პრეზიდენტობის ორივე კანდიდატის ყოფნის დროს.

ორიენტაციის“ მითი გაავრცელეს. ჩემზე ისიც თქვეს, თითქოს კრემლის რაღაც ოპოზიციური პოლიტიკური ძალები მიჭერდნენ მხარს, ხოლო ჯორჯ სოროსი უხვად მფინანსებდეს. ახლა ალბათ მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრასა და ბინ ლადენთან კავშირსაც მომანერუნ... ამის შემდეგ ჩემს მონაწილეობას არაფერს დავუთმობ. განმეორებით არჩევნებზე მე მით უმეტეს, კანდიდატურის მოხსნაზე ლაპარაკიც შედეგითაა. ეს ბაკქანალია ნ დეკემბერს დასრულდება. სწორედ ამ დღეს ჩავატარებ ჩემს ინაუგურაციას.“

„ომი აფხაზეთში რუსეთ-საქართველოს ომი იყო“

საქართველო აღნიშნავს „გარდების რეგულაციის“ პირველ წლისთავს, რომელსაც პრეზიდენტის პოსტიდან ედუარდ შევარდნაძის გადადგომა მოჰყვა. ახლა 76 წლის რესპუბლიკის ყოფილი მეთაური მოგონებებზე მუშაობს და ეურნალისტებსაც იზიარებდა სვეტა.

— ნელნადი გაცხად მას შემდეგ, რაც რესპუბლიკის სათავეში ახალგაზრდები მოვიდნენ, გაქვთ მათთან კონტაქტი? — თვითონ არა აქვთ ამის სურვილი. სააკაშვილი ამბობდა, რომ ამ სახლს დამიტოვებდნენ, პენსიას დამინიშნავდნენ. სახლი მართლაც შემინარჩუნეს. მინდა საზოგადოებრივი ორგანიზაცია შექმნა — გამოკვლევებს მივყო ხელი. მე ხომ დიდი გამოცდილება მაქვს... მაგალითად, ვიცოდი, რომ ბუში გაიმარჯვებდა.

— რატომ? — ჯერ ერთი, გამოცდილია, ფინანსური წრეებიც უჭერდნენ მხარს. ამერიკელები უკვე მიხვდნენ, რატომ შევიდა აშშ ერაყში. ერაყის ნავთობი ბუერს ნიშნავს, ბუში დიდხანს არ დარჩება იქ. ამ ქვეყნის ხალხსაც უნდა კარგი ცხოვრება და იმას უჭერენ მხარს, ვისაც ფული აქვს. მით უმეტეს, ბუში ერაყს არა მარტო მდიდრულ ცხოვრებას, დამოუკიდებლობასაც დაჰპირდა. სხვათა შორის, მე რომ გადავდექი, ბუშიმ დეპუტატი გამომიგზავნა. ახლაც, ჩემი მეუღლის გარდაცვალების გამო, მისგან ძალიან თბილი სამძიმრის დეპუტატი მივიღე. ჩემი მეგობრები და დამინისტრაციაც — ბეიკერი, შულცი ამერიკაში სამუშაოდ, ლეციების ნასაკითხად მიწვევენ... — იქნებ ისიც გვითხროთ, რთი დამთავრდება უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნები? — იქ საქმე უფრო რთულადაა. იუშჩენკოს არ ვიცნობ, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. იანუკოვიჩი ერთ-ერთ მიღებაზე გავიცანი. მაგიდასთან 5-6 კაცი ვისხედით. გამოველაპარაკეთ ერთმანეთს. ვკითხე, საქართველოში თუ ყოფილხართ-მეთქი. კიო, — მითხრა, — ქართველმა კაცმა გამაზარდა, მაგრამ გვარის შეცვლა არასოდეს მოუთხოვია. დღეს თუ კაცი ვარ, ეს მისი დამსახურებააო. მგონია, რომ

დეგი ლტოლვილების ჯერ გალის, მერე ოჩამჩირის და სხვა რაიონებში დაბრუნებისა. აფხაზეთში ხედავენ, რომ თუ დღეს ქართველებს ექცევიან უსამართლოდ, ხვალ შეიძლება მათაც ასევე მოექცნენ. ვილაც იტყვიან: რად გჭირდება აფხაზეთი, მოდი, გავასახლოო. რა, ასე არ მოიქცა რუსეთის მეფე? 400 ათასი აფხაზი, ადიღელი, უბიხი (ისინი უკვე აღარც არსებობენ) და ქართველები თურქეთში გადადნენ. რა განსხვავება აფხაზეთში რუსეთის ახლანდელი ხელისუფლების ქმედებასა და იმპერატორთა პოლიტიკას შორის?

— გადადგომის შემდეგ თქვით, რომ მეზურების დანერგა აპირებთ. როგორ მიდის წინსვლა საქმე? — მე სწრაფად ვმუშაობ და ნახევარზე მეტი ჩემი მეუღლის ავადმყოფობამდე დავმერე. მერე დღითი დღე გაუუარესდა მედგომარეობა და საავადმყოფოში წავიყვანეთ. წარმოიდგინეთ, რა გუნებაზე ვიქნებოდი. ამ დროს გენერალმა მიუწვევინა ტერორიზმის საკითხებზე კონფერენციაზე მიმიწვია. მეუღლე მორჩია, აუცილებლად უნდა ნახვიდეო. წავედი... კონფერენცია ორ საათზე იწყებოდა, პირველზე კი დამირეკეს და მისი გარდაცვალება შემატყობინეს. მაღალკლასი ვარ, რომ აქ, ეზოში დამარხვის უფლება მომცეს. გვერდით ჩემი სამარე იქნება. იმ ქვეყნად კვლავ ერთად ვიქნებით... ნანუშის შემდეგ ისე ვეღარ ვნერ... მაგრამ ალბათ იანვარ-თებერვალში გერმანიაში მანაც გამოვეცემ. ეს არა მარტო ჩემი, არამედ ჩემი მეგობრების ცხოვრების ახსნევილი მართალი, სინდისიერი წიგნი იქნება. მე ხომ ყველაფერი მასოსკ...
გაზეტა ეს-ენგ იბეჭდება შემოკლებით
გვერდი მოამზადა თინათინ მარგველაშვილმა

ნუს რუ

ნუს რუ



ძვირფასო მშობლებო და ჩვენი პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმარებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევცვლებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.




პატარები გენიოსობენ

პატარა ნიკაშ ეზოში მიხეილ სააკაშვილის სურათი დაინახა და მამას ეძახის:
— მამა, მოდი, მიშა განახო.
— ვინ მიშა?
— ველ იცანი, მამა? სანდლას ქმალი.

— დედიკო, შენზე რა ვუთხრა? ***
ძილის წინ პატარა ილიკოს დედა ეუბნება:
— დაიძინე, ილიკო, დაიძინე. უკვე ყველას სძინავს.
— ატმებსაც? — იკითხა ბიჭმა და თვალი შეავლო მაგიდაზე დადებულ რამდენიმე ატამს.
— კი, ატმებსაც სძინავთ.
— მერე ატმებს თვალები რომ არა აქვთ, როგორ დახუჭეს და დაიძინეს?

პატარა ნიკუშა ბრკელიშვილი ძილის წინ ლოცულობს:
— ღმერთო, დიდი ბიჭი გამზარდე, ჩემი დაიკო სულ კარგად იყოს... მერე დაფიქრდა...



ვიტვიტა და ბათურა

მ ღ ა პ ა რ ი

ერთ ეზოში ცხოვრობდნენ იხვის ჭუჭული ვიტვიტა და ლეკვი ბათურა. ერთხელ ვიტვიტას წუწი ფისო შესაჭმელად გამოუდგა.

— მიშველე, ბათურა! — აყვირდა ვიტვიტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გაიქცა.

— ჰამ, ჰამ, აი, შე საძაგელო! — შეუყვება ბათურამ ფისოს. ფისო შეშინდა და თავის გადასარჩენად ხეზე ახტა.

— გმადლობ, ბათურა, ახლა კი წავიდეთ და ვიბანაოთ, — უთხრა ვიტვიტამ ბათურას და მდინარისკენ სიმღერით გაეშურნენ: მდინარესთან რომ მივიდნენ, ვიტვიტა მაშინვე წყალში გადაეშვა.

— ვახ, ვახ, რა კარგია, ჩამოდი! — დაუძახა ბათურას.

ბათურა დიდ ქვაზე შედგა.

— ერთი, ორი, სამი, ჰოპ! — ნამოიძახა და ისიც წყალში გადახტა.

ამ დროს ვიტვიტამ თევზი შეამჩნია, დასაჭერად გამოუდგა და ჩაყვირდა. ბათურამ მოიხედა, მეგობარი რომ ვერ დაინახა, შეშინდა, ხომ არ დაიხრჩო და დაუძახა:

— ვიტვიტა!..

მაგრამ ვიტვიტა არსად ჩანდა.

დაღონებულმა ბათურამ ტირილი დაიწყო.

— ის არ სჯობდა, მე შემეჭამა, ვიდრე წყალში დამხრჩვალყო, — შემოესმა ბათურას ფისოს ხმა.

ბათურამ ზევით აიხედა და დაინახა: ფისო ტირიფზე ასულიყო და ტოტზე არხეინად განოლილი ჩამოსცქეროდა.

უცბად მდინარიდან თავი ამოყო ვიტვიტამ, რომელსაც მოფართქალე თევზი ეჭირა პირში. ვიტვიტა ნაპირზე გამოვიდა, თევზი ნისკარტით შუაზე გაყო და ბათურას უთხრა:

— მიირთვი, ძმობილო, ბანაობის შემდეგ საუზმე მეტად გემრიელია.

— გმადლობ, მეგობარო! — მიუგო გახარებულმა ბათურამ.

მეგობრები მადაინად შეექცნენ საუზმეს.

ფისო ხარბად იცქირებოდა ქვევით და ფიქრობდა:


— აფსუს! მაგათი მეგობარი რომ ვიყო, საუზმეს მეც ხომ გამინანილებდნენო!

საუზმის შემდეგ ვიტვიტამ და ბათურამ შინისკენ გასწიეს. გზაში ასე მიიმღეროდნენ:

ჰამ, ჰამ, ვახ, ვახ, რა კარგია, რა ნიავე ქრისო, ფისო დარჩა მშვერი, თვალზე ცრემლი სდისო,

ვახ, ვახ, ჰამ, ჰამ, მოვდივართ, შინ ვიქნებით მალე, კარგი მეგობრები ვართ, დივლი-დალალე...
კუკური გოგიაშვილი

იპოვე ორი ვრთნაირი ზუსტად სახლი



III ანა, გამოიყვანი

1) ვის მიუძღვნა ლადო ასათიანმა ლექსი „კრწანისის ყვავილობა“?

ა) ცხრა ძმა ხერხეულიძეს; ბ) დავით აღმაშენებელს; გ) სამას არაგველს; დ) გიორგი სააკაძეს.

2) რომელია ზემდეტი?

ა) ჩერჩეტი; ბ) ბრძენი; გ) შტერი; დ) ყყყინი.

3) ვინ იყო გიორგი ბრწყინვალის მამა?

ა) ვახტანგ II; ბ) დემეტრე II; გ) დავით VII; დ) დავით IX.

4) რას ნიშნავს აშშ-ის დროშაზე ვარსკვლავები?

ა) დაარსების თარიღს; ბ) შტატების რაოდენობას; გ) პრეზიდენტების რიცხვს; დ) სენატორთა რაოდენობას.

5) ამითგან რომელი ბრუნავს დედამიწის გარშემო?

ა) მარსი; ბ) ვენერა; გ) მთვარე; დ) მზე.

იპოვე 9 განსხვავება



პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოაზრება მამუკა ხუციშვილმა

პეტი ნიგნი-ზაპაარი
1 ლარი და 20 თეთრი ლის

ზღაპრების სახლი

ფიფქია და შვიდი ტუტა

„კვირის პალიტრის“ „ზღაპრების სახლმა“ უკვე 50 ქართული და უსხოური ზღაპარი გამოცხადდა

ქვირის თანამშრომლები!



„ვარდების რევოლუციიდან“ უკვე ერთი წელი გავიდა. ქართველი ერის დიდი ძალისხმევით ქვეყნის ხელისუფლებიდან წაიშალა ედუარდ შევარდნაძე. ხალხმა ნდობა გამოუცხადა რევოლუციის ლიდერებს, მაგრამ სამხედროდ, კიდევ ერთხელ გამართლდა ცნობილი სიბრძნე: „რევოლუციის ამხადებენ გენიოსები, ახორციელებენ გმირები და სარგებლობენ ნაძირალები“. რეგიონებსა და რაიონებში ხელისუფლება კვლავ შევარდნაძის რეჟიმის ცნობილმა სახეებმა ჩაიბარეს. ამიტომაც აუცილებელია ხელისუფლებაში მოვიდეს ის ძალა, რომლისთვისაც დემოკრატია მხოლოდ ლამაზი ფრაზა როდია, არამედ ცხოვრების წესი. გთავაზობთ ახალ, საარჩევნო ტიპის პარტიის წესდებას, რომელიც პარტიის წევრების ნების განმსაზღვრელი იქნება.

მხოლოდ თანამოაზრეთა იდეურ, პატიოსან, სამართლიან ბრძოლას შეუძლია ჩვენი ქვეყნის გადარჩენა. მხოლოდ თითოეული ჩვენგანის მონდომებით და აქტიურობითაა შესაძლებელი ჩვენი ერის, მამულის და სარწმუნოების შენარჩუნება, გაძლიერება და განმტკიცება.

ჩვენ წმინდა გიორგის მხედრები ვართ და ღვთისმშობლის ნილხედრი ქვეყნის შვილები. ღმერთმა გაგვამარჯვებინოს!

**საქართველოს კონსერვატორების სახელით,
კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური**



საქართველოს კონსერვატიული პარტიის

1. ზოგადი დებულებანი

1.1. საქართველოს კონსერვატიული პარტია (შემდგომში პარტია) წარმოადგენს მოქალაქეთა ნებაყოფლობით პოლიტიკურ გაერთიანებას;
1.2. პარტია თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს კანონის, მოქმედი კანონმდებლობის, საერთაშორისო სამართლის, ამ წესდების და წესდების საფუძველზე პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად;
1.3. პარტიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ლალიის ქუჩა №3, ტელ. 99 74 97.

2. პარტიის მიზანი

2.1. ერთიანი და დემოკრატიული ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, სახელმწიფოებრივი პატრიოტიზმის, ეროვნული მსოფლმხედველობისა და იდეალების დამკვიდრება, ეთნიკური, კონფესიური, კულტურული და ტრადიციული თვითმყოფადობის შენარჩუნება;
2.2. დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრება სახელმწიფო მმართველობაში, ყველა დონის ტერიტორიული ერთეულების სრული თვითმმართველობა;
2.3. კერძო საკუთრების დაცვა, სამწარმოო და არასამწარმოო საქმიანობის კერძო ავტონომია, სიღატაკის თავისუფლება;
2.4. ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებათა დაცვა;
2.5. სიღარიბის დაძლევა, უღარიბები ფინანსური სოციალური პროგრამების განხორციელება;
2.6. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, რუსეთის ფარგლის გარეშე საქართველოდან, ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებსა და ნატოში;
2.7. სახელმწიფოს აღმშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მშვიდობიანი და სამართლებრივი პოლიტიკური საშუალებებით.

3. პარტიის სტრუქტურა

3.1. პარტიის დროშა წარმოადგენს თეთრ ფონზე, ცენტრში ღურჯი კანტიტის შემოსაზღვრულ შრდისფერ სიმეტრიულ ჯვარს და მასში მოთავსებულ გრიფონს, ორი პირიზონტალური ღურჯი ზოლით ზედა და ქვედა მხარეს;
3.2. პარტიის ემბლემა წარმოადგენს შინდისფერი ჯვარი მისკენ მიმართული ამავე ფერის გრიფონით;
3.3. პარტიის ჰიმნი წარმოადგენს „ქვემო კარგო ქვეყანაზე“ ილია ქაჭავაძის ტექსტის და რევუზ ლაღის მიუსილის მიხედვით;
3.4. პარტიის დროშისა და ემბლემის გამოყენებას ამ წესდების საფუძველზე ადგენს ეროვნული კომიტეტი.

4. პარტიის სტრუქტურა

4.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა;
4.2. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა საერთო კრება;
4.3. ყრილობებსა და კრებებს შორის პერიოდში პარტიას ხელმძღვანელობს ეროვნული კომიტეტი;
4.4. პარტიის მაკონტროლებელი ორგანოა სარევიზიო კომისია;
4.5. პარტიაში იქმნება ადგილობრივი - საუბნო, რაიონული (საქალაქო) და რეგიონული ორგანიზაციები;
4.6. პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრი და ნახევარწევრი მემბრები. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, გარდა ამ წესდებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
4.7. ყრილობის გადაწყვეტილებები წესდებაში ცვლილებებისა და დასაბუთების შეტანის, მათ შორის პარტიის რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის, აგრეთვე პარტიის ქონების განაწილების შესახებ მიიღება დამსწრეთა ხმების ორი მესამედით;
4.8. ყრილობისა და საერთო კრების, აგრეთვე ადგილობრივი ორგანიზაციის საერთო კრების გადაწყვეტილებები ცალკეულ პირთა არჩევნების შესახებ მიიღება ფარული კენჭისყრით;
4.9. ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოები აირჩევა საქართველოს პარლამენტის საერთო არჩევნებამდე და ადგილობრივი ორგანიზაციის არჩევნებამდე — არა უგვიანეს 4 (ოთხი) თვით ადრე მაინც, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოები — 3 (სამი) თვით ადრე მაინც.

5. პარტიის წევრი

5.1. პარტიის წევრი შეიძლება გახდეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე, რომელიც აღიარებს პარტიის წესდებას;
5.2. პარტიის წევრად მიღება ხდება ნებაყოფლობით, განცხადების საფუძველზე. პარტიის წევრის მონაწილას გაცემს პარტიის თავმჯდომარე;

ნესლეა (პროექტი)

5.3. პარტიის წევრები იყოფა ნამდვილ და ასოცირებულ წევრებად;
5.4. ნამდვილი წევრები იხდიან პარტიის ყოველთვიურ სანევრო შენატანს და შიდაპარტიულ არჩევნებში სარგებლობენ აქტიური და პასიური საარჩევნო უფლებით;
5.5. ასოცირებული წევრები არ იხდიან სანევრო შენატანს და შიდაპარტიულ არჩევნებში სარგებლობენ აქტიური საარჩევნო უფლებით;
5.6. ნამდვილი წევრის მიერ სანევრო შენატანის სამი თვის განმავლობაში გადაუხველობის შემთხვევაში იგი ჩაითვლება ასოცირებულ წევრად;
5.7. სანევრო შენატანების გადახდის წესსა და ოდენობას ადგენს ეროვნული კომიტეტი;
5.8. პარტიის წევრს უფლება აქვს;
5.8.1. წინადადებით მიმართოს პარტიის ხელმძღვანელს ორგანიზების და მონაწილეობა მიიღოს ამ წინადადებების განხილვაში;
5.8.2. მიიღოს ინფორმაცია პარტიის საქმიანობის შესახებ;
5.9. ეროვნული კომიტეტი უფლებამოსილია გარიცხოს პარტიის წევრი, თუ მისი მოქმედება წინააღმდეგობა პარტიის წესდებას.

6. პარტიის ჩივილი

6.1. პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა პარტიის ყრილობა, რომელიც მოიწვევა პარლამენტის საერთო არჩევნებამდე 3 (სამი) თვით ადრე მაინც;
6.2. პარტიის რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა:
6.2.1. პარტიის წევრთა 1/5-ის (ერთი მეხუთედის) წერილობითი მოთხოვნით;
6.2.2. პარტიის უკანასკნელი ყრილობის დელეგატთა 1/5-ის (ერთი მეხუთედის) წერილობითი მოთხოვნით;
6.2.3. ეროვნული კომიტეტის გადამწყვეტილებით;
6.2.4. პარტიის თავმჯდომარის გადამწყვეტილებით;
6.3. პარტიის ყრილობის დელეგატები არიან:
6.3.1. ეროვნული კომიტეტის წევრები;
6.3.2. პარლამენტის წევრები, რომლებიც იმადროულად არიან პარტიის წევრები;
6.3.3. საუბნო, რაიონული (საქალაქო) და რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები.
6.4.3. ცნობა პარტიის ყრილობის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ყრილობამდე არა უგვიანეს 1 თვისა, დღის წესრიგის მითითებით;
6.5. ყრილობა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პარტიის უფლებამოსილებას განეკუთვნება.

7. საბრძოლო პრინციპები

7.1. პარტიის აღმასრულებელი ორგანოა — პარტიის საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წესდების 2-ჯერ მაინც.
7.2. პარტიის რიგგარეშე საერთო კრება მოიწვევა:
7.2.1. ეროვნული კომიტეტის გადამწყვეტილებით;
7.2.2. პარტიის თავმჯდომარის გადამწყვეტილებით;
7.3. პარტიის საერთო კრების დელეგატები არიან:
7.3.1. ეროვნული კომიტეტის წევრები;
7.3.2. პარლამენტის წევრები, რომლებიც იმადროულად არიან პარტიის წევრები;
7.3.3. რაიონული (საქალაქო) და რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეები;
7.4. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პარტიის უფლებამოსილებას განეკუთვნება, თუ ეს არ შეადგენს ყრილობის განსაკუთრებულ უფლებამოსილებას.

8. იმპერსონალი პრინციპი

8.1. ყრილობებსა და კრებებს შორის პერიოდში პარტიას ხელმძღვანელობს ეროვნული კომიტეტი;
8.2. ეროვნული კომიტეტი შედგება თავმჯდომარის, თანათავმჯდომარისა და 5 წევრისაგან;
8.3. ეროვნული კომიტეტის წევრებს (გარდა თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარისა) ირჩევს პარტიის ყრილობა, ხოლო ყრილობებს შორის პერიოდში — საერთო კრება 2 (ორი) წლის ვადით;
8.4. საერთო კრების თითოეული დელეგატი თითო ხმას აძლევს არა უმეტეს კომიტეტის 5 წევრისთვის კანდიდატს;
8.5. კომიტეტის წევრობის კანდიდატებს ასახელებს არანაკლებ 3 (სამი) რაიონული ან რე-

გიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. 1 დელეგატს შეუძლია მხოლოდ 1 კანდიდატის დასახელება;
8.6. ეროვნული კომიტეტი:
8.6.1. წარმოადგენს პარტიის პოლიტიკურ და სამართლებრივ ურთიერთობებში;
8.6.2. უზრუნველყოფს ყრილობისა და საერთო კრებების გადამწყვეტილებათა შესრულებას;
8.6.3. განკარგავს პარტიის ფინანსებს და მატერიალურ ფასეულობებს;
8.6.4. წარუდგენს განუყოფელი მუშაობის ანგარიშს პარტიის ყრილობას და საერთო კრებას.

9. პარტიის თავმჯდომარე

9.1. პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას წარმართავს თავმჯდომარე. პარტიის თავმჯდომარეს ირჩევს — პარტიის ყრილობა, ადგილობრივი ორგანიზაციებისას — ორგანიზაციის საერთო კრება;
9.2. პარტიის თავმჯდომარეობის კანდიდატს ასახელებს — არანაკლებ 5 (ხუთი) რაიონული ან რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარისას — 2 (ორი) რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე — რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეთაგან, რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარისას — რაიონული ორგანიზაციის წევრთა არანაკლებ 1/10 (ერთ მეათედს);
9.3. გურიის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს 1 (ერთი) რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს;
9.4. ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარეს უფლებამოსილება გადამდე უნდა ეროვნული კომიტეტის ან ორგანიზაციის საერთო კრების მიერ, სარევიზიო კომისიის წინადადებით, ხმათა 2/3-ის უმრავლესობით;
9.5. ადგილობრივი ორგანიზაციის რიგგარეშე საერთო კრებას ირჩევს:
9.5.1. ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭო;
9.5.2. ეროვნული კომიტეტი სარევიზიო კომისიის წინადადებით;
9.6. პარტიის ან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის არყოფნის ან მოვალეობის შეუსრულებლობის შემთხვევაში თავმჯდომარის მოვალეობის მოკალეობას დროებით ასრულებს თანათავმჯდომარე, თანათავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში — თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს ეროვნული კომიტეტი ორგანიზაციის საბჭო;
9.7. პარტიის ან რაიონული ორგანიზაციის თანათავმჯდომარედ ითვლება პირი, რომელმაც თავმჯდომარის არჩევნებში მიიღო მეორე საუკეთესო შედეგი.

10. საბრძოლო პრინციპები

10.1. პარტიის ყრილობა ირჩევს სარევიზიო კომისიის 3 წევრს შემადგენლობით. კომისიის 1 (ერთი) წევრის კანდიდატურას წარმოადგენს პარტიის თავმჯდომარე, 2 (ორი) წევრისას — თანათავმჯდომარე;
10.2. სარევიზიო კომისია თავის შემადგენლობაში ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს;
10.3. სარევიზიო კომისია;
10.3.1. ამონაშეს პარტიის და ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობას;
10.3.2. წარმოუდგენს თავისი საქმიანობის შედეგებს ყრილობას და საერთო კრებას.

11. საუბნო ორგანიზაცია

11.1. საუბნო ორგანიზაციები იქმნება საარჩევნო უბნების მიხედვით, არანაკლებ პარტიის 3 (სამი) წევრის შემადგენლობით;
11.2. საუბნო ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა უბნის წევრთა საერთო კრება.

12. რაიონული (საქალაქო) ორგანიზაცია

12.1. რაიონული ორგანიზაციები იქმნება საარჩევნო ოლქების მიხედვით. თბილისის რაიონული ორგანიზაციები ქმნიან საქალაქო ორგანიზაციას;
12.2. რაიონული ორგანიზაციის საერთო კრება შედგება რაიონული ორგანიზაციის წევრთაგან;
12.3. რაიონული ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარის, თანათავმჯდომარის და 3 წევრის შემადგენლობით, საუბნო ორგანიზაციის თავმჯდომარეთაგან ირჩევს საერთო კრება;
12.4. საბჭოს წევრები აირჩევა ეროვნული კომიტეტის წევრების არჩევასათვის დადგენილი წესით.

13. რაიონული ორგანიზაცია

13.1. რეგიონული ორგანიზაციები იქმნება ქვეყნის სამხარეო დაყოფის შესაბამისად;
13.2. საერთო კრება შედგება რაიონული ორგანიზაციების საბჭოს წევრებისაგან;
13.3. რეგიონული ორგანიზაციის საბჭო შედგება ორგანიზაციის თავმჯდომარისა და რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეებისაგან.

14. პარტიის აპარატი

14.1. პარტიის, ასევე პარტიის რეგიონული და რაიონული ორგანიზაციებში იქმნება აპარატი.
14.2. პარტიის აპარატის სამსახურ ნუსხას და პირად შეზღვევას, აგრეთვე, ადგილობრივი ორგანიზაციების აპარატის სამსახურ ნუსხას ამატებს — ეროვნული კომიტეტი, ადგილობრივი ორგანიზაციის აპარატის პირად შეზღვევას — ადგილობრივი ორგანიზაციის საბჭო.

15. პარტიის მონაწილეობა არჩევნებში

15.1. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს 10 (ათი) რაიონული ან რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს;
15.2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს ირჩევს რაიონული ორგანიზაციის საერთო კრებაში;
15.3. რაიონული ორგანიზაციების საერთო კრებების მოწვევების აჯამებს და აქვეყნებს ეროვნული კომიტეტი;
15.4. საპრეზიდენტო კანდიდატის არჩევნებში პარტიის ყველა წევრს აქვს 1 (ერთი) ხმა;
15.5. საქართველოს პარლამენტის წევრობის მეთორმეტი კანდიდატს, აგრეთვე, მერის, გამგებლისა და საკრებულოს წევრობის კანდიდატებს ირჩევს რაიონული ორგანიზაციის საერთო კრება;
15.6. საქართველოს პარლამენტის წევრობის მეთორმეტი კანდიდატის დასახელების უფლება აქვს:
15.6.1. რაიონული ორგანიზაციის წევრთა 1/10 (ერთ მეათედს);
15.6.2. რაიონული ორგანიზაციის წევრთა 1/5 (ერთ მეხუთედს), თუ კანდიდატი არ არის პარტიის ნამდვილი წევრი;
15.7. საქართველოს პარლამენტის წევრობის კანდიდატები პარტიული სიით არიან:
15.7.1. (1-2) პარტიის თავმჯდომარე, თანათავმჯდომარე;
15.7.2. (3-4) გენერალური მდივანი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე;
15.7.3. (5-14) ეროვნული კომიტეტის წევრები, აგრეთვე, დამოუკიდებელი კანდიდატები, რომელთა რიცხვითობაც ადგენს ეროვნული კომიტეტი;
15.7.4. (15-19) პარტიის აღმასრულებელი მდივანი, საზოგადოებრივ ურთიერთობათა, რეგიონული, საფინანსო და იურიდიული სამსახურების უფროსები, სამსახურის უფროსების რიგითობას ადგენს ეროვნული კომიტეტი;
15.7.5. (20-21) სარევიზიო კომისიის წევრები;
15.7.6. (22-33) რეგიონული ორგანიზაციების და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარეები;
15.7.7. (34-დან) რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეები;
15.7.8. შემოადგენილი სიის შემდეგ ადგილებს ანიჭებს ეროვნული კომიტეტი;
15.8. რაიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა შიდა რიგითობაში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს ამომრჩეველთა რაოდენობასთან ორგანიზაციის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა შეუფარდების უკეთესი მაჩვენებელი. რეგიონული ორგანიზაციების თავმჯდომარეთა შიდა რიგითობაში უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც აქვს ამომრჩეველთა რაოდენობასთან რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეთა არჩევნებში მონაწილეობა ჯამის შეფარდების უკეთესი მაჩვენებელი;
15.9. ამ უხელის დადგენილი პირები აირჩევა შესაბამისი არჩევნებამდე არა უგვიანეს 4 (ოთხი) თვით ადრე;
15.10. საარჩევნო ბლოკის შექმნა სხვა პარტიებთან შესაძლებელია მხოლოდ პარტიის ყრილობის ან საერთო კრების თანხმობით.

16. გარდასახვითი და დასკვნითი დებულებანი

16.1. პარტიის წესდების მიღებისთანავე ტარდება პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების რიგგარეშე არჩევნები. აღნიშნულ არჩევნებში პარტიის თავმჯდომარეობის და ეროვნული კომიტეტის წევრობის კანდიდატის დასახელების უფლება აქვს — ყრილობის არანაკლებ 4 (ოთხ) დელეგატს;
16.2. არა უგვიანეს 2005 წლის 1-ელი ივნისის ტარდება პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი ორგანოების რიგგარეშე არჩევნები;
16.3. წინააღმდეგარე წესდება ძალაშია მიღებისთანავე.



„რა გააკლებინებს ისე აღაიანს“ ...

მოვიდა სეკცია, დახვდა ქვა

ელიზბარ მგელიაშვილი (მარცხნიდან პირველი)



„ხალხური პოეზია საუკუნეებს გადმონდევნილი ხმა არის, უხსოვარი დროიდან მომდინარე და მრავალ ეპოქათა ტვერში გამოვლილი“ — ნერდ 70 წლის წინ ხალხური შემოქმედების დიდი მოამბე ვახტანგ კოტეტიშვილი. მას შემდეგ დრო შეიცვალა; ასლა ურმის კოფოზე შემომჯდარი გლეხი „ურმულს“ აღარ მღერის, უნატიფესი პლასტიკით შესრულებულმა „სამაია“ სოფლის ლხინიდან სცენაზე გადაინაცვლა, მრავალი კოლორიტული რიტუალი ხალხს გამოეყო და ხელოვნების საგანძურში დაიდო ბინა. ასეთია რეალობა: ძველი უნდა ნავიდეს, გზა ახალს დაუთმოს. მაგრამ თუ ძველის კვალი დავკარგეთ, წინ საფელ გზას ვეღარ გავიგნებთ. ქართველი კაცის მესხიერებას ჯერ ისევ შემორჩა საგმირო, სარიანდო, სატრფიალო, საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილი ხალხური შემოქმედების უნიკალური მარგალიტები, რომელთა გვერდით გაუხუნარია კაფია-გალექსებანი. ეს ტრადიცია ფშავეში ისევ ცოცხალია. მართალია, ამ მხარეში ქიოფებიც შეთხელდა და მისი დამამშვენიველი მოლექსებიც თითზე ჩამოსათვლელია დარჩა, მაგრამ ჯანსაღ იუმორს მონატრებული ადამიანები ძველებური ერთი მაინც კაფიობენ, ზოგი ესპირიტუალად, ზოგი ფარატინა ქალადზე მიწერ-მოწერით, კაფიობენ ერთმანეთს, ლექსისა და ცოცხალი იუმორის უზადო სიყვარულით...

ელიზბარი განათლების განყოფილების ინსპექტორად მუშაობდა და ხშირად დადიოდა სკოლების შესამოწმებლად. დაადგა ერთხელ მთის ბილიკებს, მოკლე გზით იარა, მაგრამ ვიდრე მარახეში ჩააღწევდა, მზე გადაიხარა. სკოლაში არავინ დახვდებოდა. მიიკითხა მოიკითხა ლევანი. უთხრეს — არც სახლშია, არც გარეთ, არც მუშობლებში, რა ვი, ეშმაკმა იცის მაგის თავი და ტანი, სადმე იქნება შეფარებულიო. რაღას იზამდა ელიზბარი, გამობრუნდა. სათქმელი კი ხელდახელ გადაიტანა ქალადზე და ლევანის სახლს კარის ღრეჭოში გაურჭო: „შენ დროგამ დაეწე ბიძაო/ შენი უნიტლად ნაწნალი/ დაბერდი, გემდურებია/ ზოგი ცოლ, ზოგი ნანალი. ლევანსაც არ ედო ენაზე ბოროლი და მეორე დღესვე დაადგინა: — შენ გითქომ გიბულატრებავ/ ჩემ ათახს უთას ნანალი/ თავს თუ ვერ ატყობ, არ ვიცი/ ბეჩავ კაც რო ხარ, საწყალი/ ტუნითულ, თავბულულა/ ერთიც არა გყავს გამყარალი... მერე წერს, რომ შენ და თენგიზმა (ლევანის ვაჟი, ელიზბარის მეგობარი) ლაშარში საკლავი დაკალით, სამ-სამი გოგო გყავთ და ბიჭს რომ ვერ აკეთებთ, იქნება ხატმა გიმელოთო. ელიზბარმა პასუხი არ დააყოვნა: — მე და თენგიზმა, — განა არ ვიცი, გვეჯობიხარ/ დედაკაცების რთავია, ჩვენ თითო ცოლი ძლივა გყავს/ ვერ გავიცივლია სხვაშია, შენ კიდევ ხონთქარივითა/ შიგით არჩევ სხვაშია/ ან ქალ გამუა ან ბიჭი/ მავდენა დუნიაშია... ლევანმა თავლია კონფერტში ჩადებული

„ჯავ ბიჭო, ლახაგუელავ, კვიცი კუნტრუშობს გვარმედა“ ...

ფშაური კაფიის დიდოსტატის, ყრუ გიორგის (გიორგი მგელიაშვილის) კრახზე დაბადებულ ელიზბარს კოჭეზშივე ეტყობოდა, რომ არც ჯაბანი კაცი დადგებოდა და არც პაპის ნათქვამ კაფიას „შეამტებოდა“. ფშაველი კაცისთვის ხომ ოდითგან ლექსობა არსობის პურზე უპირველესი იყო. იმ უდაბურ სოფელშიც, რომელსაც ლახატო ჰქვია, თითო-ორიოლა კომლიდან თითო-ორიოლა კაცი და დედაკაცი, ბაღლი თუ ჯეული ერთმანეთს პირზე მომდგარი ლექსითა და შირ-კაფით ესმინებოდა. ზოგჯერ ისე ჩამოლევდნენ წუთისოფლს, ქვეყნის ყაყანი და ქარიშხალი იმ უღრან ტყეზედ ვერც მიაღწევდა. ელიზბარ მგელიაშვილმა საგვარეულო სიტყვის საგანძურად უთვალავი მარგალიტი ამოკრავდა და სალაღობოდ მოჰყვინა ხალხში. მართალია, ლახატოდან ცოტა ჩამოივავა, თიანეთში დასახლდა, მაგრამ ფშავეს გულმკერდს დღემდე გვირისტიითა მიკერებულ: წერს, იწერს, აგროვებს ცინცხალ-ცინცხალ ხალხურ ლექსებს, კაფიებს და წუხს, აქაურებმაც ბოლოვანს სიტყვიერებაზე თითქმის მთლიანად რომ აიყარეს გული. ალბათ გაჩერებამ მიაძინა მოსახლეობაში ლექსის ამოთქმის ჯიჩიო — სინანულით ამბობს ბატონი ელიზბარი. თავადაც ბევრჯერ შეასვა ცხოვრებამ სიმწრით საზე ფილა, მაგრამ მოყვასის საამებლად და სალიმილოდ შემართულ კალამს მელანს არ ამბობს. მოპაექრებებიც არ ელევა. მონატრებით მაინც ყარდასულ დღეებს იხსენებს. მიწერ-მოწერა ყველაზე მეტად ლევან ბოძაშვილთან ჰქონია გაჩაღებული. ლევან ბოძაშვილი მიღესქმების ფხიანი ოსტატი იყო. პირლიმილიანი დადიოდა და მოსწრებელი ოუმორით ცხოვრებას უადვილებდა გარშემოყვით. სახლობდა სოფელ შარახეში. იქვე მასწავლებლობდა. IV კლასებში ხან 7 მოსწავლეს ითვლიდა, ხანაც — ოთხს... ყველა საგანში ერთად უტარებდა გაკვეთილებს, დირექტორიც თვითონ იყო, სასწავლო ნაწილიც, დამრიგებელიც და დარაჯიც. კანონიერად სამჯერ იხსენებდა გვირგვინი, თანაც აუარებელ ნაწალს „აყვედრიდნენ“. საცინლად არ ჰყოფნიდა სხვათა ქილიკი. ელიზბარს მისწულში არ გამოარჩევდა, სიყვარულით „ბიძაილას“ ეძახდა. თბილისში ჩამოსვლისას თავის ბინას უთმობდა და თან აფრთხილებდა: ბეჩავ კაც წე ხარ, ლამაზმანმა თუ კარი შემოვლას და მიუთხოს, უთხარი, ლევანი მე ვარო...

— შენი წერილი მივიღე/ სიცილით გავიგუდია.../ საკვირველი ხარ; ბიძაო/ მაინც უნდა სთქვა მრუდია/ შენთან თამაში ფიშერს რა/ პარგია გაღაუდვია?

საპასუხო ლექსი სატყროთ მანქანის მძღოლს გამოატანა. მძღოლი ისე იცინოდა, მანქანა თურმე ორ-სამჯერ სთქვა ხესა და კლდეს: — რაკი ხონთქარად მომნათლე/ მკაცრად მოვიტოხო ამასა/ გამაუგზავნე სიდედრი/ ხონთქარის პარამანასა, — წერდა ლევანი. კაფით ელიზბარს მთელი ბიძა-ბიძაშვილები გაუშარჯა და ისევ „დაადგა მავოლზე ფეხი“... — შენ სიდედრ გამამიგზავნე, აგივსო ოქროს ფულითა/ ხელსულელებს გამოგვიგზავნი/ ლევან არ ნანწყმდეს სულითა... გაქვეყნა ეს ამბავი და იქცა კიდევ სახალხოდ. 61 წლის ლევანმა დაბადების დღე გადაიხადა. დაპატივა შინაურები, მძა-ბიძაშვილები, მეზობლები. მთვრალმა სტუმრებმა მიზანში სროლა დაიწყეს, ხანაში ვაგლახად გაუვარდათ. ოუბილარი მსუბუქად დაიჭრა. ელიზბარმა წვეულებაზე წასვლა ვერ მოახერხა, „მისალოცი ბარათი“ კი მოგვიანებით გაუგზავნა: — ერთად შეყრილან ბოძანი/ შარახეში აქვთ ყრილობა/ ტახტზე ზის ოუბილარი/ ეტყობა გადალილობა/ მოსულან ოუბილზე, თავის ძმა-ბიძაშვილებს/ სიტყვაში გამოშვლულებს/ ერთ-მანეთში აქვთ ცილობა/ აღნიშნეს ოუბილარის/ ხალხის წინ ვალმობილობა/ დამსახურებად

ჩათვალეს ცხრავერ ჯვარდაწერილობა/ ერთი რამ მივირს, ბოძანო/ ხალხნი ხართ, გვექვისთ ზრდილობა/ ე კაც თუ ვერე გიყვარდათ/ რად მიაყენო ქრილობა? ელიზბარს არაერთხელ მიუღია მონანილეობა მასწავლებელთა შორის გამართულ

დამჯდარხარ, ლექსებსა ბლაჯნი/ ცარიელ თავსა პლალო/ შენ პოეგობა ვინა თქვა/ ეგ ვინდა დაგაბრალო/ რას შეესწარი ირაკლი/ ცხოვრება შეიცვალაო/ თემურლენგეგით დაღიხარ/ ხალხს უკვე ხმალდახმალაო/ ღმერთმა უშველოს სახბანკსა/ რო მოგცა მაგდენ ძალო/ ქალადს მანდუკში აქურებ/ ოქროს ქოთანში ჰმალაო/ ცოგა იფრთხილე, ძმობილო/ არ გახდეს ხათაბალო/ კლეკკაში არ შეგაძვრინონ/ არ დამრჩე სახამშრალო...

საჭადრაკო რესპუბლიკურ შეჯიბრში. მუდამ საპრიზო ადგილებზე გადიოდა. ერთხელ ხელი მოეცარა და მხოლოდ მეორე თანრიგის ნორმა შეასრულა. ლევანმა გააქილია: — ბაბა, რა ძან გაქებენ/ რა შორს გაითქვი სახელი/ მსოფლიო ასეთ ამბისა/ მგონი არ არის მნახველი... შენი სახელი ამერიკაში გაითქვა და ფიშერს მაკვიდა კანკალია. — წერდა. ელიზბარმა საჩქაროდ დაუბრუნა პასუხი: — შენი წერილი მივიღე/ სიცილით გავიგუდია.../ საკვირველი ხარ; ბიძაო/ მაინც უნდა სთქვა მრუდია/ შენთან თამაში ფიშერს რა/ პარტია გადაუდვია?

ელიზბარ მგელიაშვილმა დაამთავრა თსუ-ის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, მოიარა მთელი საქართველო, დაიცვა დისერტაცია, მიიღო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. ლევანმა მოსწერა: ეგეთას ვერვის შევაქებ/ გინდა საკუთარ ძმა იყოს/ შენ რო მეცნიერ გახდები/ — მეცნიერება დაიწიოს.

ბაბა, უპასუხოდ რას დატოვებდა ელიზბარი: — ის დრო ნავიდა, ბიძაო/ შენ რო ფშავეს დაფარფარებდი/ მამის ფულს ამხრიალებდი/ თავს მეფეს შაადარებდი/ ხელში გვეჭირა „პალტორკა“ (ავტომანქანა)/ პირივით დააქროლებდი/ მაღაროსკარის ბოლოსა/ კლდედა ჰკარ ანაქარები/ ერთა ფეხაი კი მოგტყდა/ ერთიღა დაპხანხალედი.

მოსკოვში კვალფიციაციაზე გაგზავნილ ელიზბარს ლევანმა წერილი გაუგზავნა, ჭკუას არიგებდა, უფრთხილდი მანდაურ ლამაზმანებსო. ელიზბარმა დაამშვიდა: უცხო ქალი თუ ეგეთი „ყროლ“ იყო, შენ რად არ ერიდებოდიო. — ზოგს თავში თმის ლერ არა აქვს/

რაც შენ ნანალი გყოლია/ ვინ მოსთვლის უკანონოდა/ რამდენიც გვერდზე გწოლია...

„ჩემ თავ მოგიკვდეს, ირაკლი...“

ირაკლი ალბუთაშვილი ჩაბნოს სკოლის გამგე-მასწავლებლად მუშაობდა და მხოლოდ ერთი კოლეგა ჰყავდა — ხეთისო. კაი მთქმელი და მოლექსე ბატონი ირაკლი ოუმორით სავსე გუდას დაატარებდა და სადაც პირს მოხსნიდა, კაცი ენას ვეღარ მოაბრუნებდა. ელიზბარს განათლებაში წერილი გაუგზავნა — ახალი სასწავლო წელი იწყება, სკოლა გაპარტახებულია, იატაკი ამოყრილი — შარხათაბალა გახდებდა/ შიგ თუ ბაღლ ფეხებ ჩახჩრისა/ შენ რასა პოეგობო, ელიზბო/ თითს რო გვიღერებ მანდითაო.

ელიზბარმა რწევა-დარიგება მისცა: — რაღა ვენა, ჩემო ირაკლი/ ვინუბი შენი ცოდვითა/ ერთი რამ უნდა გირჩიოთ/ შენდ ხეთისომ ვგრე პქროდითა/ ერთხელ სად ემა სკოლასა/ ერთი სპიკაი ჰქროდითა/ ჭიაკოკონის გვერდითა/ ბოთლებით ჩამახდოდითა/ თვიდან მიშორდით/ ხელები მათბოდითა/ თუ ორმავ არ დაისვენოთ/ მლანლოდით, მაგინოდითა... წინებული ლიტერატორი და პოეზიის თავყვანისმცემელი ბატონი აკაკი ფლენტი ელიზბარს აყვედრიდა, შენ ის ელიზბარი არა ხარ, რომელმაც ელოში დიდოელების ჯარი ამოწყვიტაო — არც გიჭრის ხმალი ზიკოცა/ არც ხანჯალ მამისეული/ კალამი გიქვის იმედად/ კალამი პამისეული.../ შენზე დავგიდგა იმედი/ მენაც ამზე ვჭირია... დღემში ორ-სამჯერ მალექსებს, გადამეკიდა აკაკიო — მოსთქვამს ელიზბარიც. რა ვენა, ყველა ვერ იქნება — ღმერთისგან ხელნამოკრული/ უფროსად დაბადებული/ ცხრა-ათვერ განათლებამი/ მავდებულ-გამოგდებულო/ გაფასებს უფროსობაცა/ ზურგი გაქვს გამავრებელი/ მთავრობის ჯვარმედლებითა/ მკერდი გაქვ დამშვენებული/ რამი გაძლევს ნეტა რა/ მივირს, ვარ გამტერებელიო.

— ისინი ომში მივიღე/ არა ხინკლები/ მამაში, არა სკოლებში საბჭოურ ნარდის-ჭადრაკის თამაში, — პასუხს უბრუნებს აკაკი.

„შენ პოეგობა ვინა თქვა...“ ელიზბარ მგელიაშვილს კოლეგების გარდა, სხვაც ბევრი მოპაქრე გამოურია. ერთი მათგანი, ზარიძეების მკვიდრი, ბანკის ბუღალტერი, ხუმრობა-იუმორის ოსტატი ირაკლი ცალუელაშვილი, ყოველ ახალ წელს ვრცელ „მისალოცებს“ უგზავნიდა ელიზბარს და პაექრობაში იწვევდა: — კაი მოლექსეს გაქებენ/ ივანეთ ელიზბარო/ შენმა ნათქვამმა სიტყვებმა/ ბევრ მოქმელი გამწარაო... თან ექადნებოდა, ვინმეში არ შეგეშალოო. ელიზბარმა ერთხელ მისწერა პასუხი და დილოგიც შეწყდა: — რაად მალექსებ, რას გიშლი/ ჩხელებავ ჩემონალო/ შენ სასაცილო ვინ არი, შენ ნახვევარზე მთვრალაო/ დადიხარ გალოთებული, მუსლით მინასა ჰკვალაო (ოდნავ კოჭლობა) დამჯდარხარ, ლექსებსა ბლაჯნი/ ცარიელ თავსა პლალო/ შენ პოეგობა ვინა თქვა/ ეგ ვინდა დაგაბრალო/ რას შეესწარი ირაკლი/ ცხოვრება შეიცვალაო/ თემურლენგეგით დადიხარ/ ხალხს უტვე ხმალდახმალაო/ ღმერთმა უშველოს სახბანკსა/ რო მოგცა მაგდენ ძალო/ ქალადს მანდუკში აქურებ/ ოქროს ქოთანში ჰმალაო/ ცოგა იფრთხილე, ძმობილო/ არ გახდეს ხათაბალო/ კლეკკაში არ შეგაძვრინონ/ არ დამრჩე სახამშრალო... ..მუხრან მაჭავარიანი ერთ ლექსში წერს: „რა გააძლებინებს ისე ადამიანს, თუ არ შეიქცია თავი რაიმეში...“ ქვეშაირიტად!

ეტერ თარიზანი

ეს უნდა იცოდეს ყველა მამაკაცი

„პროსტა სტრონგი“ - სპეციალიზირებული, ნატურალური სამკურნალო პრეპარატი პროსტატის ჯირკვლის ფუნქციის აღდგენისათვის.

„ფლიშბ ფილი“ - ვეფექტური ნატურალური სამკურნალო პრეპარატი ერექციის ინტენსივობის, სანგრძლივობისა და სისწიერის გასაზრდელად.

- ✓ ამცირებს პროსტატის ჯირკვლის ადენომის განვითარების რისკს
- ✓ აჩვენებს პროსტატის ჯირკვლის ზომებს
- ✓ ხელს უწყობს შარდის ნორმალურ გამოყოფას
- ✓ აჩვენებს პროსტატის ჯირკვლის ადენომის მწვავე პროსტატის დროს
- ✓ ამცირებს ქრონიკული პროსტატიტის გამწვაების რისკს
- ✓ აჩვენებს მამაკაცის სისქის პორმონებს დონეს
- ✓ ხელს უწყობს მამაკაცის სექსუალურ ჯანმრთელობას

- ✓ ასტიმულირებს სქესობრივ აქტივობას
- ✓ აღადგენს და უნარჩუნებს სექსუალურ ლტოლვას
- ✓ აძლიერებს სექსუალურ ემოციებს
- ✓ გააჩნია სანგრძლივი და არა მხოლოდ წუთიერი ვეფექტი
- ✓ კლინიკურად გამოკვლეული და აპრობირებულია
- ✓ ვეფექტურია როგორც ქალებისათვის, ასევე მამაკაცებისათვის.

ამ ორი პრეპარატის კომბლინაციური მიღება მოქმედებს ყველა იმ კომპონენტზე, რომლებიც წარმოადგენს მამაკაცის სასისხლს მამაკაცს.

მის. დ. აღმაშენებლის 150 ☎ 95-65-03; 96-06-67
ყოველ დღე ქვირის ბარდა 10.00 - 18.00

ზ

აფხულობით ძალიან მიყვარდა რაჭაში, მამიდასთან სტუმრობა. მამიდაჩემი სოფლის კლუბის გამგე გახლდათ! საბჭოთა წყობილების დროს დაგვემძლი იყო არათუ წელიწადი და ხუთწლიანი, არამედ პირუტყვიც კი — ამ დროს ნაშვირს გააჩენს, ამ დროს ყველს მოგვეცემს, ამ დროს კი მატყლსო. გამოწავლის არც სოფლის კულტურული ცხოვრება წარმოადგენდა — ჯერ პირობა უნდა დაგვედო, რამდენ კონცერტს, სპექტაკლს ჩაატარებდნენ მოილაღე მსყვემდებარე და გმირი მწველავები-სათვის და მერე მატაკი მიგვეყოლებოდა: „სპექტაკლი დაიწყო 22.00 სთ-ზე (უფრო ადრე საქმე არ უშვებდა გლეხებს კულტურულ ღონისძიებებზე) და მთავრდა 24 სთ-ზე. სპექტაკლს ესწრებოდა 200-ზე მეტი მშრომელი, მათ შორის საბატონო სტუმრები: მომადგრებული პირი რაიონიდან, კოლმეურნეობის თავმჯდომარე, კოლმეურნეობის ბუღალტერი... წარმოდგენამ მოწონება დაიმსახურა, რაზეც მეტყველებს ხანგრძლივი ოვაცია და ყვირილი — კიდო, კიდო! (რაც „ბიხს“ და „ბრაუოს“ ნიშნავდა).

სოფლის კლუბის რეპერტუარი ისეთი იყო, აკადემიურ თეატრებსაც რომ უშეურდებოდა: „რომეო და ჯულიეტა“, „მეფე ლირი“, „ჰამლეტი“, „ცხვრის წყარო“ და, რაღა თქმა უნდა, „ოტელიო“.

რა დამაინტერესებდა, და ზოგჯერ მგონია, ნანა მჭედლიძემ ჩემს მადალითუ გაადაილო „იმერული ესკიზების“ ის ეპიზოდი, მთავარი გმირი თავისდა უნებურად რომ აღმოჩნდება სცენაზე, „მკვდარ“ დეზდემონას თავზე წამოადგება და დარბაზში ასლუქუნებულ ქალებს გახარებული გადასძახებს: — ცოცხალია, სუნთქავსო... სასიკვდილოდ როგორ გავიმეტებდი ბიბლიოთეკის გამგე „დეზდემონას“, გულდაგულ რომ მიჩრჩევდა საუკეთესო საბავშვო წარმოებებს...

ბავშვობაში მეც ნითური და ქორფლიანი ვიყავი, მუდამ თმაგანწილი და მუხლებგადაფეულფილი. დამინახავდა თუ არა „მთავარი რეჟისორი“ რეპერტიციაზე მისულს, აყვირებოდა: — მომამორეთ ეს რაჯა მაიმუნი, დამთარსა კაცი, ანი რაღა გამოიწვიაო...

არ მიყვარდა „რეჟისორი“, რომელიც პარალელურად კოლმეურნეობის ვეტერინარიც იყო. „კარგად აღზრდილ ბავშვს“ როგორ შევადრებოდა, თორემ უნის წვერზე მიტრიალებდა სათქმელი: — შენი ვირივით ვირომეთქი. რაჭაში ვირი იშვიათობაა და რატომ-ღაც სწორედ მას ჰყავდა.

...მოკლედ, ამ კაცის არსებობას მხოლოდ იმიტომ ვიტანდი „მამიდაჩემის კლუბში“, რომ თეატრი მიყვარდა ნამეტნავად და ეს საოცრება კი ჩემს ბავშვობასთან ერთად სწორედ მის სახელთან იყო დაკავშირებული...

რამდენჯერაც უნდა გავგეგმე, მაინც ვახერხებდი რეპერტიციაზე დასწრებას კულისებში და მალული და რეჟისორის რეპლიკებს ხარბად ვუსმენდი:

— დეზდემონა, ცხვირსახოცია, ბოშო, მაგი, შენი ძროხუკას ძუძუს სანმენდი ტილო კი არა... იაგო, შე ოჯახდაქცეულო, მაგ ცხვირსახოცის დაწნოსავზე ტანჯავა კი არა, ნეტარება უნდა დაგვეწეროს სახეზე. შენ კი, გვეგონება, ნებს ყნოსავსო... ფუჰ, დაგესხათ თავსაფი, თქვენ შექსირის გულში არ იჯდეთ... ოტე-

ლო, თვალბით რომ ბურღავ დეზდემონას, მაგი ამ ნუთში შენი საყვარელი ქალია და არა ბიბლიოთეკის გამგე, გაზუთებს რომ გიძალავს — ჯერ ხელები მიხედვით და მერე მოდი, სახელმწიფო ქონებას მოფრთხილება უნდაო... წელა, ბიჭო, მართლა არ დაახრწო, თან შემოდან რომ გადააჯექი, გრიშუკამ არ დაგინახოს, თვარა კატის კრუტებით მიგახრწობს ყველას, ცოლის სახალხოდ გაბახებას ვიტანს მისი არყით გაცხელებული ტვინი?!

...ასეთ „შემოქმედებით ტანჯავაში“ გადიოდა დრო, რომელიც, საბედნიეროდ, მალე მთავრდებოდა — გეგმა არ იძლეოდა რეპერტიცების უსასრულოდ გაგრძელების საშუალებას, სპექტაკლი ორ კვირაში — ჰა და ჰა, 18 დღეში უნდა ყოფილიყო მზად, რომ პრემი-

რაჭველი ოტელი

ერის შემდეგ რაიონული მასშტაბის ტურნეც მოესწროთ და სანამ ქალაქელი მოაგარაკები გართობისათვის არაფერს იშურებდნენ, ცოტა ფულისთვისაც მოეყარათ თავი... არა, მსახიობებს ხელფასებს არაფერ აძლევდა, ადამიანს დასს „მოყვარულთა“ ერქვა და ვითომ ნებაყოფლობით მოსულებს აერთიანებდა. ჩემზე უკეთ ვინ იცის, რის ფასად უჯდებოდა მამიდაჩემს ყოველ საღამოს „მსახიობების“ რეპერტიციაზე შეკრება. ყველასათვის თავად უნდა გაველო, ყურში ხელი ჩაველო, ბუზღუნე არ ეცლია — დავილალო... მექინებაო... ხვალ დილაადრე სათიბში ვარ წასასვლელიო... დღეს 5 ქექტარ ვაზს ვუნამლო... კაცო, ახალშერთული ცოლი მეორე თვეა ქალწულად დამიდის, ლამე მაინც გამაჩრეთ შინო...

რეპერტიციები ზოგჯერ დილაადრე გრძელდებოდა... რამდენჯერ წაკამე მოკუნტულს ჩამოინებია და დილით ვერაფრით გამოსეგნებია, როგორ აღმოვჩნდი საწოლში, თანაც პირდაბანილი და თმადავარცხნილი...

რამდენჯერ მიოცნებია, თავი დეზდემონას როლში მექილა და ბოლმა მახრწობდა, რომ არა და არ ადგებოდა საშველი ჩემს გაზრდას. სარკესთან მოკვლევს დარდს ჩემი ძმის შენიშვნებიც მიორკვებდა: — დეზდემონა ლამაზი უნდა იყოს, შენ კი რას ჰგავხარო...


ეჰ, განა არ ვიცოდი, რომ დეზდემონას ბარაქიანი თეატრი და მკვრივი უნდა ჰქონოდა, დიდი ტუჩები და ლაღაღა ლოყები... მე კი — „სამარცხნიოდ“ მიჩანდა მოკლე ჩითის კაბიდან დატყაული სუსტი მუხისთავები... მკვრივი კი, როგორც არ უნდა გავხეიქილიყავი, სამომავლოდაც არ მამძლევდა არავითარ იმედს...

ოტელი კი... ოტელი იმ უფლისწულად მექვნიებოდა, ძილის წინ ბეზბას ზღაპრებში რომ სახლობდა და მაშინაც კი უზადო მეგონა მისი სახის ნაკვთები — წარმოდგენის წინ თონიდან ამოღებული მურით რომ გაუთხუნ-გაუშავებდნენ... მშურდა დეზდემონასი, ისიც კი, სიყვარულისათვის რომ ახრწობდნენ და სიკვდილზეც კი ეჭვიანობდნენ...

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა... ახლა აღარც მამიდაჩემია, თორემ კოლმეურნეობა

და მისი კლუბი ხომ კარგა ხანია წარსულს ჩაჰბარდა. „მსახიობებიც“ ზეციურ „დასში“ მიხიშო არსთაგამრიგებ, ზოგი უფროოდ, ზოგიც წესისა და რიგის მიხედვით... თითზე ჩამოსათვლელნილა დაჩრწენ — მათ შორის ჩემი თაყვანისცემის და აღფრთოვანების საგანი — რაჭველი ოტელი, ძია ვალიკო... ხმა შერჩენია მხოლოდ ძველებური, ომხიანი, მჭექარე — გარეგნობა კი... ის ახოვანი მხარ-ბეჭი მაინც სად და როგორ გაუქრო დრომ... რომ ჰკითხო, — დარდმა და გაჭირვებამ დამაბატარავაო... საბჭოთა კავშირი ვისთვის ბოროტების იმპერია იყო, ვისთვის კი სამოთხე და უზრუნველი ცხოვრების გარანტია.

— ეჰ, უმადურია კაცი და ვერ ამჩნევს



ბედნიერებას, მეტს მოითხოვს, თორემ საბჭოთა კავშირს რა სჭირდა დასანგრევი, ბოშო... ახლა რომ ვაკვირდები, კომუნისტურ აშენებულ გვერდებს, სინათლეს იყო, წყალიც, გზაც, მანქანაც... თუ რამეს შეინევიდა ყანა-ვენახში, პატროსნად მიჰქონდა სახელმწიფოს, ცოტას გაძლევდა თუ ბევრს, ხომ გაძლევდა ხელფასს და პენსიას, ყურძენს და ღვინოს ფასი ჰქონდა, ახლა ტყეშიც მეტს ფასობს, მარა ტყუილადაც არავის უნდა, საზღვარგარეთიდან შემოაქეთ ათასი შხამი და მამაძალღობა... ფერ-მამი უამრავი ძროხა გვყავდა, ცხვირი — რძე და ყველი ვის უნატრებოდა, თონის ხაჭაპური და ლობიანი მოწყენილი გვექონდა... ახლა ყველზე და ლობიოზე მეტად პური გვიჭირს... არც სიმინდი მოდის, მარა რომც იყოს, რაჭაში პურს სხვა ფასი და მაღლი აქვს, იმის გარეშე ბედნიერება არ არსებობს...

შენს ბოშობას რომ იხსენებდი, ისიც გე-მასსოვრება, რა მოლხენით ვამთავრებდით რეპერტიციებსაც კი, თვარა პრემიერებზე და გასვლით სპექტაკლებზე ხომ ნატურის სუფრები იმლებოდა, ვის უკვირდა თონეში შემწვარი ინდური, გოჭი და ბატკანი, ხვანჭყარა ფუთობით ისმებოდა... ამის მერე „მრავალფეროვანი“ და „რამოდან“ მთებსაც აგუგუნებდა, სიყვარულის ცეცხლს დაანთებდა... ახლა ვილას ახსოვს ან სიმღერა და ან სიყვარული, ჩემმა

თამაზიკამ უცოლოდ დეიბერა თავი, დედამის მისი ჯავრი ჩაყვა საფლავში. ბიჭმა ორი უმაღლესი დაამთავრა და უმუშევარი თუ დამრჩებოდა, რა მათეორეტიკა. მათემატიკას მაინც ვასწავლი სკოლაში და... სკოლა დეიხურა, გარბის ყველა ქალაქში, არ აჩერებენ ბოშებს აქეთ და მართლებიც არიან, საცაა ჩეიქვევა ქუთისთან დამაბავშირებელი გზაც, აქეთ ხომ ოსებმა აგვიკრძალეს სიარული... უცხოვლანტელებს დარჩებათ ეს ჩვენი მშვენიერი რაჭა...

ცხოვრებით მამიდაჩემი რომ დეიძებოდა ჩიშკარში, წელი მწყებოდა, რა მერეტიციებოდა — თელი დღის წამყვევარს ბოლი ამ-დიოდა ბეჭებზე... რომ მითხრეს, ოტელი იქნები, დეზდემონა უნდა დაახრწო, შიშით გამაცია — ხომ გახსოვს ცხოვრებული გრიშუკა, დეცს გაედა გარეგნობით, მარა ქუანაკული იყო და მისთვის თამაზი და სინამდვილე ერთი იყო... პირველად „მკვდარი“ ცოლის დახსენებამოვარდა ღრიალით სცენაზე და ისე მეყვა, ორი დღე ვერ ვდგებოდი ფეხზე, ცოლის კვილ-მაც ვერ დააბრუნა საამქვევნიოდ — ოჯახი დამიქცია, არ ვაცოცხლებო!

ეჰ, თბილისშიც ქვე ვიყავით ერთხელ გასტროლებზე, გაზეთშიც დეიხურა: — რაჭველებმა იმფერი „ოტელი“ გვიჩვენეს, მსოფლიოში მსგავსი რომ არ ყოფილაო, — ალბათ ცოტა დაგვიცინეს კიდევაც, რადგან ტრაგედიას ვთამაშობდით და დარბაზი რამდენიმეჯერ ლამის სიცილით ჩაბვირდა... ლაურეატობის დიპლომები მაინც მოგვეცეს და დიღასან დაუდიოდით ამაყად, მთელი რაიონი პატივს გვეცემდა. ლაშქალის საგზურებიც ქვე მოგვეცეს ჯილდოდ და იმ ერთხელ მეტად აღარც მღირსებია მხარეთმცოდნეო...

...მერე ძია ვალიკომ დაწერილებით გამოშკითხა, სად ვიყავი და რას ვაკეთებდი და „რაჭული ქათინაურიც“ მითხრა, — ბოშობაში იმისთანა ნაკლები იყავი, რას ვიფიქრებდი, ასე თუ ვაკეთებდით (ე.ი. გალამაზდებოდით!..)

იმამიც გამოუტყვედი: — სიგიჟედ ვიყავი თქვენზე შეყვარებული და გაზრდა მჭქარებოდა, დეზდემონა რომ მეტამაზა-მეთქი...

— ახლა შენ სხვა ოტელი გჭირდება, ჩემი ოტელი კარგა ხანია წარსულში დაჩნა და აღარც მექინებოდა, სხვა ვადრდი მაქვს — ამ ჩვენი ქვეყნის და ხალხის უბედურება მიღრღინის გულს, ჩვენც დეზდემონასათვის გვიჭერს ხელს ყელში, გვანჯირობენ, სიყვარული და სიხარულს არ გვანებებენ ხან რუსები, ხან ამერიკელები... ცუდად ვარ, შეილო და აღარ მებუშობო, სული აღარ მიცინის — საქართველოს ხვედრის სიმძიმე მომხარა და დამაბატარავა, საცა სულ გამაქრობს, — თვალში ცრემლი მოადგა ძია ვალიკო-ოტელი და ზურგი მქცია, წასალი-სას მომიბოდიშა: — უქალიც რომ არ იყოს, აღარც ბარაქა ჩემს ოჯახში, მამატი, რომ ვერ გეპატივებო...

წავიდა და დამტოვა გაუხადის სიჩუმეში, ამოფ ვეჭებდი მონატრებული „მრავალფეროვანი“ და „რამოდან“ პანგებს სივრცეში, საიდანაც ჩემი გაოცებული და გულდაწყვეტილი ბავშვობა შემომცქეროდა...

ისე, ოტელი და გამარჯვებული არც არსებობს და არც რამე უნდა მიკვირდეს ალბათ, მაგრამ მაინც ვერ გავძეცი სევდას...

ინგა ჯაფელი



საქართველოს ახალგაზრდა აქრონომისტთა ასოციაცია

ლიცენზიონისა და ნებართვის დანერგვის პროექტი

უფასო საბავშვო კონსულტაციები ლიცენზიონისა და ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით

ლიცენზიონის სხალი ხაზი 93 64 75

სხალი ხაზი ფრანკონიერას ყოველ დღე შაბათ-კვირის გარდა. 11-დან 19 საათამდე.

საქონებაჯომ ინფორმაცია: მისამართი: **3. მრგალიანის ქ. №35, თბილისი 0105; ე-მაილ: office@economists.ge**



პროექტი ხორციელდება IRIS- საქართველოს მხარდაჭერით

უძრავი ქონების საზონი გრძელდება



ქურნალში იხილეთ: უძრავი ქონების ბაზრის ანალიზი, გენდენციები, ფასები, პროგნოზები, პროფესიონალთა რჩევები... და რა თქმა უნდა, უამრავი განცხადება

ქურნალში — ორი სუპერკუპონი



ყველაზე რეალური ინფორმაცია

მოსკოვიდან ორიოდე დღით ჩამოსულ ნაზარ კახალაძე ნუთიც არ ჰქონდა თავისუფალი, მაგრამ მაინც მოვახერხებდა შეხვედრას.

— დაედივარ და მინდა შევხსენო თავი ყველას, ვუთხრა, რომ მე ისევ მათთან ვარ, თუმცა მოსკოვში მისდებარე მუშაობა, — მითხრა ბატონმა ნაზარმა და განაგრძო: — 51-ე საშუალო სკოლა დავამთავრე, სწორედ ის, ფილარმონიის ნინ რომ არის. მესუმრებოდნენ კიდევ, — შორს წასვლა არ დაგჭირდა, სკოლიდან პირდაპირ სამსახურში გადახვედიო. შემოვიდა თუ არა ჩემს ცხოვრებაში მუსიკა, იმ დღიდან ყველაფერი დეტალურად მასხვავს: პირველი აკორდონი, პირველი მუსიკის მასწავლებელი, პირველი სიმღერა. რა დამაინტერესებს, როგორ დავმალეთ მე და ჩემმა კლასებმა გურამ ქელიძემ პეი პიას ელემენტი, რომელიც ელექტროგიტარას აუსტიკურს ხდიდა და ფიზიკის მასწავლებელს უუთხარიო, — ეს ელემენტი ჩვენ გამოვიგონეთო. გაიხარა და გაკვირვებულად გაგვთავისუფლა — თქვენ ფიზიკის სწავლა არ გჭირდებათ, ისეც ნიჭიერები ხართო. ასეა, თბილისში ყოველთვის უცნაური რაღაცები ხდებოდა.

— თქვენთვის ძვირფას ადამიანებს ხომ არ გაიხსენებთ?

— გოგი ცაბაძეს სულ ავიწყებოდა ჩემი გვარი. სულ მეკითხებოდა ხოლმე — რა გვარი ხარ შენ, კახალი? კახალი არა, პიდროლეტროსადგური-მეთქი, — ვპასუხობდი სიცილით... ასე შემერჩა ეს სახელი. კახა ცაბაძე დღესაც „კახალა“ მუშაობს...

მოსკოვში უმალეს სასწავლებელში ვაბარებდი გამოცდებს. იმ სასტუმროში, სადაც მე ვცხოვრობდი, ფილმის „ადამი და პეას“ გადამღები ჯგუფი ფილმის დასრულებას აღნიშნავდა. მაშინ გამაცნო რამაზ გიორგიანი და ეროსი მანჯგალაძე. იმ დღეს გეტყობი ფული მქონდა — გიტარა მინდოდა მეტი და ჩვენი ანსამბლისთვის. ვიძრე ჯგუფი სურფასთან იღებდა, გავიპარე და დანახარჯი გადავიხადე. ქეფი დასრულდა. ნამოიშაღწენ ბუმბერაზი მასობრივად: ეროსი მანჯგალაძე, გოგი გვეჯგორი, კარლო საკანდელიძე, რამაზ გიორგიანი, „მოსფილმის“ წარმომადგენლები. თურმე, ეროსი მანჯგალაძეს უნდოდა ფული გადაეხადა. რომ უთხრეს, გადახდილია, შეცბა. იკითხა, ვინ გადაიხადაო. ყველა დუმდა. დაიწყო „დამნაშავე“ ძიება. რას მიაგნებდა? ბოლოს, მე მომიხდა და თბილად მითხრა: — ამხელა ფულს შენ ვერ გადაიხდიდი, მაგრამ თუ მაინც გადაიხადე, მითხარიო. თავი ჩავლუნე. გულში. ხელში რომ ვეჭირა, ის ფული მუსიკოსებს მისცა. ჩაქრეს შუქი, ანთეს სანთლები. ეროსიმ ორი რომამანი იმღერა. მსგავსი სიმღერა არც მანამ მომისმენია და არც შემდეგ! და კიდევ... ძალიან ვამაყობ, რომ ფინია, რომელიც ეროსის ძალიან უყვარდა, ჩემი ნაჩუქარი იყო!

— როდის აჩუქეთ?

— სწორედ მაშინ, მოსკოვში. ძალი ბაბუაქემმა მომიყვანა, პატარა, შავი... „ტანგო“ დავარქვით. ეროსიმ რომ ნახა, ძალიან მოეწონა და ეაქუქა. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ უარობდა, არა, ბატონოო... მერე ბაბუაქემსაც სთხოვა, — რაკი მოგწონდა, უნდა ნაიყვანოო. ბავშვივით გახალისდა, ძალიან ბედნიერი იყო.

ერთ ამბავსაც გავიხსენებ: მაშინ საბურთალოზე ვცხოვრობდით. მამა პროკურატურაში მუშაობდა. გურამ სალარაძემ დამირეკა: — მე,

ეროსი მანჯგალაძეს და რამაზ ჩხიკვაძეს მამაშენის ნახვა გვინდა, იქნებ სამსახურში მიგვიყვანოო. მამას რომ ვუთხარი, რას ამბობ, რა სამსახურში, ხვალ 6 საათზე შინ დაიბარე, დანარჩენი მე ვიციო. ეროსი ვერ მოვიდა, ავად იყო. გურამი და რამაზი გვეწვივნენ. თურმე თეატრში კოსტიუმები დაკარგულა და ამის გამო გარდერობის თანამშრომელს დაჭერას უპირებდნენ. მსახიობებს უნდოდათ მფარველობა გაენიშათ მისთვის. მამამ ყველაფრის მოგვარება ალუქ-

ალსავსე. სამწუხაროდ, ყველაფერი წარსულს ჩააბარდა...

ქიანელზე უკვე „ცნობილი“ მუსიკოსი ვიყავი. მეზობელმა — პაულე ჯიბუტმა დამირეკა, — პლენარული ბიჭები მოვიდნენ, გიტარას ყიდინ, ნახე, ეგება მოგწონოსო. ის იყო, შინიდან გავედი და სერგო დავლიანიმე შევნიშნე. ახალი დანყებულნი ჰქონდა მილიციაში მუშაობა, ნელზე მაკაროვი ეკიდა, სპორტის ოსტატი იყო კრივენი... ლამაზად მოდიოდა, ამაყავ. შევეყვით

ეროსიმ დაიწყო „დამნაშავეს“ ძებნა და მომადგა მე...

ვა და ლხინი დაიწყო. მაშინ ვიდეოპარატურა ახალი ხილი იყო. მე ავტომანქანა გადავცვალე ვიდეოში, რომელსაც აუდიოფილიები ჰქონდა და შეგეჭლო გაგვემოვანებინა. ბატონმა რამაზმა ხუმრობით გაახმოვანა კომუნისტური საინფორმაციო გადაცემის ერთნუთიანი მონაკვეთი. საოცრება იყო. რამაზმა მთხოვა: — ნაშაღე, თორემ ყველას დაგიჭერენო. როგორ ვნანობ, რომ დაუკუქრე...

„ისეთი სიგლაკა გამოგვივიდა, პიერ რიპარი გამოგნდა...“

— თბილისში დაბრუნებულს უნდა რა მოგხდებოდა თვლით?

— გეშინს სინათლის ფული გადაუხადე ოჯახს. საღაროს რიგში მსოფლიოს სუთგზის ჩემპიონი ნონა გაფრინდაშვილიც იდგა. როგორ შეიძლება ასეთ სპორტსმენს შუქის ფული გადაუხადე? გულგრილობა უკვე არ გვიკვირს. მახსოვს, პირველად გოგი დოლიძის სიმღერა რომ მოვისმინე, გავოგნდი. ეს იყო ალასაშვილი. ის და მისი მეგობარი სტუდენტები კოცონთან იკრიბებოდნენ და მღეროდნენ. მე და თემურ ნიკლაური შევესწარი. ჩვენ სცენაზე ვართ და ამათ კოცონთან რა უნდათ-მეთქი, — ვიყვირე. გოგი დოლიძემ ყველა ხალხური სიმღერის სამივე ხმა იცოდა. ასეთ ადამიანს სულ სხვაგვარი მოვლა უნდოდა! რომ გარდაიცვალა, მერე თქვეს — დედა, რა დავარგეთო... ასე იყო პამულტ გონაშვილიც. და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი... როცა ამბზე ვფიქრობ, ყოველთვის გული მტკივა. ვდარდობ იმაზე, რომ ბევრი კარგი თვისება დაკარგეს თბილისელებმა, ბევრი რამ ისე შეიცვალა, ცნობა გაგიჭირდება.

— რას გულისხმობთ?

— ხალხს... მათ თვისებებს. ოცი წელიწადი მაინც ვცხოვრობდი ქიანელის ქუჩაზე, ბერიას სახლში. მეზობლები ძველი გენერლები მყავდა. ჩვენთან ახლოს ცხოვრობდა რობერტ სტურუას ოჯახი. ბაღი ჰქონდათ სახლის წინ. ყველანაირი მწვანელი მოჰყავდათ... მთელი ქუჩა იმითი სარგებლობდა. ისეთი ხალხი დადიოდა ქიანელზე, მხოლოდ უნდა გვეყრებინა. სიარულიც კი გამსვავებელი ჰქონდათ, ღირსებით

საუბარს. პლენარელებმა — დაუქრე, გელოდებითო. ეს სერგომ იწყინა. ატყდა ჩხუბი. ზუსტად ალექსი ინაურის ფანჯრების წინ ვიდევითი. პლენარელები მოკრივე აღმოჩნდა. ვიძრე ორი ჩხუბობდა, არც ერთ ჩვენგანს თითი არ გაგვიმრეკია. არც სერგოს უფიქრია, იარაღი ეხმარა. ამასობაში ინაურიც გამოჩნდა მინქანით — ცუდი ხომ არაფერია, ბიჭებოო, — გვკითხა. იმ დღეს ამით დამთავრდა ჩხუბი. მერე დღეს ისევ შეგვდებით, ოღონდ სხვაგან. ბოლოს, შერევიდით. ისე ჩაიარა ყველაფერმა, ერთი უწმინდური სიტყვა არ თქმულა.

— თქვენზე ამბობენ, პიერ რიპარს დაბადების დღე გადაუხადიაო. მართალია?

— მაშინ ფილარმონიის დირექტორის მოადგილე ვიყავი. ჩემმა მეგობარმა მსახიობმა მითხრა: — ნანა ჯორჯაძე იღებს ფილმს „კულინარის 1001 რეცეპტი“ და პიერ რიპარი ჰყავს მოწვეული. შევეწვევე: — ძალიან მიყვარს ეგ მსახიობი და მისი ჩამოსვლა არ გამომაპრომეთქი. კარგო. ეს იყო 1995 წელი. მიმე დრო იყო. უცებ არ მომაკითხეს და არ მითხრეს, პიერი თბილისშია, მანებ ნ წლის ხდება და

პურმარილი შენ იკისრე?! რა პურმარილი, რის პურმარილი, ჯიბუტი გროში არ მდლო. იმ საღამოს ქორწილში მოვხვდი. ჩემმა მეგობარმა, გურამ მამულაშვილმა უგუნებობა შემატყო — რა გჭირსო. შევივლე ჩემი გასაჭირი. მერე რა გადარდებს, ფუნტიკლორის გზაზე რომ რესტორანია, იქ გადავხადეთ 25-კაციანი დაბადების დღეო. გავიხარე. მერე დღეს ვამოტტ სუსამვილმა დამირეკა, — ვერ სპორტის სასახლეში მოიყვანეთ პიერი, კალათბურთის ბურთი უნდა ვაჭუქოო. მივიყვანეთ. საჩუქარი რომ მიიღო, შუა მოედინდა გააქანა ბურთი და კალათში არ ჩააგდო?! იქიდან რესტორანში წავედი. პიერ რიპარმა — თქვენბური ღვინო მოიტანეთო. მივართეთ მარნის ტანინიანი რქანიითელი. ძალიან მოეწონა. სიმღერა დაიწყო. გვერდით „სკერცოს“ ბიჭები ისხდნენ. ისეთი სიმღერა გამოგვივიდა, პიერ რიპარი გაოგნდა... მერე ფრანგულ მოტივზე ვიმღერეთ. სტუმარი სულ გადაიარა და ირაკლი კვიციანი მიმართა: — თუ ამ ხალხს ფილმის სცენარში არ ჩასვამ, აღარ ვითამაშებო. ირაკლიმ თავი ხელი შემოიღო. ორი ღამე მუშაობდა სცენარზე. რალაც-ნაირად ჩასვა „სკერცოს“ ბიჭები...

— მოსკოვში რას აკეთებთ და როგორ გხვდებით მცურებელს?

— ძალიან კარგად გხვდებიან. ქართული მომღერლების კონცერტები აწმლავთ მიდის. „ჩიკვათა ქორილი“ 121-ჯერ წარმოგადგინეთ(!). რუსეთის ტელევიზიით თითქმის ყოველდღე უჩვენებენ ქართულ ფილმს, ქართველ მომღერლებს — ჩვენთან მეგობრობა უნდათ. ნუ ვიტყვი, რატომ ნაივდენ აქედან მომღერლებიო. დიდი სიამოვნებით დავბრუნდებოდი თბილისში, ჩამოვყალიბებდი ახალგაზრდულ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ანსამბლს, მაგრამ რად გინდა... ადრე ყოველთვის ქართული ესტრადა იყო ორიენტირი. სამწუხაროდ, დღეს არავის აინტერესებს, ხვალ რა იქნება. ურჩევნია, მდარე მუსიკით მიიღონ შემოსავალი. მოსკოვში მე და ზურა კობეშვიტს რუსეთში გინზბურგის მსატრულ ფილმში გვიღებს. „არგონავტებს“ დგამს. დავამთავრე მუშაობა გინზბურგის ფილმზე „ანა“, მთავარი გმირის მუსიკის მასწავლებელს — ქართველს ვთამაშობ. ბოლოს, „მრავალგამიერსაც“ ვმღერით... გინზბურგს ძალიან უყვარს თბილისი. ქართულად რომ ვმღერით, ცრემლი ჩამოსდის ხოლმე... ტატო გოდერძიშვილთან ერთად ვღერო რესტორან „ბერიკონშიც“...

— და მოუხდებოდა იმისა, რომ იქ კარგად ხართ, მაინც გული გტკივთ, თბილისელებთან გინდათ ყოფნა...

— მინდა, ძალიან მინდა... თბილისელებს მინდა ვუთხრა, რომ მე ცოცხალი ვარ... სულ სამი დღით ჩამოვედი და გმადლობთ, რომ გამიხსენეთ. ბევრს ენატრება „ოვერია“, ჩვენი ანსამბლისნაირი დღეს ძალიან სჭირდება საქართველოს.

ლელა ჯივაშვილი

უმაღლესი ხარისხის ნაღლეულისგან დაგზავნილი ქართული ნარბოების

ხელსაწმენდები

EKO

სუპერ Super

100%-იანი ცელულოზა

100%-იანი ცელულოზა

გაალაგაზით თქვენი სუფრა

შპს „ლაგ“-ის პროდუქცია

საუსიალური წინადადება

განსაკუთრებული ფასები

50%-იანი ფასდაკლება

ქართული ნარბოების პროდუქციის რეკლამირებისას

„კვირის პალიტრა“ მიესალმებოდა ყველა ქართველ მენარმეს და უხსურვეებს წარმატებებს!

ქართული ნარბი დღოვით უნდა სარგებლობდეს

თქვენთვის, ქალბატონებო!

ირინა მარტოხელა დედაა, ჰყავს 6 წლის გოგონა, რომელიც საკმაოდ გვიან, 37 წლის ასაკში გააჩინა. ანის დაბადების მერე ირინამ თავიდან ირწმუნა სიკეთეც, მეგობრობაც და სიყვარულიც. მანამდე კი ბევრი რამ გადაიტანა, რასაც თავად გვიამბობს:

— დასავლეთ საქართველოს ერთ ქალაქში ვცხოვრობდი. ორი ძმა და ერთი და მყავდა. ნაბოლარა ვიყავი. სკოლის დამთავრების შემდეგ უმაღლეს სასწავლებელში ვერ ჩავირიცხე და სტაჟისთვის მამამ თავის მეგობართან, წარმოებაში დამაწყებინა მუშაობა. იქ კომპიუტერის მდივანად ერთი ყმანვილი მუშაობდა. შეგვიყვარდა ერთმანეთი. შრომობდნენ ეს რომ გაიგეს, დამტოვეს. მამამ მიბრძანა, — არ დაგინახო ზურასთან გავლილი. მიზეზის კითხვა ვეღარ გავბედავ, არადა, აშკარად რალაცას მიმალავდა. ზურას ვუამბე და ზურაობა სცადა: ეტყობა, „კომსოლოლ“ სიძე არ უნდა, უფროსად დაუტოვე კომპიუტერის „საბატიო“ რიგებს შენ გამოო.

ერთხელ მამამ კადემი გვანახა. არაფერი უთქვამს, მაგრამ იმ საღამოს მერე შინიდან აღარ გამოიშვა. კინალამ გული დამელია დარდით... ბოლოს, ზურამ მეგობრის პირით შემომითვალა, — ხვალ დღით პარკის შესასვლელთან გელოდებიო. მოვასხერხე შინიდან გასვლა და გავიპარეთ.

ვინ არ გათხოვილა, ვის არ გადაუდგამს სიყვარულის გამო მშობლების სანინააღმდეგო ნაბიჯი, მაგრამ ასეთი ორომტრიალი არ ატეხილა. მეორე დღით, დღემდე არ ვიცი, როგორ მოგვაკვლიეს, თავს დამადგა მამაჩემი, გარეთ ერთ-ერთი ძმა და ბიძა იცდიდნენ. ასეთი გაცოდებული არასოდეს მინახავს მამა, არც არაფერი მკითხა, ზურას ზედაც არ შეხედა, მომიკიდა ხელი და წამომიყვანა. შინ მისულს, ტირილით დაოსებულს მკაცრად მითხრა: ირინოლა, გთხოვ, დაივიწყე ზურა. რასან ასეთ ნინააღმდეგობას გინუე, ალბათ მაქვს ამის მიზეზი და გუჯერობით ნურაფერს მკითხავო. ის ერთი თვე, რაც შინ ვიჯექი, ზურა არ დამაკავშირებია, სამსახურში რომ დავბრუნდი, ზურა აღარ დამიხვდა. მამის მეგობარს გაუთავისუფლებია მდივნიდან. როგორც იქნა, ხმა მივანვდინე ზურას. მალევე შევხვდით ერთმანეთს. მითხრა: არც ჩემი მშობლები არიან ჩვენი შეუღლებით აღდგომილებული, საყვედურებით ამავესო დედამ, — რატომ არაფერი მკითხეო. რა ხდება, ვერ გამიგია, მაგრამ რალაც რომ იმალება მათ ნინააღმდეგობაში, აშკარააო. მე როგორღა ვიყავი და ზურას გავაგებინე ეს ამბავი. სინარულით ლამის გაგიჟდა — ფული მაქვს მოგროვილი, ერთ იმდენს კიდევ ვიშოვო და მოსკოვში გავიპაროთ, იქ ხომ ვეღარ მოგვაგებენ. თუ ჩვენები ქვავაზე არ მოვლენ, აქეთ აღარ ვიბრუნებთ პირიო. ერთი

მე გაინს ბედნიერი ვარ



კვირის შემდეგ ზურამ შემომითვალა — მატარებლის ბილეთები უკვე ავიღეო. ჩვენი გაპარვის შესახებ მხოლოდ ერთ უახლოეს მეგობარს, თამარიკოს, გავუწიე. რომ გვეგონა, სამშვიდობოს ვიყავით გასულში, სწორედ მაშინ დაგვეცა მუხი. როსტოვში მამაჩემი და ბიძაჩემი ამოვიდნენ. კინალამ თვალთ დამიბნელდა. მამამ ზურას სილა გაანა — არ გაბედაო ჩემს შვილზე ფიქრის კო, მე კი, ნინ გაიბედავ და წამომიყვანეს. მივხვდი, მეგობრის გაყიდული ვიყავი... რასან ასეთ დღეში მაგდებო, მაშინ არავის ცოლი არ გაგხდებო და ზურასაგან ბავშვს ველოდები, გავაჩენ-მეთქი. ბავშვიო... სულ გადაირია მამაჩემი. შემომინგრილა კარი და ექიმთან ძალით წაყვანა სცადა, მაგრამ მივახსალე, — იცოდე, თავს სთავიკლავ-მეთქი და ცივად გამიშვა ხელი.

მეორე დღეს თამარიკო მოვიდა — ისეთი რამ უნდა გიამბო, მერე აღარ გამამტყუნებო. თურმე მეორედ რომ გავიპარეთ, მამაჩემს მთელი ქვეყანა შეუძრავს და თამარიკოსაც მისდგომია კარს. იგი კარგა ხანს უარობდა, თურმე, — არაფერი ვიციო... ბოლოს მამაჩემს უთქვამს: ერთ საიდუმლოს გეტყვი და მერე აღარ გამიკვსავო. მე და ზურას დედას ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, ერთად ვიყავით კარგა ხანს, შეუღლებასაც ვაპირებდით, მაგრამ ბედმა ეს არ ინდომა და დაგვიორდით. ის მალევე გათხოვდა და ზურა გააჩინა. ზურა ჩემი შვილი უნდა იყოს, თუმცა დედამისი უარობსო... თამარიკო საგონებელში ჩავარდნილა, უფიქრია, ცოდავში ფეხი არ ჩავდგაო და უთქვამს, მოსკოვის მატარებელს გავყენეო. კინალამ გავგიჟდი... ბოლოს, ჩემი ფეხი ნაწივი აბორტის გასაუფლებლად, იმ დღიდან ზურა აღარ გამიჩენილა. თამარიკომ მითხრა, მანაც გაიგო სიმართლეო.

წელ-წელი დავმშვიდდი და დავუბრუნედი ცხოვრებას. უნივერსიტეტშიც ჩავაბარე.

ერთ ჩემს კურსელს შევუყვარდი. როცა ცოლობაც მთხოვა, არ დავუშალე ჩემი წარსული. გელა ცოტა ხანს შეფიქრინა და უსიტყვოდ გამორდა, მაგრამ ათი დღის მერე მოვიდა და მითხრა: ისე მიყვარხარ, უშენობა ვერ წარმოვიდგენია, ამიტომ ეგ ამბავი ჩვენს საიდუმლოდ დარჩესო. გავყევი ცოლად, მაგრამ ბავშვი არა და არ გვიჩნდებოდა. ვგრძობდი, ჩემი ბრალი იყო... ექვსი წლის შემდეგ გავმორდით ერთმანეთს. მე საბოლოოდ თბილისში დავსახლდი, მქონდა ოროთახიანი ბინა, ვმუშაობდი და ასე გადიოდა დღეები. ჩემს ქალაქში ხშირად ჩავდიოდი. მართალია, ტკივილს მგვრიდა წარსულის გახსენება, მაგრამ... ერთხელ, შინ ჩასულს თამარიკო მესტუმრა და გაბრწყინებული სახით მითხრა, — ზურა აქა და შენი ნახვა უნდაო. უკვე ვიცოდი, რომ იგი მოსკოვში ცხოვრობდა ცოლ-შვილთან ერთად და ოწითად ჩადიოდა მშობლიურ ქალაქში. რა აზრი აქვს-მეთქი, — მოწყენილმა მიუგო. ისეთი ამბავი გავიგე, ადგილს ვეღარ ვმოულობ, მაგრამ მიინდა, თავად გიამბო ყველაფერიო, — მითხრა თამარიკომ. მართლაც, მე და ზურა თამარიკოსთან შეხვდით ერთმანეთს. გული გამაღებო მიცემდა. ორივეს მოგვანატრებოდა ერთმანეთი, კარგა ხანს ჩუმად ვისხვდით. ბოლოს, ასეთი რამ მითხრა: დედაჩემს და მამაჩემს მართლა ჰყვარებიათ ერთმანეთი, მაგრამ მერე, ფულიანი კაცის შვილზე (მამაჩემზე) ძალით გაუთხოვებით. მე ნამდვილად მამაჩემის (და არა მამაშენის) შვილი ვარ. დედაჩემი მიამბობდა, რომ თეგოს (მამაშენს) კარგა ხანს გიყვით ჰქონდა ამოქმეებული, რომ ზურა ჩემი შვილიაო, მერე

მაიძულა, დნმ-ის ანალიზი გამეუბებინა. მას მერე დარწმუნდა და აღარ შეეუბნებია, მაგრამ თქვენი სიყვარულის ამბავი რომ გაიგო, ისევე ის აზრი აიკვირებო. ეტყობა, რაც გულით ერთ დროს უნდოდა, ის ელანდებოდაო. ამის მერე, ზურამ მეც მამაჩემს სისხლის ანალიზის ცნობა...

ერთიანად მოვეშვი, მომეხსნა ის საშინელი დაძაბულობა, რაც ამ წლებში მანძილზე თან მდევდა. მითხრა, რომ კვლავ ძველებურად ვუყვარდი, მხოლოდ ეგაა, რომ ცოლობა აღარ უთხოვია. მას ხომ ცოლ-შვილი ჰყავდა! ჩვენ ერთად გავატარეთ ათი დღე და დავთქვით, ყოველ შობას, აღდგომას და აგვისტოს ბოლო შაბათს, რაც არ უნდა მომხდარიყო, ყოველთვის შეხვედროდით ერთმანეთს. მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა და ეს პირობა არასოდეს დაგვირღვევია. ჩვენ ისევე დიდი გატაცებით გვიყვარს ერთმანეთი. ანი ზურასაგან მყავს. ჩემთვის სხვა მამაკაცი არ არსებობს... მასთან დამორების შემდეგ კარგა ხანს მჯეროდა, რომ ამაღლებული გრძობები არ არსებობდა ამქვეყნად. ყველას ეჭვით შევუბრუნებდი. მეორე ქმართან გატარებული დრო ცხოვრებისაგან (და მოვალეობისაგან) თავს მოხვეული წლები იყო. ვერ ვიტყვი, რომ არანაირი გრძობა არ მქონდა მის მიმართ, თავისებურად მიყვარდა კიდევ, მან ხომ ჩემი წარსულის გამო უკან არ დაიხია და მაინც შემირთო ცოლად... მაგრამ თურმე ამაღლებული გრძობებიც არსებობს, — ზურასადმი გრძობა სულ სხვა იყო, ძლიერი და შეუდარებელი... თავი უკვე უშვილო მეგონა. ზურას რომ შეხვდით, სასწაულიც მოხდა და ბავშვიც გამიჩნდა. ჩვენ ჯვარი დავინერეთ და ანიც მამის გვარზეა. ჩემიანებს არ გახარებიათ, რომ გაიგეს მისგან ბავშვს ვაჩნდი, მაგრამ უნივერსიტეტი ნინააღმდეგობა ვეღარ გამიბედავს.

ვისაც რა უნდა, ის თქვას. მიუხედავად ბევრი ტკივილისა, მაინც ბედნიერად ვგრძობთ თავს. მყავს ლამაზი და საყვარელი გოგონა, რომელიც ძალიან უყვარს თავის დედიკოს და მამიკოს.

მარინა ბაბუნაშვილი

პირფუალური „ეროსი“

ზოგჯერ შეიძლება მატანკლობა იოლად და საიდუმლოდ გასწიოთ. თუ, რასაკვირველია, პერსონალური კომპიუტერი გაქვთ და მისი მომხმარებელს კარგად იცით, მშვენიერად დაეხმარებით გასათხოვრებს და საცოლე ყმანვილებს, თვით ყველაზე მორცხვ ბერბიჭებსა და შინაბეჭდულ შეგიძლიათ შეაბათ ეყვანი. არ გვერათ? მაშინ ერთი ჩემი ახლობლის გამოცდილებას გაგიზიარებთ და თვალის დახამამებში უკან ჩამოიტოვებთ ყველაზე ნაქვებ მატანკლებსა და სამაქანკლო ბიუროებსაც კი, თანაც გვარიანად გვერთობით.

ჩემი ნათესავი ნიკა 21 წლისაა, თუმცა, უკვე სამი შვილის მამაა. რა თქმა უნდა, აკვირდნენ ფეხის გადმოდგმისთანავე, არ დაქორწინებულა. 18 წლისამ შერთო ცოლი და მშვენიერმა ელენემ ზუსტად 9 თვის თავზე ტყუპი აჩუქა — სამი! ახალგაზრდა მამა, თავისი გონიერების წყალობით, ოჯახს შესანიშნავად არჩენს. ერთი შეხედვით ბევრს არაფერს აკეთებს, თითქმის მთელი დღე კომპიუტერს უზის და, როგორც ბებიამისი ამბობს, კომპიუტერში ჩხიკინით გვარიან ფულს აკეთებს. ბოლოს, ნიკუს მისწინდა სულ შრომა და შრომა და გართობა გადამწყობა, თუმცა, ესეც საქმედ ექცა. თავიდან კი ყველაფერი ასე დანებებულა: ნიკუსამ 42 წლის გაუთხოვარი მამიდის ახირება დააფიქსირა. ქალბატონი ნინო ყოველ დღით ეცნობოდა იადფასიან ასტროლოგიურ პროგნოზებს და მერე მთელი დღე ვილაც ასტროლოგების ჭკუით დადიოდა. ერთხელ ნიკუსამ გადამწყობა, მამიდისთვის საკუთარი ინტერნეტ-პორტალი მიუჩვენა, რათა მისი „მართვა“ შესძლებოდა. ქალბატონი ნინო იოლად ნამოგეო მისიშვილის ანკესზე — პერსონალურმა პორტალმა ქალი სრულიად გამოცვალა. მერე ნიკუსამ მისი გათხოვებაც მოინდომა და გაათხოვა კიდევ. მანამდე სახიძო თავად შეაჩნა — ისიც პერსონალურ პორტალზე „ნამოგეო“, მერე „ჩეთის“ საშუალებით, ვითომ შემთხვევით, ერთმანეთს დააკავშირა და მათ პაემნებს და სასიყვარულო მიწერ-მოწერას ინტერნეტით ისე ადევნებდა თვალს, რომ სანეფო-სამაგროძლო აზრზე ვერ მოდიოდა. „დღეს საყვარელ პირიუბებს შეხვდებით, ურიგო არ იქნება, თუ რესტორანში წახვალთ ან ფინჯან ყავას ერთად დალევთ. ეს

დღე დაუფიქარი იქნება თქვენს ცხოვრებაში“, — უნერდა ნიკუსა მამიდის პორტალში. მომავალ ბიძას კი უმეხიყებდა: „დღეს თქვენი რჩეული სადმე დაატყუეთ, აჩუქეთ იების კონა და ა.შ.“. მოკლედ, ნიკუსა ჩარბავდა მომავალი ოჯახის ბედს. ერთ დღესაც მამიდის დაუწერა, „დღეს გულის სწორი ხელს გთხოვთ. უარი არ თქვათ, ბედი კარს მოგდგომიათ“. ალბათ გასაგებია, რას დაუწერდა ნიკუსა გურამს. ერთი სიტყვით, საქმე გამოვიდა და საქართველოში კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეიქმნა.

ნიკუსამ მერე ვირტუალური სამაქანკ-



ჩვენ გვწყაენ ამ ამბის მერე ვერ მოვისკენა...

ნინა ნომერში დაბეჭდილობა წერილმა, „ბიჭის დედა გამიგებს“, ერთ-ერთი ჩვენი მკითხველი ისე ააფორიაქა, რომ რედაქციაში გვეწვია.

— თქვენს წერილში იმდენად ნაცნობი დეტალები ამოვიკითხე, რომ თავს უფლება ვერ მივცევი, შინ ვმჯდარიყავი. ჩემს დისშვილსაც მსგავსი რამ სჭირდა, მასაც ძალიან ცუდი ხალხი შეხვდა, განსაკუთრებით სიდედრმა მოუნამლა ცხოვრება. ერთი შეხედვით, ჩველებრივი სიდედრისეული პრეტენზიები მალე დიდ ტრაგედიად იქცა.

— მაინც რა მოხდა ასეთი? — სიდედრმა მთელი ხუთი წელი ნერვები დაანეყიჭა სიძეს, ბოლოს, „ჭკუაზე“ რომ ვერ მოიყვანა, წაიყვანა თავისი ქალიშვილი და შვილიშვილი. გაგიჟდნენ ჩემი და, სიძე და დისშვილი — ბავშვებ ამოსდობიდათ მზე და მთვარე. საოცარი ის იყო, რომ არ აჩვენებდნენ, არც ტელეფონზე აღაპარაკებდნენ. ბაჩუკი (ჩემი დისშვილი) ერთ მშვენიერ დღეს ნასვამი მივიდა მასთან და ბავშვის ნახვა ითხოვა. კარი ცხვირწინ რომ მიუხურეს,

თვალთ დაუბნელდა, ძალით შეამტვრია და შევიდა. ატყდა ერთი ორომტრიალი, სიმამრიც შინ იყო და სიდედრიც. ცოლი სტუმრად ყოფილა მეგობართან. ბაჩუკის სიმამრმა დანა მოუღერა თურმე — გათრიე, თორემ მოგკლავო. ძიგლილობაში სიდედრისთვის ხელი უკრავს, ნაქცულა, მაგიდის კიდისთვის დაურტყამს საფუძელი და მამინეკ მომკვდარა. გამოუძახებიათ მეზობლებს პოლიცია. ბაჩუკი დააპატიმრეს. ამ დარდს ვერ გაუძლო ჩემმა დამ და გული გაუსკდა. აი, რა ტრაგედია დატრიალდა უაზრო და გაუთავებელი პრეტენზიების გამო. ის ოჯახიც გაუბედურდა და ჩვენიც ეს ამბავი 12 წლის წინ მოხდა, მას შემდეგ აღარც გამოხარია. ბაჩუკი გამოვიდა ციხიდან, მაგრამ რა? აღარც დედა ჰყავდა და აღარც ცოლმა ისურვა დედის უნებურ მკვლელთან შერიგება. ასე რომ, გოგონების დეაფებს დიდი სიფრთხილე მართებთ. ქალბატონი თამარი სწორად იქცევა, შვილს რომ სიმშვიდისკენ მოუწოდებს. სიკვდილის გარდა ყველაფერს ეშვება. მოვა დრო და გიორგის თავისი შვილი მაინც დაუბრუნდება.

გვა ლომიძე



წინა სკანვორდის პასუხები: 1. აბორიგენი; 2. ფორისოდე; 3. შიფონერი; 4. ფილატელი; 5. ანაკონდა; 6. რევი; 7. ჯინი; 8. კანა; 9. ქორალი; 10. ალიკაპი; 11. კარგო; 12. მისია; 13. მალი; 14. შიკი; 15. კოლორიტი; 16. სტენალი; 17. ტენო; 18. ეტი; 19. კაიზერი; 20. ჩიპი; 21. სოხაქ; 22. სირმა; 23. ტორანა; 24. ონაგრი; 25. ფეს; 26. ჭიგო; 27. ტოკაი; 28. კამა; 29. გია; 30. ბრა; 31. ტიარა; 32. ზოდი; 33. მადერა; 34. ალტი; 35. არარატი; 36. ნარი; 37. ჯირითი; 38. კოკა; 39. ბაია; 40. მონე; 41. ტინი; 42. ბალსტი; 43. კრაი; 44. გო; 45. ლატი; 46. ანგარი; 47. ალუბო; 48. ტრასა; 49. კოლა; 50. ლოკალი; 51. ოფესა; 52. ნიგერია; 53. რანდევე; 54. კივი; 55. ლატარია; 56. ბუნრავე; 57. თამადა; 58. ქანალი; 59. პაი; 60. ათეიზმი; 61. საბადო; 62. ნიში; 63. ჩილე; 64. ბალისტი; 65. ვადა; 66. ციხე; 67. რეალი; 68. კირხე; 69. ვილა; 70. ზვარი; 71. ბულიონი; 72. მალტა; 73. იდო.

1. ბუში, 2. შროდერი; 3. სააკაშვილი; 4. ბუტინი; 5. ჩაქვი.

პასუხები მოცემულია სკანვორდში მითითებული ნუმერაციის მიხედვით, ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები

ორშაბათი

22 თებერვალი

07.30 აღიზინი 09.40 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები...“

19.00 საბ. სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

08.00 ტელეფილმები 10.00 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

18.00 შ. ფილმი „სამხარობი“

13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

11.00 ვარსკვლავები გაემგობნენ

09.00 მუსიკა 09.20 სათავგადასავლო ფილმი „კარგად“

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20 Джун Харнетт в боевике „ПАДЕНИЕ ЧЕРНОГО ЯСТРЕБА“

სამშაბათი

23 თებერვალი

07.30 აღიზინი 09.30 აკორეობა - ტრანსლაცია სამების ტანდრადი

19.00 საბ. სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.30 დღის შვიდობის „გადადგენილი სასაუბროები“

07.00 ქრონიკა 07.40 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

ორშაბათი

24 თებერვალი

07.30 აღიზინი 09.40 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

19.00 საბ. სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.30 დღის შვიდობის 08.00 ტელეფილმები

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

სამშაბათი

25 თებერვალი

07.30 აღიზინი 09.40 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

19.00 საბ. სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.30 დღის შვიდობის 08.00 ტელეფილმები

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

პარასამშაბათი

26 თებერვალი

07.30 აღიზინი 09.40 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

19.00 საბ. სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.30 დღის შვიდობის 08.00 ტელეფილმები

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

შაბათი

27 თებერვალი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30

19.00 დღის შვიდობის

08.00 ტელეფილმები 10.00 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

კვირა

28 თებერვალი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.45

19.00 დღის შვიდობის

08.00 ტელეფილმები 10.00 სერიალი „გადადგენილი სასაუბროები“

07.00 სერიალი „საიდუმლოები“

08.30 მუსიკა მზეზე 09.00 ტელეფილმი „მომად“

8.00 შ. ფილმი „მომად“

08.00 ტორალა 13.00 ინფორმაციური - დღის შუი ბიზნისის მოკლე მიმოხილვა

09.20, 13.50 ფილმები 10.05, 14.45, 13.40, 15.45 მზე და კომბინატი

09.00, 23.30 საინფორმაციო პროგრამა

06.00 „Доброе утро“ 09.00, 12.00, 15.00, 18.00. Новости. 09.20, 21.30 Сериал „ДЕТИ АРБАТА“

ინფორმაცია მოგვანოდა შპს „ინფოპროგრამა“

ჩვენი უკანა ფილა

საფრანგეთის პრეზიდენტი ახალი, უფრო სამართლიანი მსოფლიო წესრიგის დამყარებას ითხოვს...

ალბერტო გონსალესი უფრო გაასიღვებოდას ინფორმაციას

ჯონ უმპროფტის გენერალურ პროკურორად ყოფნისას ამერიკის პრესას ძალიან უჭირდა აშშ-ის ადმინისტრაციიდან ინფორმაციის მიღება...



ფილების გამგე სტივენ ავტერპუდი დარწმუნებულია, რომ ალბერტო გონსალესი კიდევ უფრო გაამკაცრებს გასაიდუმლოების პოლიტიკას...

ტრუდ-7

კონდი - აღმნიანი და სუპერბანკერი

ნაკლებცნობილი ფაქტები აშშ-ის ახალი სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ბიოგრაფიიდან

- 1. „კონდოლიზა რაისი“ მართლა პეკია ტანკერს?
2. მართლა მკაცრი ადამიანია?
3. მართლა მოდურად უყვარს ჩაცმა?



პოლანდიაში არ ცხრება 2 ნოემბერს, რევი-სორ თეო ვან გოგის მკვლელობის შემდეგ დაწყებული ეთნოკონფლიქტები

პოლანდიაში არ ცხრება 2 ნოემბერს, რევი-სორ თეო ვან გოგის მკვლელობის შემდეგ დაწყებული ეთნოკონფლიქტები...

„ბირთვული ჯაჭუვი“ ისევ დააპატიმრეს

რამდენიმე თვის წინ, 18-წლიანი პატიმრობის შემდეგ, გაათავისუფლეს ისრაელელი ფიზიკოსი მორდეხაი ვანუნუ...

ახლან მორდუხაი ვანუნუ ისევ დააპატიმრეს.

ელცინმა ცნა. ამერიკაში პირველად ჩასული ელცინი თეთრ სახლში არაოფიციალური სტუმრის სტატუსით გამოჩნდა...

4. მისი პირადი ცხოვრების შესახებ მართლა არაფერია ცნობილი?
- ინტერვიუს იშვიათად იძლევა...

კომპილიტაცია პრედა

მუშაკაფა ქელის მოსრა აქოზინა



პაკისტანის პრეზიდენტმა მუშარაფმა, როგორც თვითონ ბრძანა, კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ქვეყნის ხელისუფლების „დემოკრატიზაციისკენ“...

ნიუ ნუიქი

მოკლედ

კუბაში აღარ დაბრუნდა „პაენა ვარიეტეს“ 43 მსახიობი, რომლებიც ლას-ვეგასში იმყოფებოდნენ...

კავბატორულმა გვიანმა დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის ვაჟი გვიანში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობაში დაადანაშაულა...

გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ

Advertisement for Sептолете D (Santolite D) featuring images of the product boxes and text in Georgian: 'უამრობივის მიკრობაზა? უაუტიით თქვენს!', 'სეპტოლეთე D', 'სეპტოლეთე', 'ანტისეპტიკი და ანტიბიოტიკი'.

ცხოვრებისეული კურიოზები

1. „დავაკატიმროთ ეს ოხერი!“



ამას წინათ ქუთაისიდან ახლობელი გვევია სტუმრად. ლაპარაკი ჩამოვარდა ქუთაისურ იუმორზე. ხან რა მოგვეყვინა და ხან რა ჩვენს ახლობელმა გვითხრა, იმისთანა ცხელ-ცხელი ამბავი უნდა მოგიყვეთ, ანეკდოტი არ გეგონოთ, ნამდვილად მოხდა ქუთაისში, მაგრამ იმ კოლმეურნეობის თავმჯდომარისა არ იყოს, გვარს არც მე დაგისახებდებო. ქუთაისის ერთ-ერთი საწარმოს ადგილობრივი დიდი „მოხელე-ნაწილი“ მიადგა შესაძლებლად, რაში იხარჯება თანხები. გადმოუღაგეს საბუთები. დაადებს თურმე ეს დიდი უფროსი საბუთზე მითითებულ თანხას ხელს და ეს რა დანახარჯიაო, — იკითხავს უპასუხებენ და ისიც აგრძელებს, ეს რაში დანიარჯაო, ეს ამდენი თანხა ვინ გამოიყენაო! ეს, ბატონო, დღემ (დამატებული ლირებულების გადასახადი. — ავტ.) წელიწადი. ასე გაგრძელებულა თურმე და ბევრჯერ შეხვდა დღეს-მიერ წაღებული თანხა აღმოვთვალე ჩინოვნიკს სრული სერიოზულობით უყვირია, ვინ არის ეს, რამდენი თანხა წაუღია ამ „დე-ლე-გეს“, დავიჭიროთო!

ძალიან დიდი სურვილი გამიჩნდა ამ უფროსის სახელი და გვარიც დამეწერა, მაგრამ ახლობელს ვერ დავაღალატებ. ისე კი, იმედი მაქვს, ამ ამბავს ქუთაისელები თუ ნაიკითხავენ, ადვილად მისვებინან თუ ვინ ჰყავდა მხედველობაში მთხრობელს.

ნუცა თოფჩიშვილი, თბილისი

2. რას ჰქვია, ცნობა არ მაქვსო!..

ზესტაფონის „ფეროში“ ერთი ზემოიმერელი მუშაობდა „მემოდელედ“ (მეტალურგიაში მემოდელეობა ყველაზე რთული და საპასუხისმგებლო პროფესიაა). იგი თავისი საქმის კარგი სპეციალისტი გახლდათ, მის მუშაობაზე იყო დამოკიდებული მთელი საამქროს წარმატება. ჰოდა, მოულოდნელად მიეღო კვირა გააცდინა ისე, რომ საამქროს ხელმძღვანელობისთვის არაფერი შეუტყობინებია. ახალგაზრდა იყო და ქვიფს გადაჰყვაროცა ნაბახუცებზე გამოცხადდა სამსახურში, საამქროს უფროსი, ოსტატი და უბნის უფროსი ცოფებს ყრიდნენ — ერთმანეთს არ აცლიდნენ ყვირილს: — სად იყავი, ერთი კვირა გაგავადინე, საამქრო გაგვიჩერე და თანაც ცნობაც არ გაქვსო (გულსხმობდნენ ბიულეტენს — საავადმყოფო ფურცელს)! აქ კი ვეღარ მოითმინა ჩვენმა მემოდელემ და საამქროს უფროსს მიიძახა: — რას ჰქვია, ცნობა არა მაქვს, შენც გიცანი, ოსტატიც და უბნის უფროსიცო!..



მიუხედავად იმისა, რომ სამივე ძალიან გაბრაზებული იყო, ამ სიტყვებზე გაეცინათ და მემოდელეს გაეცალნენ.

ვიტალი თვალაბიშვილი, თბილისი

3. საბედისწერო გიშის გოგრა, ანუ რა არ ხდება...



ორიოდე ნომრის წინ ჩვენს რუბრიკაში ანეკდოტის მსგავსი ამბავი გამოვქვეყნეთ. გვერდის ერთ-ერთი მუდმივი ავტორი გუჯა ლელაძე სახალისოდ მოგვითხრობდა არცთუ მხიარულ ისტორიას იმის შესახებ, თუ როგორ იმსჯელებდა სიძის მოყვანილობა გოგრამ ძვირფასი სიდედრი. ოღონდ ეგ იყო, კურიოზში ავტორისეული ძუკუს ნაცვლად (ეს სახელი ახლა თითქმის აღარავის ჰქვია) რეზო დავენრეთ.

ორშაბათს შემოვთვალე ავტორმა რედაქციაში დარეკა. სატელეფონო ზარს კი „ახალი ამბავი“ მოჰყვა, რომელიც დაახლოებით ასე იკითხება:

- ალო, „კვირის პალიტრა“?
- დიახ.
- თქვენ, ქალბატონო, კურიოზებს რომ აშლათინებს, აი ის, ხომ არ...
- დიახ, დიახ...
- აი, მე, გოგრა რომ თავში დეცა, იმის...

— კიდევ გამოგზავნეთ, ბატონო, კარგი კურიოზი იყო...
 — რა კიდევ, სიძის სახელია შეცვლილი...
 — არა უშავს, ძუკუ ანეკდოტურია და იმიტომ...
 — არა უშავს კი არა, კაცს ჯერ შავი არ გაუხდია და ხომ გადამასახლებს ახლა მე სიძე (რომელსაც მართლა რეზო რქმევია)!...
 P.S. მართალი უთქვამთ, რა არ ხდება ამ დალოცვილ ქვეყანაზე...

„კვირის პალიტრა“

ყურადღება!

კურიოზების კონკურსი

„კვირის პალიტრა“ შვითხველის პრემია კურიოზების გვერდისთვისაც დააანება. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ავტორებმა უნდა გამოგზავნონ რედაქციაში კურიოზები, ახალი სასაცილო ამბავები, ანეკდოტები. საუკეთესოები გამოქვეყნდება.

მიანიჭეთ პრემია საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ავტორს. თუ რომელიმე კურიოზმა ან ანეკდოტმა თქვენი მონონება დაიმსახურა (ყველაზე მეტად), აღნიშნეთ მისი ნომერი ქვითარში და გამოგვიგზავნეთ. თქვენი ხმა არ დაიკარგება და თვის ბოლოს გადამწყვეტს გამარჯვებულის ვინაობას.

ხმები დაითვლება და თვის განმავლობაში ყველაზე მეტი ხმის მფლობელი კურიოზის/ანეკდოტის ავტორი მიიღებს პრემიალურ — 50 ლარს, მომდევნო — 30-ს, ადგილზე გასული ავტორი კი — 20 ლარს.

ეს ქვითარი „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთში უნდა მოათავსოთ რაიონებში ოთხშაბათის, 24 ნოემბრის 11 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 25 ნოემბრის 13 საათამდე.

საუკეთესო კურიოზის ან ანეკდოტის ნომერი _____

თქვენი სახელი, გვარი _____

კვირის პალიტრა №47

4. ხიდე საქმეა!..



ქარელელი ბესარიონ გოგლიძე ისეთი ენამოსწრებული იყო, სადაც კი გამოჩნდებოდა, მუდამ სიცილ-ხარხარი იდგა. ერთხელაც, მისმა ახლობელმა, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა სვიჩა ნიქარიძემ თავისზე ბევრად უფროსი ქალი მოიყვანა ცოლად, რის გამოც მთელი ნათესაობა და მათ შორის ბესარიონიც ძალზე გულმოსული იყო. მიუხედავად ამისა, მამამისმა ქორნილი არა, მაგრამ პატარა სუფრა მაინც მოაწყო, სადაც ძირითადად ახლობლები და სვიჩას თანაკურსელები იყვნენ მინვეული.

ეს უკანასკნელი ეზოში რომ შემოვიდნენ, სიძე ახლობელთა არ ჩანდა და მათ ბესარიონი შეეგება ჩვეული მწარე ენით: — არ მოინწყინოთ, ბიჭებო, სვიჩა ცოლის პენსიის საბუთების შესაგროვებლად არის გასული და ნუთი ნუთზე გამოჩნდება...
 შოთა ქვლეხსაშვილი, ქარელი

5. „მოხერხებული“ ენერგეტიკოსი



„ელექტროენერჯი“-2-ის დირექტორად მუშაობის დროს ბატონ დიმიტრის წესად ჰქონდა: ყოველ ორშაბათს, საწარმოო თათბირზე „ტრუბაში“ უნდა გაეფერინა ქარხნის სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელები.

ერთხელაც, შუა დეკემბერში, ბატონი დიმიტრი თათბირს ატარებს. რიგრიგობით „გააძრო ტყავი“ ყველას: ვის წუნდებული პროდუქციისთვის, ვის კიდევ ტექნოლოგიური პროცესების დარღვევისათვის და ა.შ. როდესაც ჯერი ენერგეტიკოსებზე მიდგა, ყველა ველოდით, რომ მთავარ ენერგეტიკოსს, თენგიზ შარიჩაძესაც უტირებდა ყოფას.

— რას ჰგავს თქვენი მუშაობა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, სიცივეში წყლებიან მუშები, — დაიწყო დირექტორმა თენგიზის მისამართით საყვედურები, — საქვარის მუშაობა ისე ვერ აწყვეთ, რომ ნორმალური სითბო იყოს. ავტო მაქვს მაგდაზე თერმომეტრი და 10 გრადუსს უჩვენებს, შეიძლება ასე მუშაობა?

ყველას გასაოცრად თენგიზ შარიჩაძე თამამად წამოგდა. მიუხედავად დირექტორის მაგიდას და წინ ნახევარმეტრიანი თერმომეტრი დაუდო:

— ა, ბატონო, მაგ თერმომეტრი არასაყოფაცხოვრებო დანიშნულებისაა და ალბათ არ აჩვენებს წესიერად. აბა, ამ თერმომეტრზე ნახეთ... 20 გრადუსზე მეტია.

დირექტორმა ერთი კი შეხედა თავის თერმომეტრს და სხვაობა რომ შეამჩნია, გულმოსულად „ჩაუძახა“ ურნაში. თათბირი კი დამთავრებულად გამოაცხადა.

კაბინეტში ვინ გაბედავდა, მაგრამ გარეთ რომ გამოვედით, უნდა გენახათ, რა სიცილი ატყდა. თურმე თენგიზს თავისი „სამრეწველო“ თერმომეტრი მთელი თათბირის მსვლელობისას ილღაში ჰქონია გაჩრდილი და თანაც ისე გაუნაგარიშებია, რომ სანამ 36 გრადუსამდე ავიდოდა, მანამდე გამოემძრო პიჯაკის სახელოდან და უთანასწორო „ბრძოლაში“ გაიმარჯვა კიდევ.

დეზურ ცერცვაძე, ზესტაფონი



6. სადარბაზოს შესასვლელთან, სადაც მიხი მუცხუშვირას ყიდის, გურულმა ჩაიარა.

— გიცანი ძამა, მგონი შენ იყავი, ვარდების რევოლუციის დროს შევარდნაძეს ცხვირწინ სუთჯვრიან დროშას რომ უფრი-ალბედი და გადადექი, გადადექიო, ყვიროდი. — მე ვიყავი, მაშ სხვა ვინ იქნებოდა? — თავი მოინონა მიხომ.

— მეც, ი კაცი გიშლიდა მუცხუშვირის გაყიდვას?

გივი ბარბაქაძე, ხაშური



7. რაჭველი რაჟიკო რუსეთში იყო სამუშაოდ წასული ერთი წლით. ამასობაში მისმა ცოლმა უუფუნამაც „იყონაღა“ და თანასოფელ პავლესთან გააბა რომანი. ერთ დღესაც უუფუნამ რაჟიკოსგან დეპეშა მიიღო, — მოვედივარ, ფულიც ბევრი ვიშოვე და აბა, შენ იცი, როგორ დამხვდებიო. მიჯნურებმა იფიქრეს, მოსკოვიდან მოსვლას ერთი კვირა მაინც დასჭირდებოდა და უფრო მოუსხმირეს შესვედრებს. რაჟიკო მესამე დღეს გამოჩნდა და შევარდნულესაც „გადააწყდა“. გააფთრებული მივარდა ცოლს: — ეგაა უუფუნა, შენი დახვედრა? დეპეშა ხომ გამოგიგზავნე, მოგწერე, კარგად დამხვდით-მეთქი, არ გაცოცხლებ, იცოდე!.. უუფუნას პავლე გამოუსარჩლა: — დაანებე თავი უუფუნას, ჯერ შეეკითხე, იქნებ არ მიუღია დეპეშა და შენ კიდევ მოკვლას უპირებ, ჩვენი ფოსტის ამბავი არ იცი, შე კაცი?! ასე გადაარჩინა უუფუნა პავლეს „მჭევრმეტყველებამ“. ბეჟან ნაკაშიძე, ონის რაიონი, სოფელი შქმერი

„იყო გნელი და უკუნი...“

„ენერგეტიკა კოლმეურნეობას ჰგავს, რომელიც ყველასია და ამ დროს არავისი არ არის...“


(დასაწყისი იხ. გვ. 13)
— ამჟამად რა არის კრიზისის მიზეზი და ვითარებების გამოვლენები?

— მიუხედავად იმისა, რომ ზაფხულში სისტემატურად ვითხოვდით ხელისუფლებისგან, უფრო მეტად კი მარეგულირებელი კომისიის, ელექტროსაბითუმო ბაზრის, გამაზიანებელი კომპანიის წარმომადგენლებისგან თადარიგი დაეჭირათ ზამთრისათვის, ანუ მარეგულირებელ წყალსაცავებში წყლის დონე შეგვეწარუნებინა, თავის დროზე აგვეშემავებინა თბოელექტროსადგურები, მე-9 ბლოკი, „თბილისის“ მე-3, მე-4 და მე-8 ბლოკები, ყური არავინ გვათხოვა. დღეს კი პასუხს ვერავის ვთხოვთ, რადგან ისეა ჩამოყალიბებული ენერგეტიკული სტრუქტურა, რომ ვერც ერთ კონკრეტულ ორგანიზაციას ან ხელმძღვანელ პირებს ვერ დაადანაშაულებ. ენერგეტიკის სფერო კოლმეურნეობას ჰგავს, რომელიც ყვე-

თუ ვინმეს უნდა, რომ მთელი პასუხისმგებლობა ენერგეტიკის სამინისტროს დაეკისროს, თავდაპირველად ეს კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს, თუ არა და პასუხი უნდა მოეთხოვოთ ენერგეტიკულ ორგანიზაციებს, რომლებიც ქვეყანაში დროებით მართვის ან საკუთრების უფლებით შემოვიდნენ. თუკი მათ არ შეუძლიათ იმაზე მეტის გაცემა, რასაც დღეს გვთავაზობენ, შევცვალოთ მოქმედების მიმართულება, გამოსავალი ვიპოვოთ, რაც სულაც არ არის ძნელი. მთავარია, ამის ნება გამოხატოს ხელისუფლებამ. უახლოეს



ნიკა გილაური



ჯუმბერ ლომიძე

ლასია, მაგრამ მასზე პასუხისმგებლობა არავის სურს, ანუ სისტემა ისე მუშაობს, რომ ამ დამანაშავე იოლად იპოვოს გამოსავალი.

— როგორ ფიქრობთ, უახლოეს ერთ თვეს განმავლობაში, ქართულ ენერგეტიკაში რა სიტუაცია მოსალოდნელი?

— თუკი არაფერი შეიცვალა როგორც რეგულაციები, ისე თბილისში, მდგომარეობა უკიდურესად გაირთულდება. ვერ კიდევ შესაძლებელია, ზამთარში უპრობლემოდ მივაწოდოთ მოსახლეობას ელექტროენერჯია. მე უკვე წარუვადგინე ამისათვის აუცილებელი ღონისძიებების გაცხადების გეგმა. ამჟამად თბოელექტროსადგურებში მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები, რაც საშუალებას გვაძლევს გაგზავროთ მათი სიმძლავრეები. 10 დღეში მაინც უნდა ამუშავდეს „თბილისის“ მე-3 ბლოკი, რის შედეგადაც 120-130 მეგავატ ენერჯიას მივიღებთ. „რაოც ეს თელასმა“ უნდა მოუშალოს სიმძლავრეს მე-9 ბლოკზე და 250 მეგავატი მაინც უნდა გამოიმუშაოს. თუკი მყარი გარანტია გვექნება იმისა, რომ საფასურს გადავიხდით, რუსეთი მოგვანდის სანავს და შესაძლებელი გახდება მე-4 და მე-8 ბლოკების ამუშავება და დეკემბერ-იანვარში პრობლემა მოგვეხსნება. ეს გადარჩენას ნიშნავს, თანაც შიდარეუსრები.

— არსებობს იმპორტის საშუალებები გადარჩენის გზაზე?

— რა თქმა უნდა. ეს მალაქინისონების გადამწვეტილება და ჩემი აზრით, საბიფათოა, რადგან მოსალაგდელია ელექტროგადამცემ საზეზზე ავარიები, ან ჩვეულებისამებრ, რუსეთის პოლიტიკური გამოხდომები, — არ მოგვეცემს დენს და ვიქნებით სიბნელეში. ამიტომაც უპირატესობა ადგილობრივ რესურსებს უნდა მივანიჭოთ. ეს უფრო იაფიც ვეძება. ამის შესახებ მოვასწრეთ მინისტრს და ის არ არის ამ პროექტის წინააღმდეგი. თუმცა, უკვე გითხარით, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ამ შემთხვევაში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს.

— გამოდის, პასუხისმგებლობის მხოლოდ მინისტრ გილაურზე დაკისრება, უდანაშაულო კაცის დასჯის ტოლფასიც შეიძლება იყოს?

— ფაქტობრივად, ასე გამოდის.

საათი რომ გადმოსწიეს და ადრე ბნელდება, დილითაც ხომ ადრე თენდება? ახლა ის დროა, რომელიც საქართველოს ბუსგად შეეფერება სასაათო სარგველში მდებარეობის მიხედვით. ბუნებას ხომ ვერ შევეწინააღმდეგებით და ვუბრძანებთ, რომ გვიან დაღამდეს?

დღეებში ენერგეტიკოსთა ყრილობაზე წარუვადგინე ენერგეტიკული პრობლემების მოგვარების სქემა. თუ ჩვენს შეხედულებებს გაიზიარებენ, ეს გადარჩენის დასაწყისი იქნება.

— ამბობენ, შეიძლება მინისტრი ნიკა გილაური მაინც შეენიროს ყოველივე ამასო?

— უმთავრესი პრობლემა არასწორად განხორციელებული მართვის სტრუქტურაა. მინისტრზე ყველაფრის გადახარალება კი ძალიან იაფფასიანი გეგმაა. რა, ახალი მინისტრი უნდა შეცვლის ყველაფერს?..

პარლამენტის დარგობრივი კომიტეტის თავმჯდომარე **მანუ ლამიძე**, რომელმაც გასულ კვირას კომიტეტის წევრებსა და სხვა დეპუტატებთან ერთად ნიკა გილაურს „განკითხვის დღე“ მოუწყო, ქართული ენერგეტიკის მდგომარეობას სავალალოდ მიიჩნევს, თუმცა უიფედობა არც მას ეტყობა და ფიქრობს, რომ ენერგეტიკოსთა შემუშავებული გეგმის ამოქმედების შემთხვევაში, ქვეყანას წყვედადი ვერ შთანთქმავს.

— ამ დღეებში ხადაორპეტი გაიხსნება და კახეთის საკითხი საუბრით არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც მოგვარდება. ამ ეტაპზე შესაძლებელია თბილისის ელექტროენერჯიის 24-საათიანი, რეგიონებს კი ნორმალური მინოდეების გრავიტი დაუნესდეთ.

— როგორ ფიქრობთ, რის ბრალია ენერგეტიკის პრობლემებს რომ ადრეების რეგულაციამაც ვერ უშველა?

— ეს ალბათ იმ კომპანიების შეუთანხმებლობის შედეგია, რომლებიც ნიკა გილაურს დაუხმობენ ქართულ ეკონომიკაში. სასურველია, ენერგეტიკის სამინისტრომ საბითუმო ბაზარს, ელექტროსისტემასა და ა. შ. თვალყური ადევნოს. მართალია, მას ბევრი რამის უფლება არ აქვს, მაგრამ რაღაც მაკონტროლებელი მექანიზმი უნდა შეიქმნას. ელექტრორესურსებით მდიდარი ქვეყანა ვართ და საქმისთვის თავი ვერ მოგვიხამს...

რაკი ენერგეტიკა და უკვე ყვადადებული დროის გადამწვე-გადმონევა ამ ბოლო დროს ერთმანეთისგან განუყოფელი გახდა და ქართული საზოგადოების გაცხოველებული მსჯელობის საგნადაც იქცა, გადამწყვეტით, ჩვენი მკითხველისთვის ამ საკითხზეც



მიგვენოდებინა ინფორმაცია და აკადემიკოს ჯუმბერ ლომიძეს ვესაუბრეთ:

— დედამინა დაყოფილია ზოლურ, ანუ სასაათო 24 სარტყელად. მბრუნავი დედამინის სარტყლებს მზე რიგრიგობით ანათებს და, შესაბამისად, ყველა სარტყელში სხვადასხვა დროა. ყველა ქვეყანას უნდა სხვადასხვა სასაათო სარტყელში ყოფიან.

— ეს სხვადასხვა, მაგრამ საათის გადამწვე-გადმონევა რატომ გახდა საჭირო?

— ეს სხვადასხვა ქვეყანაში მოიფიქრეს შემდეგი მიზეზით: რადგან ზაფხულში დღის ხანგრძლივობა დიდია, მოდი, ერთი საათით წინ გადავი-

თ და დღის განმავლობაში უფრო დიდი დრო გამოვიყენოთ. რადგან ზამთარში დღე მოკლეა, საათი უნდა გადასწიეს. ასე დადგინდა დროის ზონური ცვლილება, მაგრამ საბჭოთა კავშირში მოხდა უცნაური რამ. ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება დრო ერთი საათით გადაეწინათ წინ. თავისი ქვით, დღე დაგვრძელეს. ამის შესახებ დეკრეტები საქართველოში კიდევ დრო ეწოდა. მანამდე საქართველო მე-3 სასაათო ზონაში იყო, დეკრეტული დროის შედეგად კი ერთი საათით დაგვიწინდა ბუნებრივ მდგომარეობას და აღმოვჩნდით მე-4 სასაათო ზონაში. მოგვიანებით, რაღაც მოსზრებებით საქართველოში კიდევ გადასწიეს დრო და ჩვენ ნორმალურ დროს 2 საათით დავწინადეთ. ჩვენთან და ტაშენტში ერთი და იგივე დრო იყო. ეს კი სრული უაზრობაა.

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოში რამდენჯერმე შეცვალა დრო, რა არის ამის მიზეზი?

— ის, რომ 1990 წელს სადგკრეტო დრო გააუქმეს. მერე კი ვილადაცების სპეკულაციით, ზამთარში ადრე ბნელდებო — სადგკრეტო დრო ისევ აღადგინეს, ორი წლის შემდეგ გააუქმეს, მერე ისევ აღადგინეს. დღეისათვის სადგკრეტო დროც გაუქმებულია. ერთი საათით უკან რომ გადავიწინეთ, უკვე მე-3 სასაათო ზონაში, ანუ ბუნებრივ მდგომარეობაში ვართ, მაგრამ ერთბაშად ორი საათით უკან დახევამ გააგიჟა ხალხი.

— ამიტომაც არც ბუნებრივი დრო და არც გრინვიჩის მერიდიანი არ აინტერესებთ მათ, ვისთვისაც თურმე ადრე ბნელდება.

— გასაგებია მათი მდგომარეობაც, მაგრამ საათი რომ გადმოსწიეს და ადრე ბნელდება, დილითაც ხომ ადრე თენდება? ახლა ის დროა, რომელიც საქართველოს ბუსგად შეეფერება სასაათო სარტყელში მდებარეობის მიხედვით. ბუნებას ხომ ვერ შევეწინააღმდეგებით და ვუბრძანებთ, რომ გვიან დაღამდეს? მთელი ევროპა დილის მ საათზე იწყებს მუშაობას და 3-4-ზე ამთავრებს, ცუდი რა არის ამაში, მიუხედავად იმისა, რომ ადრე ადრე ლოგინებიდან, რომ მეტი მოვასწროთ...

— ეს ალბათ იმ კომპანიების შეუთანხმებლობის შედეგია, რომლებიც ნიკა გილაურს დაუხმობენ ქართულ ეკონომიკაში. სასურველია, ენერგეტიკის სამინისტრომ საბითუმო ბაზარს, ელექტროსისტემასა და ა. შ. თვალყური ადევნოს. მართალია, მას ბევრი რამის უფლება არ აქვს, მაგრამ რაღაც მაკონტროლებელი მექანიზმი უნდა შეიქმნას. ელექტრორესურსებით მდიდარი ქვეყანა ვართ და საქმისთვის თავი ვერ მოგვიხამს...

გაენაკეული ხალხის სარჯზე გაგვიღრმავოს მსუკველთა საყურადღებოდ!

„კი ვიფიქრე, თუ დახმარება უნდა, ხუთ ლარს რაღაბე მახლევიწებს-მეთქი...“

(დასაწყისი იხ. გვ. 11)
რის შემდეგაც შენუხებულმა პენსიონერებმა გაზუთ „კვირის პალიტრას“ წერილით მიმართეს. პენსიონერებს დაკარგული ხუთი ლარის გარდა იმ საბუთების ბედი ალექსანდრა და განაცხადა, რომ იგი ექვსი შვილის დედაა, არსად არ მუშაობს და ამჟამად ბრალდებულის ატანას არ აპირებს.

„კვირის პალიტრა“ დაინტერესდა ამ ქალბატონის საქმიანობით და გაარკვია, რომ ეს მოქალაქე მერიის თანამშრომელი არ არის. ეს ფაქტი თავად არ უარუყვია, თუმცა პენსიონერებისაგან საბუთებისა და ფულის აკრების ფაქტი კატეგორიულად იუარა. მოგვიანებით მარინა მ. „კვირის პალიტრის“ რედაქციაში გამოცხადდა და განაცხადა, რომ იგი ექვსი შვილის დედაა, არსად არ მუშაობს და ამჟამად ბრალდებულის ატანას არ აპირებს.

შირინა ალაშიძე (დაზარალებული): — მარინა თვეების განმავლობაში გვატყუებდა. ამბობდა, ეს ტვირთი „სამთო ქიმიის“ საწყობებშია შენახული და იქიდან გამოტანას ვერ ვახერხებთო. მოგვიანებით, მან პუნაჩარული ტვირთის გადმოცემა ბოლო ვადად 28 აგვისტო დაასახელა, მაგრამ ამოდ. გარდა ამისა, მიმრდებოდა, 50 დოლარი მომეცი, მერიამო ნაცნობები მყავს და შენს სახლს (შენობა მინისტრის შედეგად დაზიანებულია) მესამე კატეგორიის მივანიჭებინებო, 200 დოლარის საფასურად კი სამსახურში მონაყოფას შემპირდა. მოგვიანებით მან ჩემგან წაიღო 27 ლარის ლირებულების ტანსაცმელი, რომლის ფულიც ასევე არ გადაუხდია...

თინო ნაინიძე (პენსიონერი): — ვცხოვრობ უკიდურეს გაჭირვებაში, ხან მზესუზირას ვყიდი და ამით ვირჩენ თავს. ხუთი ლარი ჩემთვის დიდი ფულია. ეს ქალბატონი ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ შემპირდა, რომ ერთჯერად დახმარებას მივიღებდი პროდექტის სახით. მეც ავდექი, მოვიტყუე ის ხუთი ლარი და გადატანე, მაგრამ არავითარი დახმარება არ მიმიღია...

მარინა ბაბუა (ინვალიდი ბავშვის დედა): — ჩემს ქალიშვილს, ნათიას (ცრებრალური დამბლა აქვს. მატერიალურად გვიჭირს. მუდღე უმუშევარია. მარინა ხუთი ლარის სანაცვლოდ ყოველთვიურ პუნაჩარულ დახმარებას შემპირდა. მას აქვს ჩემი შვილის საბუთებიც. იგი

ბავშვის ურევში დასვენებასა და მკურნალობასაც მპირდებოდა, მაგრამ არც ერთი პირობა არ შეუსრულებია. თავდაპირველად კი ვიფიქრე, თუ ვინმეს დახმარება უნდა, ხუთ ლარს რაღაზე მახლევიწებს-მეთქი, მაგრამ სომიციტ, წყალნაღებული ხავს ეჭიდებოდაო, სწორედ ისე მომივიდა. მოგვიანებით გავიგე, როცა ხალხმა მას დახმარება მკაცრად მოსთხოვა, მარინას უთქვამს, მრავალშვილიანი დედა ვარ, ვერაფერსაც ვერ მიზამთო...

მარინა მ. კატეგორიულად უარყოფს ამ ბრალდებებს და აცხადებს, რომ მას ცილს სწამებენ. მისი თქმით, იგი ერთი წელია მრავალშვილიანია, პენსიონერია, მარტოხელა და ინვალიდია ორგანიზაციიდან წამოსულია. თავდაპირველად, მ.მ. იმ ადამიანებთან დაპირისპირებას ითხოვდა, რომლებიც მას თაღლითობაში ამხელდნენ. თუმცა, დათქმულ დროზე (როცა დაზარალებულები რედაქციაში გვეწვინენ) მ.მ. „კვირის პალიტრაში“ არ მოვიდა. იგი ტელეფონით მხოლოდ მას შემდეგ დაგვიკავშირდა, როცა დაზარალებულები რედაქციიდან 40-წუთიანი ლოდინის შემდეგ წავიდნენ.

P.S. რამდენიმე წლის წინ „სამთო ქიმიის“ შენობაში განთავსებული ანალოგიური „პუნაჩარული“ ორგანიზაცია პენსიონერებს 3 ლარის სანაცვლოდ ყოველთვიურ პუნაჩარულ დახმარებას შემპირდა. ერთი თვის შემდეგ ეს ორგანიზაცია დაიხურა, რა თქმა უნდა, პენსიონერთათვის პუნაჩარული ტვირთი არავის დაუბრუნებია. სამ ლარს უმწიერ მოხუცები აღარ გამოიკიდებინან, თუმცა ამ თაღლითობის საქმით თავის დროზე არც სამართალდამცველები დაინტერესებულან. აქაოდა, სამი ლარი დიდი ფული არ არისო... შესაძლოა, ბევრისთვის 3 ან 5 ლარი ფული მართლაც არ იყოს, მაგრამ 20-ლარიანი პენსიის მქონე უმწიერ მოხუცისთვის 5 ლარი მთელი თვის პურის ფულია. ყველა ამ „საქმით“ დაინტერესებულთა საყურადღებოდ გვინდა განაცხადოთ, „კვირის პალიტრა“ აუცილებლად მიადევნებს თვალყურს ამგვარ ფაქტებს და განმეორების შემთხვევაში მოსთხოვს სათანადო ორგანოებს, სასწრაფოდ ალვეთონ გამწარებული ხალხის ხარჯზე გამდიდრების მოსურნე თაღლითთა ავი ზრახვები.

სათუნა პაიჭაძე

განსხვავებული ექვსი

- ✓ მს. ნაინიძე თინო
- ✓ მარინა ბაბუა
- ✓ მარინა ბაბუა
- ✓ მარინა ბაბუა

№46 (424) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

„მსოფლიო კინოს ისტორიაში ვინ არის ყველაზე სივრცითი ძალი?“

კითხვას 593 რესპონდენტი გამოუხმაურა. 12 ბარათი არასწორად იყო შევსებული. კონკურსში 281-მა ქალმა და 300-მა მამაკაცმა მიიღო მონაწილეობა.

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მსოფლიო კინოს ისტორიას მერილინ მონროზე ლამაზი ქალი არ ახსოვს — რესპონდენტთა 40%-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 9 ქულით. საშუალო ქულაა 7,31.


შემდეგ ადგილებზე სოფი ლორენია. მკითხველთა 27% თვლის მას ყველა დროის ულამაზეს მსახიობად. საშუალო ქულაა 7,27. როგორც ვხედავთ, მათ შორის სხვაობა ძალიან მცირეა და უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანი რესპონდენტთა ზუსტად ერთნაირმა რაოდენობამ — 1,6%-მა შეაფასა მინიმალური — 1 ქულით.

განუმეორებელი ოდრი ჰეპბერნი მესამეზე, და რესპონდენტთა 18% თვლის, რომ სწორედ ისაა ყველაზე სიმპათიური მსახიობი.

რეიტინგის შედეგებზე ერთი თვალის შევლებითაც ჩანს, რომ მკითხველები უპირატესობას გასული საუკუნის კინოვარსკვლავებს ანიჭებენ. ჯულია რობერტსი, შერონ სტოუნი, ორნელა მუტი, ლივ ტაილერი — ის ცოცხალი ვარსკვლავები არიან, რომელთაც დრო გამოცდის წინაშე აუცილებლად დააყენებს. მათგან გამოჩნდის მხოლოდ ჯულია რობერტსია, რომელმაც სულ მცირე სხვაობით „გასწრო“ რომი შნაიდერს და უმშვენიერეს ქალბატონებად უკვე არაერთხელ აღიარებული შორის ლირსული ადგილი მოიპოვა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა ასაკის მკითხველთათვის პირველი სამეული უცვლელია, როგორც ჩანს, სილამაზე ის ღირებულებაა, რომელიც ერთნაირად ფასდება ყველა ასაკის ადამიანისგან. მიუხედავად იმისა, რომ დრო, როგორც წესი, ცვლის ფასეულობებს და რა თქმა უნდა, სილამაზესაც, მერილინ მონროს, სოფი ლორენისა და ოდრი ჰეპბერნის სილამაზის შეფასებისას, როგორც ჩანს, ერთნაირ კრიტერიუმებს იყენებდნენ ახალგაზრდა თუ ხანდაზმული რესპონდენტებიც.

ალსანიშნავია, რომ მამაკაცებთან პირველ ადგილებზე სოფი ლორენია. ქალებს კი ჯულია რობერტსზე მეტად რომი შნაიდერი მოსწონთ და ლივ ტაილერი ურჩევნიათ ორნელა მუტის.



საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 72 წლის თბილისელი **ოზარ თუშიშვილია**. მან, საპრიზო ვარიანტისგან განსხვავებით, ორნელა მუტის ორის ნაცვლად სამი ქულა (მეშვიდე) ადგილი მი-აკუთვნა, ხოლო შერონ სტოუნს — პირიქით — სამის ნაცვლად — ორი (მერვე ადგილი). გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, 17 საათზე.

როგორ ხდება ყველაზე მიახლოებული ვარიანტის გამოვლენა. პირველ რიგში, მიახლოებულად ითვლება ის ვარიანტი, სადაც განსვავება ბოლო ადგილებზე გასულ გრაფებშია (მაგ. თუ ადგილები აქვთ შეცვლილი 1 და 2 ქულას (IX-VIII ადგილებს), თუ ასეთი ბარათი არ აღმოჩნდება, მოგების შემდეგი პრეტენ-დენტია ბარათი, სადაც ადგილები აქვთ შეცვლილი 2-სა და 3 ქულას (VIII-VII ადგილებს), შემდეგ — 3-სა და 4 ქულას (VII-VI ადგილებს), და ა. შ. მ-მდე (I- I ადგილებამდე). თუ არ არსებობს ასეთი ბარათები (სადაც განსვავება გვერ-დივრედ მიდებარე გრაფებს შორისაა), შემდეგ ხდება გადამოწმება ერთის გამოტოვებ-ბით. მაგალითად 1 და 3 (IX და VI ადგილები), 2 და 4 (VII და VI ადგილები) და ა.შ. საგულისხმოა, რომ მიახლოებულის გამოვლენა იწყება ბოლო ადგილებიდან.

№47 (425) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიკრა“ თავისი მკითხველები-სთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინ-ტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ. გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრი-ზოა, საპრიზო ფონდით —

100 ლარი

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგე-ბა ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიკრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერ-თად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწი-ლე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინ-გიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველ-თა მიერ დანერგილი ქულები ჯამდება და შემდე-გ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენ-ობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მას-თან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი. იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარი-ანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რე-იტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარა-თის შვიდშვილის ნუ დავაპიწმულებათ, უპასუხოთ დავაპიწმულებათ კითხვასა და «მკითხველის პრემიას».

№47 (425) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პა-ლიკრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშა-ბათის, 24 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათს, 25 ნოემბრის 13 საათამდე.

© თბილისი

შუკადვება! რეიტინგის ბარათში აა-რადვარად მიახლოება უნდაა „რეიტინგის“ თქვენი ვარიანტი უნდაა მისი და მითითე-ბულ მიახლოება გამოკითხვაში „კვირის პა-ლიკრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ. აღნი-შნული ბარათით მისა მიიღებთ მონაწილე-ობას კონკურსში. როგორც „კვირის პალიკრა-დან“ ამოქრები ბარათით.

მკითხველის შეფასების შედეგები

როგორ სწავლობთ ვიდეოს ხელისუფლებამ ყველაზე დიდ ნაკრებებს?

1. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა	28.9%
2. თავდასება	24.2%
3. საპატრულო პოლიციის შექმნა და მართლმართლების დამსახურება	15.5%
4. საპატრულო პოლიტიკა	10.7%
5. საპატრულო სწავლა	3.7%
6. პენიტენციური სისტემის განვითარება	3.2%
სხვა სწავლებები	6.6%
არს. ერთ სწავლები	5.5%
მიზირს პასუხის გასვლა	1.7%

როგორ ხელისუფლებისთვის ყველაზე ნაკრებები სწავლობთ?

1. ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, მრეწველობა	30.4%
2. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	13.0%
3. უმუშევრობა	11.6%
4. განათლების სწავლა	11.1%
5. ტერიტორიული მთლიანობა	10.1%
6. ენერჯეტიკა	6.5%
7. საპატრულო პოლიტიკა	5.1%
8-9. ადამიანის უფლებების დაცვა	1.4%
სხვა სწავლები	1.4%
სხვა სწავლები	7.4%
სხვა სწავლები	1.0%
მიზირს პასუხის გასვლა	1.0%

მკითხველის რეიტინგში 453 რესპონდენტი მონაწილეობდა

უმცოქნესიკი




გასულ ნომერში ფოტოანტიკვარის მინიშნებას „სიყვარული მოვა, ჩემო თომა...“ მკითხველი ერთი მხრივ არ დაუბნევია — თითქმის ერთმანდ გაიხსენეს ანსამბლ „ივერიის“ პოპულარული მუსიკალური სპექტაკლი „ჩიკე-თა ქორწილი“. მეორე მხრივ კი, ამ სპექტაკლის ავტორ-მონაწილეთა შორის ვერ გავრცენ — ზოგმა ალექსანდრე ბასილაია დასახელა, ზოგმა თემურ ნიკლაური, ზოგმა ვახტანგ ტატიშვილი და ზოგმა ნუგზარ კვამალი. მთავარ „პერსონაჟს“ კი მკითხველთა 40%-მა მიაკვლია — ეს მოლიმარი, ჰალსტუხიანი ბიჭუნა ანსამბლ „ივერიის“ ხელმძღვანელი **ჯემალ ბალაშვილი** გახლავთ.



აბა, ვინ ვარ ახლა მე?
— ბავშვობაში ნატარისთვალნი „ვიკოპე...“



ჯემალ ბალაშვილი, 4 წლის
ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარფი



ეს სინგერა...!

ამას წინათ მანლის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს მამაკაცი კუჭის უცარი მწვავე ტკივილით. ექიმებმა პაციენტს მუცლის ღრუში პანანინა ცოცხალი არსება აღმოუჩინეს.

თურმე ამ კაცის ორგანიზმში გაზრდილა მისი ტყუპისძალი ძმა! ჩანასახს ყველა ორგანო განუვითარებელი ჰქონდა. როგორც ექიმები ვარაუდობენ, ჯერ კიდევ დედის საშოში ყოფნისას ერთ-ერთმა ჩანასახმა ვერ მოახერხა ნორმალური განვითარება და ის მეორემ შთანთქა.

ენა ნოვარის კროსვორდის პასუხები

- თარბულად 1. პარპი; 4. ფრეგატი; 6. წივი; 7. ლიბი; 8. ცილი; 9. ამალი; 10. იგუნა; 13. ეკილი; 16. ბრივი; 18. სტანივი; 19. გრიფიტი; 20. ოპალი; 22. სტივი; 23. პიკაპი; 25. კატრი; 27. ენოტი; 28. სკოლა; 29. რიდი; 30. იკარუსი; 31. ატროფია. შვეულად 1. პოსპიტალი; 2. ინფლაცია; 3. პოლიტიკანი; 4. ფილიპიკა; 5. იეროგლიფი; 11. ურანი; 12. ნოინი; 14. სეფი; 15. ირიდი; 16. ხაი; 17. იგი; 21. ასტრონომია; 22. სარკოფაგი; 24. იუმორესკა; 25. კრესიერი; 26. იმიტაცია.

26/XI

საგსე მთვარე

3x3 crossword puzzle grid with images of a woman, the Eiffel Tower, an Egyptian queen, and a white tower.

თარბულად 1. ადვოკატი გაერთიანება; 4. ზღაპრული, ცეცხლისმფრქვეველი ფრთოსანი გველი; 6. ღორების ჯოგი; 7. რჩეული საზოგადოება; 8. მამალი ცხენი; 9. მდინარე მოსკოვი; 10. ფაშისტური გერმანიის სამხედრო დაზვერვა; 13. მსუბუქი ტანკსანიანალმდეგო ქვემეხი; 16. უქმე დღე; 18. უნგრელი კომპოზიტორი; 19. ანტონიო ბანდერასის მეუღლის გვარი; 20. ღვთაებრივი მსხენელი; 22. ქართველი მსახიობი, კომიკოსი; 23. პარიზის კოშკი; 25. ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც დაწერილია დიალოგების სახით და განკუთვნილია სცენაზე დასადგმელად; 27. მუზეუმი მადრიდში; 28. საგანგებოდ გამოყვანილი ხავერდოვანი ზედაპირის მქონე რბილი ტყავი; 29. წარწერა კინოფილმის კადრზე; 30. უფლისწულის ტიტული ესპანეთში; 31. ერთი სახელმწიფოს შეიარაღებული თავდასხმა სხვა ქვეყანაზე, მისი დაპყრობის მიზნით. შვეულად 1. ეგვიპტის დედოფალი; 2. ხიდი, რომელზეც გადაყვანილია წყალსადენი მილი; 3. მოთხოვნა, რასაც თან ახლავს მუქარა; 4. მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს სხეულთა მოძრაობის კანონს; 5. ტკივილის შეგრძნების გავრცელება ნატკენი ორგანოსგან დაშორებულ ნაწილში; 11. სამეფოსო ცეკვა; 12. წრეწირის ნაწილი; 14. რაიმეზე დამდგარი მზის შუქი; 15. ჯოჯის რომანი; 16. ... ბესინჯერი; 17. დიდი გომბეშო; 21. გამოქვბულის ძირიდან კონუსისებრ სვეტად აღმართული შველერი; 22. კვირის დღე; 24. სახელმწიფო აზიაში; 25. ბანკში შეტანილი ფული ან ფასიანი ქაღალდები; 26. კანონის გაუქმება.

Beauty Monde advertisement featuring a woman in a floral dress and text in Georgian.

იყიდა კვიზ მოსი article with a photo of a man and a woman, discussing a film or event.

კვირის პალიტრის (გაზეთის) საფოსტო (საპოსტ-არქივით) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით. 47 უფასო განცხადების მკითხარი განცხადების ტექსტი... ვთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა - 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვეველად ნაწერი განცხადება არ გამოიკვეყნდება №47 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩაადგეთ 25 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

„კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში - მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, ქაბაძე, გორი, ქარაილი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, მუთისი, სამტრედიო, აბაშა, სენაკი, ხოზი, ზუგდიდი, ფოთი, ძოგულეთი, გათუში, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, პალდათი, ხონი, განძა, თერჯოლა, ტყიბული, აგაროლაური, ონი, გორჯოში, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარალი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო. „კვირის პალიტრის“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცვლება თბილისში - სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში - ოთხშაბათობით, 10 საათიდან.

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ეთხვეოდეს მასალის ავტორის მოსურნებს. რედაქცია პასუხს არ აძებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე. ნიშნით აღნიშნული სტატიები იმეცდება რეკლამის უფლებით. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ამ რედაქციის გიორგი თევზაშვილი გთ. რედაქციის მოადგილეები ნუცა დუბაშაძე, ლია იაკობაშვილი სარედაქციო პოლვაგია მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან) რედაქცია: 33-39-54 ტელ: რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44 news@kvispalitra.com www.kvispalitra.ge სარედაქციო ცენტრი ნოვარი © 1518 „კვირის პალიტრა“ გამომცემი ორგანიზაციის გაზეთი დაბეჭდა გამოცემლობა „კოლორი“.